საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №141 (2514) პარასკევი, 20 ივნისი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ 45 თეთრი.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

მხოლოდ ერთიანი საქართველოს ფარგლებში — მიაჩნია ივან რიბკინს

ამ დღეებში რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვაჟა ლორთქიფანიძე შეხვდა და ესაუბრა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანს ივან რიბკინს. საუბრის ძირითადი თემა იყო აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების, ლტოლვილთა უპირობო და დროული დაბრუნების პრობლემები.

ივან რიბკინმა ხაზგასმით განაცხადა, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარება აუცილებლად მიაჩნია მხოლოდ ერთიანი საქართველოს ფარგლებში და აღნიშნა, რომ რუსეთის ადმინისტრაციაში გამართული შეხვედრის დროს ვლადისლავ არძინბას შეხვედრის ყველა მონაწილემ საკმაოდ მკაცრად და კატეგორიულად განუცხადა ამის შესახებ.

ბატონმა რიბკინმა საქართველოს ელჩს აღუთქვა, რომ უშიშროების საბჭო კიდევ უფრო გააქტიურებს თავის როლს ამ პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. განსაკუთრებით აქტიური იქნება მისი მონაწილეობა ლტოლვილთა უპირობო და დროული დაბრუნების დაწყებაში.

მან წუხილით აღნიშნა, რომ საქართველოსთან დაკავშირებით მისმა გამონათქვამებმა, პრესაში არასწორი ინტერპრეტირების გამო, საქართველოში გულისწყრომა და გაუგებრობა გამოიწვია და ელჩს სთხოვა მისი გულწრფელი მოკრძალება გადაეცა ქართველი ხალხისა და საქართველოს პრეზიდენტისათვის.

ედუარდ შევარდნაძე:

„მე მივიღებ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ნებისმიერ ვარიანტს, ოღონდ, ერთი პირობით: საქართველოს როგორც ერთიანი სახელმწიფოს აღდგენისა და შენარჩუნების პირობით“

ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტთან ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან

იხ. მე-2 გვ.

პრეზიდენტი შეხვდა, ესაუბრა

რიჩარდ მაცკე.

„შევრონი“ კმაყოფილია შეთანხმების რეალიზაციის ტემპითა და ხარისხით

ბოლო სამი თვის განმავლობაში საქართველოს რკინიგზის მეშვეობით ბათუმის ნავსადგურიდან ტრანსპორტირებული „შევრონის“ ნავთობის რაოდენობა ყოველთვიურად საშუალოდ 100 ათას ტონას შეადგენს, – აღინიშნა 19 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და კორპორაცია „შევრონ ოვერსიზის პეტროლიუმის“ პრეზიდენტის რიჩარდ მაცკეს შეხვედრაზე. კორპორაციის პრეზიდენტის შეფასებით, ნავთობის ტრანსპორტირების ტემპი და გრაფიკები სრულყოფილად სრულდება და მოლოდინსაც აჭარბებს. – საქართველოს მიერ აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ასეთი ხარისხით შესრულებამ ცხადყო, რომ თქვენი ქვეყანა საიმედო პარტნიორია და აქ შესაძლებელია სხვა მასშტაბური პროექტების რეალიზაციაც, – განაცხადა რიჩარდ მაცკემ. ამასთან, მან პრეზიდენტს აუწყა, რომ უახლოეს პერიოდში „შევრონი“ ნავთობის გადაზიდვის მოცულობის თვეში დაახლოებით 250 ათას ტონამდე გაზრდას აპირებს.

როგორც შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, ჩვენი ქვეყანა სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ამ პროექტის სრულყოფილი რეალიზაციით. – „შევრონის“ ნავთობის ტრანსპორტირება ბათუმის ნავსადგურის მეშვეობით არა მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის გამოცოცხლებას შეუწყობს ხელს და გაზრდის ბიუჯეტში შემოსავალს, არამედ საშუალებას იძლევა რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ბათუმის ნავსადგურში სხვა პროექტების განხორციელებისთვის, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

რიჩარდ მაცკეს ინფორმაციით, წლეულს მისი კორპორაცია აპირებს „თენგიზის“ ნავთობის საბადოებზე 9 მილიონი ტონა ნავთობის ათვისებას, რომლიდანაც დაახლოებით 5 მილიონი ტონის რკინიგზით ტრანსპორტირებას ვარაუდობს. ამჟამად „შევრონი“ მისი გადაზიდვის სხვადასხვა გეგმას იხილავს, მაგრამ, როგორც რიჩარდ მაცკემ განაცხადა, კორპორაცია თავის პრაქტიკაზე დაყრდნობით, ყველაზე მიმზიდველ ვარიანტად საქართველოს რკინიგზას მიიჩნევს.

„შევრონ ოვერსიზის პეტროლიუმის“ პრეზიდენტი შეეხო „ტრასეკას“ პროექტის რეალიზაციის ასპექტებს და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ედუარდ შევარდნაძის ამ რამდენიმე წლის წინათ გამოთქმული მოსაზრება პროექტის თაობაზე, ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება და საერთაშორისო მასშტაბს იძენს. „შევრონის“ პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, ვამაყობ, რომ ჩემს კომპანიას საქართველოს ეკონომიკის აღორძინებაში გარკვეული წვლილი შეაქვსო.

ევრაზიის დერეფნის შემდგომი გაფართოების თვალსაზრისით, რიჩარდ მაცკე მიესალმა პრეზიდენტების ალიევისა და ნაზარბაევის გადაწყვეტილებას, ყაზახეთის ნავთობი აზერბაიჯანში კასპიის ზღვის ფსკერზე გაყვანილი მილსადენით გადაზიდონ.

სტუმარი დაინტერესდა საქართველოს ნავსადგურებიდან უკრაინის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების მიმართულებით სარკინიგზო ბორნების ამოქმედების პერსპექტივით.

შეხვედრაზე დაისახა თხევადი გაზის გადაზიდვისა და ამ მიზნით ერთობლივი ძალებით ტერმინალის მშენებლობაში, აგრეთვე სხვა სფეროებშიც ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები.

დემოკრატიული გარდაქმნები საქართველოს გზას უხსნის ევროსაბჭოსაკენ

სტეფან ტრეხსელი.

როგორ ვითარდება საქართველოში დემოკრატია და რა ხარისხით იცავს ქვეყანა კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებს – ამ კუთხით შეაფასებს საქართველოში არსებულ ვითარებას ადამიანის უფლებათა დაცვის ევროკომისიის დელეგაცია, რომელიც 19 ივნისს მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველო დიდად აფასებს ევროსტრუქტურების, მათ შორის, ევროსაბჭოს ამ თანადგომას, ვინაიდან, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, მის გარეშე საქართველო ვერ განაცხადებდა სერიოზულ პრეტენზიებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანასწორუფლებიან თანამშრომლობაზე. ამ თვალსაზრისით, უმთავრესი შედეგი, რომელსაც საქართველომ მიაღწია, იმის შეგნება და გაცნობიერებაა, რომ დემოკრატიული განვითარების კურსი შეუქცევადი უნდა იყოს და არის კიდეც. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ამ პროცესში არცთუ უკანასკნელი როლი შეასრულა თავად ქართველი ხალხის ფენომენმაც, რომლისთვისაც დემოკრატიული პრინციპები ბუნებრივი და სისხლხორცეული მახასიათებლებია.

დღეისათვის მიღწეული პროგრესი ჯერ კიდევ არ ნიშნავს საბოლოო გამარჯვებას, მაგრამ ტენდენცია, რომელიც ამ მიმართულებით გამოიკვეთა, გამარჯვების გარდაუვალობას მოასწავებს. საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ამის გამოხატულებაა თუნდაც ეკონომიკაში მომხდარი გარდაქმნები, რომელთა შედეგადაც რეფორმირებულ საქართველოში სახელმწიფოებრივ ფსიქოლოგიას უკვე მესაკუთრე, რეალური ქონების მფლობელი ადამიანი განსაზღვრავს. და, თუმცა რეალური ცხოვრება ჯერ კიდევ სრულად ვერ უპასუხებს კონსტიტუციისა და კანონების დონეს, საქართველოს პრეზიდენტს სწამს, რომ ქვეყანა ძალზე სწრაფი ტემპით მიუახლოვდება ევროპულ სტანდარტებს.

დელეგაციის ხელმძღვანელმა, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროკომისიის პრეზიდენტმა სტეფან ტრეხსელმა უაღრესად დადებითად შეაფასა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული გარდაქმნების შედეგები და აღნიშნა, რომ ამ პროცესის ტემპი და ხარისხი გზას უხსნის საქართველოს ევროსაბჭოში გაერთიანებისაკენ.

დელეგაციის ხელმძღვანელმა საქართველოს პრეზიდენტს გაუზიარა თავისი მოსაზრებები ზოგიერთ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ადგილობრივი მმართველობის სისტემის სრულყოფას, ვინაიდან სწორედ ადგილობრივი ადმინისტრაციებია მოსახლეობისათვის ხელისუფლების ყველაზე ახლობელი და მისაწვდომი რგოლი. იგი შეეხო სასჯელის მოხდის ადგილებში არსებულ ვითარებას და აღნიშნა, რომ ცალკეული პრობლემების პარალელურად, აშკარად ჩანს მისწრაფება ერთმანეთს დაემთხვეს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დაცვის მოთხოვნები.

სტეფან ტრეხსელი განსაკუთრებით გამოეხმაურა საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი ძალებისადმი საქართველოს ხელისუფლების მოწოდებას შერიგების შესახებ და მიესალმა საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას იმის თაობაზე, რომ შერიგების პოლიტიკა ხელშესახები და თვალსაჩინო უნდა იყოს, რათა მოწოდება მოწოდებად არ დარჩეს და ჩვენი ცხოვრების რეალობად იქცეს.

ჰიქმეთ ქოქსალი.

თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის

19 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფი თურქეთის სახმელეთო ჯარების სარდალი ჰიქმეთ ქოქსალი თანმხლებ პირებთან ერთად.

შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე, ხაზი გაესვა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით განმტკიცებული მრავალმხრივი ურთიერთობის მნიშვნელობას, მათ შორის, სამხედრო სფეროშიც. ედუარდ შევარდნაძემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მოკლე დროში ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის განსაკუთრებულად კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა და რწმენა გამოთქვა, რომ თურქეთის პრეზიდენტ დემირელის ჩვენს ქვეყანაში მომავალი ვიზიტის დროს ეს ურთიერთობა კვლავაც გაფართოვდება შესაბამისი ხელშეკრულებებით.

– ჩემი ვიზიტი სწორედ ამ ურთიერთობის უფრო მაღალ დონეზე აყვანას ისახავს მიზნად, – განაცხადა ჰიქმეთ ქოქსალმა და თურქეთის სამხედრო უწყების სახელით საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან თანამშრომლობის გააქტიურებისათვის მზადყოფნა გამოხატა.

ახლადდანიშნული სარდლის მიღება

19 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ახლადდანიშნული სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ანდრეევი.

შეხვედრაზე განიხილეს ორი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების ასპექტები.

ვლადიმერ ანდრეევი.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური— საქინფორმი.

მხარეთა პოზიციები მნიშვნელოვნად დაახლოვდა, თუმცა...

ქართული და აფხაზური მხარეების პოზიციები მნიშვნელოვნად დაახლოვდა მთელ რიგ პრინციპულ, საკვანძო მომენტებთან დაკავშირებით – კერძოდ, ლტოლვილთა პრობლემის თაობაზე. და, მაინც, „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ ოქმის“ ტექსტზე საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ, – ეს რუსეთის საინფორმაციო სააგენტოს „ნოვოსტის“ კორესპონდენტს განუცხადა საგანგებო დავალებათა ელჩმა, რუსეთის საგარეო საქმეთა წარმომადგენელმა აფხაზეთში მდგომარეობის მოწესრიგების საკითხებში გენადი ილიჩოვმა გუშინ დამთავრებული თითქმის ორკვირიანი კონსულტაციების შედეგების გამო.

ახლა მოლაპარაკებაში პაუზაა. მხარეებმა ისურვეს დამატებით შეისწავლონ ოქმის პროექტი.

საქინფორმი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 19 ივნისი ქ. თბილისი

გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ თანამშრომლების საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

ჟურნალისტურ საქმიანობაში შეტანილი დიდი წვლილისა და გაზეთში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით:

თენგიზ გამყრელიძე	– მიმომხილველი
მარიკა კალანდაძე	– მიმომხილველი

ღირსების მედლით:

ირინე ადამაშვილი	– მიმომხილველი
არტემ აკოფოვი	– მთავარი რედაქტორის მოადგილე
ზურაბ ბერიძე	– მიმომხილველი
გიორგი ბეზირგანი	– მიმომხილველი
იური გვინდაძე	– მიმომხილველი
ჟილდა ივანიშვილი	– მიმომხილველი
ტატო ლასხიშვილი	– მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე
თამაზ ლომსაძე	– მთავარი რედაქტორის მოადგილე
დიმიტრი მჭედლიძე	– მიმომხილველი
გაბრიელ ნამთალაშვილი	– მიმომხილველი
რუბენ რუხკიანი	– ფოტოკორესპონდენტი
ტატიანა სადოჩკინა	– ტექნიკური მდივანი
ელენე ჩაჩუა	– მთავარი რედაქტორის მოადგილე
სვეტლანა ცვილოვა	– კორექტორი
კონსტანტინე ცაგარეიშვილი	– მიმომხილველი

ე. შევარდნაძე.

„დღეს „სვობოდნაია გრუზია“ დამოუკიდებელი სახელმწიფოს თავისუფალი გაზეთია“

მხურვალედ ვულოცავ 75 წლის იუბილეს „სვობოდნაია გრუზიას“ რედაქციას, გაზეთის მთელ კოლექტივს, მივესალმები ვეტერანებს, რომელთა გამოცდილებაზეც ჟურნალისტთა მრავალი თაობა აღიზარდა. მინდა მივულოცო გაზეთის ახალგაზრდა თანამშრომლებს, რომლებიც მის ფურცლებზე გვიჩვენებენ შემართებასა და გამბედაობას, ჩვენი რთული, მაგრამ საინტერესო დროის თავისებურ ხედვას.

თქვენი წინამორბედის „ზარია ვოსტოკას“ ისტორია რთული და წინააღმდეგობრივია, ისევე, როგორც რთული და წინააღმდეგობრივი იყო საქართველოს ცხოვრება მეოცე საუკუნეში. ვინც გაიხსენებს – თანაც გაიხსენებს სამართლიანი გულისწყრომითა და აღშფოთებით – 20-იანი და 30-იანი წლების სისხლიან დრამებს, ისიც უნდა გაიხსენოს, რომ 70 წლის მანძილზე საქართველოს ხალხი თავდადებით იბრძოდა და შრომობდა, რათა გადაერჩინა ახალი თაობები და შეენარჩუნებინა მისთვის მშობლიური ენა, რათა გაეყვანა გზები და სინათლით გაეჩახჩახებინა სახლები, ეშენებინა ახალი ქალაქები და სოფლები. „ზარია ვოსტოკა“ ამ აღმშენებლობითს პროცესშიც მონაწილეობდა.

გაზეთი ქვეყნის ცხოვრების სარკეა. რთულ წლებს მისთვისაც არ აუვლია გვერდი.

დღეს „სვობოდნაია გრუზია“ დამოუკიდებელი სახელმწიფოს თავისუფალი გაზეთია. თქვენი გაზეთი ასრულებს უაღრესად საპატიო მისიას, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ყოველდღიურად ურთიერთობა აქვს ქვეყნის არაქართულენოვან მოსახლეობასთან და საინფორმაციო ხიდს აგებს ახლო და შორეული საზღვარგარეთისაკენ.

თქვენ შესძელით გადაგერჩინათ გაზეთი ჩვენი ისტორიის ამ მძიმე და დრამატულ პერიოდში, დღეს კი აქტიურად მონაწილეობთ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის, სამოქალაქო საზოგადოების შექმნის პროცესში, და არ ივიწყებთ ჩვენს მთავარ პრობლემას – ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

მადლობას გიხდით ამისათვის. გისურვებთ დიდ შემოქმედებითს გამარჯვებებს. ჩვენ, ყველას, საქართველოს ყველა ეროვნების მოქალაქეებს, გვწამს ჩვენი სამშობლოს აღორძინებისა.

ედუარდ შევარდნაძე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თავის მკითხველებთან ერთად უერთდება ამ მისალმებას და ულოცავს კოლეგებს საიუბილეო თარიღს.

ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

19 ივნისს გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგაზაფხულო სესიის მესამე სხდომა, რომელიც გახსნა და მის მუშაობას უძღვებოდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

მიიღეს დადგენილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტი გარდაიქმნა ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტად.

სხდომაზე პირველი წაკითხვით მიიღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რეგლამენტი.

რატომ გვიანდება სახელმწიფო ატრიბუტიკის მიღება?

ელდარ შენგელაიას აზრით, გვიანდება იმ მიზეზით, რომ საფრანგეთში, ინგლისსა და იტალიაში მიკვლეულია XIII-XIV საუკუნეების საქართველოს ისტორიული მასალები, რომელიც უახლოეს მომავალში საქართველოში ჩამოვა.

ელდარ შენგელაიას განცხადებით, საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება დღემდე ყველასათვის უცნობი საქართველოს რუკა. გაირკვა, რომ ანალოგიური რუკები ინახება ფლორენციასა და ვენეციაშიც.

„ქვეყნის ატრიბუტიკა ისეთი უნდა იყოს, რომ მთელმა საზოგადოებამ მიიღოს, ამიტომ აჩქარება ამ საქმეში არ იყარგებს. კომისია, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ჩაუდგა სათავეში, იმუშავებს ახალი, დღემდე ყველასათვის უცნობი მასალების შეკრებაზე და რაც შესაძლებელს გახდის გვქონდეს სრულყოფილი ატრიბუტიკა,“ – განაცხადა ელდარ შენგელაიამ.

მისივე თქმით, ამ საკითხის გადაწყვეტას პარლამენტი, ალბათ, საშემოდგომო სესიისათვის გადადებს.

ბრალდებას უსაფუძვლოდ მიიჩნევენ

18 ივნისს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კოლეგიამ ტელევიზიით გააკეთა განცხადება:

„დღეს პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს უშიშროების სამინისტრო უსმენდა გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორის, ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის სატელეფონო საუბრებს.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს კოლეგიამ იმსჯელა ამ ფაქტთან დაკავშირებით, მიიჩნია იგი სრულიად უსაფუძვლოდ და მიმართა გენერალურ პროკურორს ჩაატაროს პრესაში გამოქვეყნებულ ფაქტთან დაკავშირებით სათანადო შემოწმება კანონით დადგენილი წესით. უშიშროების სამინისტროს შესაბამისი თანამშრომლები მზად არიან წარადგინონ ყველა საჭირო მასალა და მისცენ სათანადო განმარტებები“.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახური ხაზს უსვამს, რომ ამ განცხადებაში ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ საერთოდ არაფერია ნათქვამი და ამ განცხადების ინტერპრეტაცია გაზეთ „საქართველოში“ უსაფუძვლოა.

სატელეფონო საუბრების მოსმენასთან დაკავშირებით

საქართველოს გენერალური პროკურორის დავალებით, პროკურატურამ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 108-ე მუხლის მესამე პუნქტისა და საქართველოს უშიშროების სამინისტროს კოლეგიის მოთხოვნით, დაიწყო წინასაგამოძიებო შემოწმება უშიშროების სამინისტროს მიერ გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორის სატელეფონო საუბრების მოსმენასთან (როგორც ამის შესახებ წერდნენ გაზეთები) დაკავშირებით.

შემოწმების შედეგების მიხედვით გადაწყდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი.

დაფუძნდა ვარძიის აკადემია

წარმოშობით მესხმა და მესხეთის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერთა ჯგუფმა ვარძიის აკადემია დააფუძნა, რომელიც ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური მიმართულებებით შეისწავლის სამცხე-ჯავახეთისა და ზოგადად მესხეთის პრობლემურ საკითხებს.

აკადემიაში 14 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია გაერთიანებული. აკადემიის პრეზიდენტად არჩეულია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ლომსაძე, ვიცე-პრეზიდენტად – პროფესორი პეტრე გიორგაძე.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა-საქინფორმმა, „მოამბე ექსკლუზივ ექსპრესმა“.

უკანასკნელ საათს



მოსკოვი. გუშინ რუსეთის სახელმწიფოს მეთაური ბორის ელცინი შეხვდა შვებულებიდან დაბრუნებულ პრემიერს ვიქტორ ჩერნომირდინს. შეხვედრისას განიხილეს სოციალური პრობლემები, პენსიის დავალიანების 1 ივლისამდე გაცემის, შეღავათების და სხვა საკითხები.

* * *

პრეზიდენტ ელცინის ბრძანებულებით, დაწესდა ბულატ ოკუჯავას სახელობის ლიტერატურული პრემია, მთავრობას დაევალა შემოიღონ მისი სახელობითი სტიპენდია, აგრეთვე დაიდგას ოკუჯავას ძეგლი არბატზე და მისი სახელი მიეკუთვნოს მოსკოვის ერთ-ერთ მოედანს, ქუჩასა და სკოლას.

* * *

ამავე დღეს ბორის ელცინი გაემგზავრა კოლორადოს ქალაქ დენვერში. დღეს იგი აშშ პრეზიდენტს ბილ კლინტონს შეხვდება.

*

ვილნიუსი. გუშინ ლიტვას სამუშაო ვიზიტად ეწვია ავსტრიის ფედერალური ვიცე-კანცლერი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვოლფგანგ შიუსელი. იგი შეხვდა ლიტვის პრემიერს გიადომინას ვაგნორიუსს, ლიტველ კოლეგას, სეიმის წევრებს, დაესწრო ვილნიუსში ავსტრიის საელჩოს გახსნის ცერემონიას.

ბეირუთი. ორი ლიბანელი – ქალი და მამაკაცი დაიწვა ავტომანქანაში მას შემდეგ, რაც მათი ავტომობილი აფეთქდა ნაღმზე, რომელიც ისრაელის მიერ ოკუპირებულ ქალაქ ჯეზინის მახლობლად სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე იყო დადებული. ამავე დღეს ისრაელის ავიაცია თავს დაესხა ოკუპირებული ზონის ჩრდილოეთით მდებარე ლიბანის ტერიტორიას.

ტირანა. ალბანეთში დაცვის მრავალეროვანი ძალების შესვლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ალბანელი მოქალაქე დაიღუპა ამ ძალების ჯარისკაცებთან ორმხრივი სროლის დროს. ინციდენტი მოხდა ქვეყნის სამხრეთის ქალაქ ელბასანში, სადაც საბერძნეთის კონტინგენტის ასეულია განლაგებული.

დღევანდელობა

რაზე ოცნებობენ ადამიანები?

უჭირს თუ ულხინს, ადამიანი მაინც ოცნებობს. თუმცა, ზოგიერთები სკეპტიკურად არიან განწყობილი ოცნების მიმართ. რა მეოცნებებაო, ხშირად გაგვიგონია. და მაინც ძნელი დასაჯერებელია, რომ თუნდაც ამ გაუსაძლის დროს ადამიანები არ ოცნებობდნენ.

დღეს ძნელია ქუჩაში უცნობს გამოელაპარაკო და ბლიც-ინტერვიუზე დაითანხმო. თუმცა, მსურველები მაინც გამოჩნდნენ, თუმცა ზოგიერთმა ვინაობის გამხელა არ ისურვა.

მათი პასუხი ციფრებში ასე გამოიყურება:

ოცნებობს — 12.

არ ოცნებობს — 8.

ამაზე არასოდეს დაფიქრებულა — 5.

რაც მთავარია, მათ იმედი გადაწურული არა აქვთ, მომავალს ოპტიმისტურად ელიან.

მაინც რაზე ოცნებობენ ისინი?

თეიმურაზ ვ. მხატვარი, 43 წლის – ჩემს ყმაწვილკაცობაში სულ სხვა რამეზე ვოცნებობდი.

ვოცნებობდი გამოფენებზე, აღიარებაზე, სახელზე. ახლა კი ჩემი ოცნება ასეთია: დილით ქუჩაში გასაყიდად სურათებს რომ გამოვიტან, საღამომდე ყველა გავყიდო. გუშინ ერთი სურათი სამოც თეთრად გავყიდე. ტირილი მომინდა. სხვა რა გზა მაქვს, როცა ცოლ-შვილი მყავს სარჩენი.

ხვალინდელი დღის იმედს მაინც არ ვკარგავ. ჩაიელის ეს ყველაფერი, გვეშველება ალბათ. დაგვიდგება ისეთი დრო, მხატვრობა რომ ჭეშმარიტად დაფასდება და ლუკმა-პურის საშოვრად ხელოვან კაცს ქუჩა-ქუჩა არ მოუწევს წანწალი.

მარინე გველესიანი, პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტი:

ჩემი მშობლები წინააღმდეგი იყვნენ პედაგოგიურზე ჩამებარებინა. თვითონ პედაგოგები არიან და იძულებული გახდნენ პროფესია შეეცვალათ. მეც მირჩევდნენ, რამე დღევანდელი დღისთვის შესაფერისი შემერჩია. მე კი ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე.

ჩემი ოცნებაა საქართველოს კარგი პედაგოგები ჰყავდეს, ეს ჩვენზეა დამოკიდებული, როგორი თაობა ეყოლება ხვალ ჩვენს ქვეყანას. ძალიან მინდა ჩემი წვლილი შევიტანო ამ საქმეში.

მრავალმხრივ განათლებული ახალგაზრდობა გადაგვარჩენს!

თინათინ გ. პენსიონერი: საავადმყოფოში მეთეთრეულედ ვმუშაობ. პროფესიით კი ინჟინერი ვარ. სხვა გზა არ მქონდა, მეუღლეც პენსიონერია, შვილები, ჯერჯერობით, იქეთ არიან მისახედი. ვოცნებობ ისეთ საქართველოზე, როცა ყველა თავისი პროფესიით იმუშავებს, როცა პენსიონერს საკმარისი პენსია ექნება. არ ვჩივი, თუ მე ვერ მოვესწრები ამ დღეს. ოღონდ ჩვენი შვილები მოესწრონ.

მთავარია, ახალგაზრდობამ თავისი გასაკეთებელი საქმე სხვას არ „აჰკიდოს“. გული მტკივა, როცა ქუჩაში უსაქმურად მდგარ ბიჭებს ვხედავ. რა დროს უსაქმურობაა!

მზია გელენავა.

საქართველოს რესპუბლიკა
№141. პარასკევი, 20 ივნისი, 1997 წელი.

ედუარდ შევარდნაძე:

ძლიერ გამოთქმებს მე ძლიერი პოლიტიკა მირჩევნია

საქართველოს პრეზიდენტი უპასუხებს „იზვესტიის" კორესპონდენტის კითხვებს

— ამ ჩამოსვლაზე თბილისში ბევრი ცვლილება დამხვდა და თითქმის ყოველ მათგანს შეიძლება ეწოდოს სენსაციური. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ბატონო ედუარდ, მინდა გკითხოთ თბილისის პეიზაჟის ერთ ახალ დეტალზე; სასტუმრო „ივერიასთან" აღმართულ დავით აღმაშენებლის ძეგლზე მოგახსენებთ.

XI-XII საუკუნეების საქართველოს მძლავრი ცენტრალიზებული სახელმწიფოს აღმაშენებლის ცხენზე ამხედრებული ქანდაკება და მის უკან — ლტოლვილებით გაჭედილი, დამახინჯებული სასტუმრო, ესოდენ მრავლისმეტყველი, პირდაპირ სიმბოლური სახელწოდება რომ აქვს... თქვენ არ შეგაცბუნათ სიმბოლოების ასეთმა მონტაჟმა: ყოფილი ძლიერება და ახლანდელი გაჭირვება?

– მე რომ ვუყურებ, სხვაგვარად ვხედავ. სასტუმროს დროებითი მობინადრეებისა და ყოველი ჩვენგანისათვის ეს არის აგრეთვე ნიშანი მტკიცე გადაწყვეტილებისა, აღვადგინოთ ქვეყნის მთლიანობა, და მოწოდება შემწყნარებლობისა მშვიდობის სასიკეთოდ. აკი დავითი, რომლის ტიტული „აღმაშენებელი", აგრეთვე „ამაღორძინებელს", „განმაახლებელს" ნიშნავს, სახელმწიფოს აშენებდა ეროვნული და რელიგიური ტოლერანტობის საწყისებზე (სხვათა მორის, ბროკჰაუზის და ეფრონის ენციკლოპედიაში დავითი სწორედ განმაახლებლად არის მოხსენიებული – „Давид Возобновитель". – რედ.).

— ვშიშობ, რომ ისტორიის, უძველესისა თუ უახლესის, ცოდნა, დიდი ვერაფერი შეღავათია შემწყნარებლობისათვის. ის კი არა, უფრო პირიქით არის. აი, ვთქვათ, კიდევ ერთი ასეთი სიახლე: თბილისში მოუხშირეს სიარულს ჩეჩენთა დელეგაციებმა. ამ რამდენიმე დღის წინათ კი მასხადოვმა თავისი პირადი წარმომადგენელიც დანიშნა საქართველოში...

– ჩვენში, პანკისის ხეობაში, ძველთაგან ცხოვრობენ ჩეჩნები, ჩვენებურად – ქისტები. მასხადოვის წარმომადგენელიც წარმოშობით სწორედ პანკისიდან არის, იგი საქართველოს მოქალაქეა.

ხოლო რაც შეეხება ჩეჩენთა დელეგაციებს, ხომ გახსოვთ, სტუმარი ღვთისააო, ანდა, როგორც ერთ ძველ სიმღერაშია, ყოველი სტუმარი უფლისგან მოდის...

— თუ არა ვცდები, ეს სიმღერა წარსულ საუკუნეში შექმნეს ნიჟნინოვგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცრებმა, კახეთში რომ იყვნენ დაბანაკებული და მხარეს ლეკების გამაჩანაგებელი თარეშისაგან იცავდნენ. ამ სიმღერაში არაფერია ნათქვამი ჩეჩენთა მხარდაჭერაზე აფხაზური სეპარატიზმისადმი, გაგრის „გმირზე" — ახლა მეორე კაცად რომ ზის მასხადოვის მთავრობაში. ყოველივე ეს დავიწყებას მიეცა?

– არა, ალბათ, ისევე, როგორც არ მისცემია დავიწყებას რუსეთში გროზნოს ნანგრევები და ბუდიონოვსკის ტრაგედია. მაგრამ რეალურ პოლიტიკაში, როდესაც მარტოოდენ წარსულით სულდგმულობ, შეიძლება საერთოდ დაჰკარგო მომავალი. განა რუსეთში მშვიდობის გულისათვის არ დაიწყეს ჩეჩნებთან მოლაპარაკება? მაშ რატომ არ უნდა ჰქონდეს საქართველოს კონტაქტები თავის ოდინდელ მეზობელთან?

ნუ დაივიწყებთ ნურც იმას, რომ, სანამ აფხაზეთის პრობლემა არსებობს, ჩვენ ყოველნაირად ვეცდებით ვეძებოთ მისი გადაწყვეტის სხვადასხვა, თუნდაც ყველაზე არასტანდარტული ხერხები. და თქვენც სწორედ ამ პრიზმით შეხედეთ ჩვენს „პროჩეჩნურ" სტუმართმოყვარეობას.

— როგორც ჩანს, ამ პრიზმით უნდა ვუყუროთ კიდევ ერთ სენსაციურ სიახლეს. როგორც შევიტყვე, თქვენ ზოგჯერ ტელეფონით ესაუბრებით ხოლმე ვლადისლავ არძინბას. გკითხავდით, „რის შესახებო?", ასეთი კონტაქტების კონფიდენციალობა რომ არ გამორიცხავდეს საკითხის ესოდენ არაკორექტულ დაყენებას. მაგრამ აი, მეორე კითხვა, შესაძლოა, ასევე არაკორექტული... ხომ არ მოგესმით ხოლმე სატელეფონო საუბრების დროს აფხაზეთში დაღუპულთა ხმები?

– სწორედ იმიტომ, რომ მათი ხმა გამუდმებით ჩამესმის ყურში, დავთანხმდი ასეთ კონტაქტებს. გაუცხოების, მეურიგებლობისა და მურისგების პოლიტიკა ვერაფერი ძეგლი იქნებოდა დაღუპულთათვის.

— საქართველოში ბევრნი არ დაგეთანხმებიან ამაში. მაგალითად, დივერსიული ჯგუფის „თეთრი ლეგიონის" ბოევიკები. ჩემთვის უთქვამთ, რომ ზოგი თურმე ძილშიც არ იშორებს ხელიდან იარაღს, ერთი სული აქვს, როდის იძიებს შურს დახოცილი ახლობლებისა და წართმეული მიწა-წყლისათვის. მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება აფხაზეთის ახალ ომზე ისე ლაპარაკობს, როგორც თითქმის გადაწყვეტილ საქმეზე, და 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი აღლუმის დროს რუსთაველის პროსპექტზე მოგრიალე ტანკებმა, მგონი, საკმაოდ დამაჯერებლად დაასურათხატეს ეს მტკიცებები.

– ეტყობა, ვიღაც ძალიან არის მოწადინებული, სასურველი სინამდვილედ გაასაღოს. იმასაც კი ამტკიცებენ, აფხაზეთში ქართველთა პარტიზანული ჯგუფები საქართველოს ხელისუფლებმა ჩამოაყალიბეს და სახელმწიფო სტრუქტურების ბაზაზე არსებობენო. ეს არ არის მართალი. მე არა მწამს პარტიზანობა და არ ვიზიარებ მას, ვინაიდან ვთვლი, რომ ჩვენს პირობებში მან შეიძლება მხოლოდ ავნოს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეს. მაგრამ ძნელია კონტროლს დაუქვემდებარო და დააოკო ადამიანები, რომლებიც სასოწარკვეთილებამდე არიან მისული თავიანთი დუხჭირი მდგომარეობით, წლობით უნაყოფოდ მიმდინარე მშვიდობისმყოფლობით, მათი შინდაბრუნების შეთანხმებათა შეუსრულებლობით, და უკვე გადაეწურათ იმედი, რომ შესაძლებელია მშვიდობიანად აღდგეს ფეხქვეშ გათელილი სამართლიანობა.

ახალი ტალღის აგორება კატასტროფა იქნებოდა აფხაზეთისა და სრულიად საქართველოსათვის. რაც უნდა მოხდეს, საქართველო არ დაიწყებს ომს, თუ, რა თქმა უნდა, ვიღაცამ პროვოკაციულად არ გამოიწვია, როგორც ეს 1992 წლის აგვისტოში იყო. რაც შეეხება ტანკებს... ჩვენ შეიარაღებულ ძალებს ვაშენებთ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების საფუძველზე რუსეთის დახმარებით...

— ...რომელიც უკავშირდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების პრობლემის გადაჭრას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობისა და ლტოლვილთა დაბრუნების სანაცვლოდ. საეჭვოა, რომ ასეთი კონტექსტით 30 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ აფხაზეთში რუს მშვიდობისმყოფელთა შემდგომი ყოფნის პირობების შესახებ, ხელი შეუწყოს საქართველო-რუსეთის სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებას. ამასთან დაკავშირებით მოსკოვში ითქვა, რომ პოლიტიკური შანტაჟის პირობებში რუსი მშვიდობისმყოფელნი ვერ შეძლებენ დაკისრებული მისიის შესრულებას.

– პოლიტიკაში ძლიერ გამოთქმებს მე ვამჯობინებდი ძლიერ, გააზრებულ პოლიტიკას. ვინ ამანტაქებს რუსეთს? მისი სტრატეგიული პარტნიორი თუ სეპარატისტული რეჟიმი, რომელიც მარტო თავისი არსებობით აბუჩად იგდებს ერთიან რუსეთს? პასუხს აუკულმართებენ. თან მხედველობიდან რჩებათ ისეთი „წვრილმანიც", როგორიც არის მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილება უსაფრთხოების ზონის გაფართოებისა და 31 ივლისამდე ლტოლვილთა შინ დაბრუნების შესახებ. არადა, ეს გადაწყვეტილება მიიღო თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ რუსეთის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით.

სახელისა და ხელისუფლებრივი გადაწყვეტილებების პრესტიჟისადმი ასეთი გულგრილობის ფონზე ერთობ უცნაურად გამოიყურება ის აწრიალება, რომელიც მოჰყვა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას, შეტანა სიცხადე სიტუაციაში, რომლის დროსაც რუსეთის მშვიდობისმყოფელი ძალების კონტინგენტი აფიქსირებს საქართველოს გახლეჩას მდინარე ენგურზე და, ფაქტობრივად, კალთას აფარებს სეპარატისტულ რეჟიმს „მეგობრული ხიშტების წყების მიღმა".

საკმარისია შესრულდეს თანამეგობრობის მოსკოვის სამიტის 28 მარტის გადაწყვეტილება და მშვიდობისმყოფლები აფხაზეთში დარჩებიან, რათა უფრო წარმატებით შეასრულონ თავიანთი მისია.

— როგორც გვესახება, მათი „ხიშტები" საქართველოსთვისაც მეგობრულია. ტერიტორიის ნაწილის დაკარგვისა და ლტოლვილთა დიდ მასასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გაჭირვების გამო ქვეყანას შესაძლებლობა აქვს ვითარდებოდეს, და, როგორც მრავალი ნიშანი მოწმობს, საკმაოდ წარმატებითაც. საერთაშორისო ექსპერტები ამტკიცებენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებს შორის საქართველომ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების არცთუ ურიგო ტემპს მიაღწია. ხოლო თუ რუსი მშვიდობისმყოფლები წავლენ, აფხაზთა ფორმირებები დაუყოვნებლივ დადგებიან ენგურის ზღუდეზე, და მაშინ, საკმარისია ერთი ნაპერწკალი, რომ კვლავ იფეთქოს ხანძარმა. თქვენ გამორიცხავთ ასეთ ვარიანტს?

– კონფლიქტის კონსერვაცია ისეთი მეთოდებით, რომლებიც ახლა გამოიყენება აფხაზეთში, სულაც არ არის რეგიონში მშვიდობის გარანტია. ნებისმიერ ვითარებაში მშვიდობისმყოფლობის არსებული „ტექნოლოგია" არ უნდა ემსახურებოდეს აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა და გენოციდის, უკანონო ტერიტორიული შენაძენის დამკვიდრებას.

თუკი ერთი „ტექნოლოგია" ვერ ჭრის, ვერ უწყობს ხელს კონფლიქტის მოგვარებას და ლტოლვილთა დაბრუნებას, მაშინ უნდა ვეძებოთ სხვა საშუალებები. მე წამოვაყენე საერთაშორისო კონფერენციის იდეა, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა და თავის ტერიტორიაზე გამართავდა რუსეთი. ასეთი კონფერენცია უკვე თავისთავად ზღუდეა საომარი მოქმედების განახლების გზაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ მის უზარმაზარ მშვიდობისმყოფლურ პოტენციალზე.

— ამასობაში კი გვთავაზობენ სულ სხვა, როგორც თქვენ ბრძანეთ, ტექნოლოგიას: მოსკოვში რუსეთის შუამავლობით კონფლიქტის მხარეები ცდილობენ დააახლოვონ პოზიციები მუშაობაში, რომელიც მიმდინარეობს რუსეთის დიპლომატიის მიერ შემოთავაზებულ „ქართველ-აფხაზთა პრობლემის მოგვარების საფუძვლების ოქმზე". თქვენ წინააღმდეგი ხართ ამ ოქმისა?

– რაკი მოლაპარაკება მიმდინარეობს, ბუნებრივია, მომხრე ვარ. მე მივიღებ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ნებისმიერ ვარიანტს, ოღონდ, ერთი პირობით: საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს აღდგენისა და შენარჩუნების პირობით, რა თქმა უნდა, ამასთან უნდა გვქონდეს შეთანხმების ქმედითობის მკაფიო და მტკიცე გარანტიები.

მაგრამ შეთანხმებანი ისე ხშირად ირღვეოდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, აღარავის სჯერა მათი. გავიხსენოთ მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი. კონფლიქტის დაწყებისთანავე ბორის ელცინის ინიციატივითა და მონაწილეობით დადებული შეთანხმება შეიცავდა ყველაფერს, რაც აუცილებელი იყო აფხაზეთის პრობლემის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისათვის. ჩემი და რუსეთის პრეზიდენტის გარდა, ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს ბ-მა არძინბამ და აფხაზეთის ქართველი უმრავლესობის წარმომადგენელმა ნადარეიშვილმა, ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რესპუბლიკის მეთაურებმა. დღეს ამჯობინებენ საერთოდ არ გაიხსენონ ეს დოკუმენტი, ხოლო, როდესაც ჩვენ მაინც შევახსენებთ ხოლმე, გვეუბნებიან, რომ მომდევნო მოვლენებმა შეცვალეს სიტუაცია. თითქოს არ იცოდნენ, თუ ვინ, როგორ და რა ვითარებაში შეცვალა სიტუაცია.

ამავე დროს, მთელი ეჭვებისა და გულისტკენის, თუ გნებავთ — წარსულში არცთუ იშვიათი მოტყუების მიუხედავად, ჩვენ გვინდა ვიწამოთ, რომ მოსკოვის ახლანდელი მოლაპარაკება შეიძლება დასრულდეს გადაწყვეტილებით, რომლებიც ხელს მისცემს კონფლიქტის მხარეებსაც, კავკასიის ხალხებსაც და მთლიანად რუსეთსაც. მე ვიცი, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთის პრეზიდენტი მოლაპარაკების წარმატებას, რა ძალისხმევას მიმართავენ საამისოდ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა უწყებები, და ამიტომ პოზიტიური შედეგის იმედი მაქვს. მით უმეტეს, რომ აფხაზთა ლიდერების პოზიციაში გამოსჭვივის უფრო კონსტრუქციული მიდგომის ელემენტები.

— აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების კონტექსტით დიდ ინტერესს იპყრობს რამდენიმე ახალი იდეა, რომლებიც კავკასიის უსაფრთხოებას შეეხება. ეს არის ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში დასავლეთის მშვიდობისმყოფელი კონტინგენტების შეყვანა, ერთგვარი, ეუთოს მსგავსი, სრულიად კავკასიის საკონსულტაციო-საკოორდინაციო ორგანოსა და კავკასიის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შექმნა. როგორ უყურებთ თქვენ ყოველივე ამას?

– თავის დროზე მე არ დავიშურე ძალისხმევა, რათა აფხაზეთში მოსულიყვნენ მშვიდობისმყოფელნი გაეროს ალმით. არ გამომივიდა. კონფლიქტის ზონაში შემოვიდნენ რუსი მშვიდობისმყოფელნი თანამეგობრობის ეგიდით. დასავლელ „ცისფერმუზარადიანთა" გამოჩენა ამიერკავკასიაში რთული საკითხია, მაგრამ ჩვენს დღეებში შეუძლებელი არაფერია. აკი გაამართლა კოლექტიურმა მშვიდობისმყოფლურმა ოპერაციამ ბოსნიაში.

ყურადღებას იმსახურებს მოვლადი უდუგოვის წინადადებაც კავკასიაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის რეგიონული სტრუქტურის შესახებ. პერსპექტიულია, ჩემი აზრით, აგრეთვე კავკასიის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის იდეა, რომელსაც მხარი დაუჭირა ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ. ვიცი, რომ მათი რეალიზაციის გზაზე ბევრი სირთულე გველობება, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ორივე იდეა მოერგება ჩვენს „მშვიდობიანი კავკასიის" კონცეფციას, რომლის ბევრი დებულება აისახა კისლოვოდსკის დეკლარაციაში.

— მერედა, რა ადგილი შეიძლება დაეთმოს ამ კავკასიურ „ეუთო"-ში რუსეთს? სად იქნება იგი — ორგანიზაციის შიგნით, თუ გარეთ? ისე ხომ არ გამოვა, რომ ახალი იდეების რეალიზაცია მოხდეს რუსეთის გვერდის ავლით და კავკასიაში მისი ინტერესების საზიანოდ, რასაც თქვენ გწამებთ ზოგიერთი რუსი კრიტიკოსი? ერთი პირობა, მოსაზრებებიც გამოითქვა, რომ თქვენ ჯოხარ დუდაევთან გქონდათ კონტაქტები.

– დიახ, მე შევხვედრივარ დუდაევს. 1993 წელს, როდესაც ვიზიტად ვიყავი ბაქოში, იქ ჩემთვის მოულოდნელად ჩამოფრინდა დუდაევი, როგორც მითხრა, საგანგებოდ ჩემთან შესახვედრად. საუბარზე უარს ხომ არ ვეტყოდი. ჩვენ გვქონდა საკმაოდ საინტერესო და ერთობ მწვავე დისკუსია კავკასიის ხალხთა თანამშრომლობის პრინციპების შესახებ. ამის თაობაზე მან წამოაყენა საკმაოდ არაორდინარული, მაგრამ იმ მომენტისათვის განუხორციელებელი იდეები. და მე პირდაპირ ვუთხარი ეს.

აფხაზეთში ომი მიმდინარეობდა და ჩეჩნები სეპარატისტთა დამკვრელ ძალას შეადგენდნენ. იმავე დროს, სოხუმს ბომბავდნენ რუსეთის თვითმფრინავები, გუდაუთაში მიდიოდა რუსული იარაღით დატვირთული ეშელონები, მინისტრი გრაჩოვი აყენებდა წინადადებას შეეყვანათ აფხაზეთში ორი დივიზია, გენერალური შტაბის უფროსი კოლესნიკოვი რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს არწმუნებდა, სოხუმის აღება სულ რამდენიმე დღის საკითხიაო, ხოლო გენშტაბის ოფიცრები გეგმავდნენ ოპერაციას ჩვენს წინააღმდეგ...

ოდესმე მე უფრო დაწვრილებით მოვყვები ამ შეხვედრის დეტალებს, მაგრამ იმ მომენტში ყოველი ჩვენგანი თავის აზრზე დარჩა. ასე დავშორდით ერთმანეთს.

დღეს, როდესაც ვკითხულობ ნაირნაირ მტკიცებებს, კერძოდ, „შევარდნაძე კავკასიიდან რუსეთის გამოდევნისა და რეგიონში მის მაგივრად დასავლეთის ქვეყნების ჩანაცვლების პოლიტიკას ახორციელებსო", – მე ვფიქრობ იმაზე, რომ ეს სიცრუე მიმართულია არა მარტო ჩემი და საქართველოს წინააღმდეგ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის წინააღმდეგ. მთელი ეს ინსინუაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ რუსეთის საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაციას და აქეზებენ ხელისუფალთ მიიღონ რუსეთისათვის დამღუპველი გადაწყვეტილებანი, მომდინარეობს თავის ამვების გზების იმ მაძიებელთაგან, რომლებიც საკუთარი ქვეყნის გვერდის ავლით და მისი ინტერესების საზიანოდ აქუცმაცებენ რუსეთის პოლიტიკას თავთავიანთ „სამკვიდროებად", კალთას აფარებენ ტერორისტებს, ხელს უწყობენ მშვიდობიან შეთანხმებათა ჩაშლას, ამუშავებენ კავშირის ყოფილი რესპუბლიკების ძალისმიერი დამორჩილების დოქტრინებს და ა. შ. სწორედ მათ უნდა უმადლოდეს რუსეთი თავისი პოზიციების შესუსტებას რეგიონში, თორემ მათ გარდა სხვა არავინ ერეკება რუსეთს აქედან.

— მაინც, ვინ არიან ისინი კონკრეტულად? თქვენ იცით სახელები?

– ჩვენს დროში ყოველივე დაფარული ძალიან მალე ცხადდება და ხდება აშკარა პოლიტიკის არსი. ამასთანავე, რუსული პრესა საკმაოდ კარგი სარკეა საიმისოდ, რომ სულ იოლად დაინახო, ვინ ვინ არის.

თეიმურაზ მამალაძე.
თბილისი.
გაზ. „იზვესტია". (111).

ალმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

რეფორმების გაღრმავების განმსაზღვრელი ტაქტიკა და სტრატეგია

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ 18 ივნისს გაიმართა საქართველოს მთავრობის სხდომა, რომელმაც ქვეყნისათვის აქტუალურ საკითხებზე იმსჯელა. ნაწილზე გუშინდელ „საქართველოს რესპუბლიკაში" გიამბეთ. დანარჩენს, შეპირებისამებრ, დღეს გთავაზობთ.

შეიქმნა სამსახური. რომელმაც უნდა მოაწესრიგოს და წარმართოს სადაზღვევო საქმიანობა

სხდომის დღის წესრიგის პირველი პუნქტი იყო საქართველოში დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შექმნის საკითხი. მიმდინარე რეფორმებისა და საქართველოს წინაშე დასახული სატრანზიტო პერსპექტივების ფონზე ასეთი სამსახურის ამოქმედება განსაკუთრებით აქტუალურია. როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზაზა შენგელიამ „დაზღვევის შესახებ" ამ ცოტა ხნის წინათ მიღებული კანონის საფუძველზე აღნიშნა, ეს იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სადაზღვევო საქმიანობის განვითარებას, მოაწესრიგებს და წარმართავს მას, განახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას დაზღვევის სფეროში. როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ თქვა, განსაკუთრებული მოვალეობანი ახალ სამსახურს ეკისრება ქვეყნის შიგნით არასახელმწიფო ფონდებისა და საინვესტიციო ნაკადების მართვის თვალსაზრისით, რაც მას მარტო სოციალურ-ეკონომიკურს კი არა, პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ანიჭებს. მით უმეტეს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობის პროცესებისა და ეკონომიკური ზრდის პარალელურად გაჩნდა დიდი მოთხოვნა სადაზღვევო პროდუქტზე და უდიდესი საერთაშორისო სადაზღვევო ორგანიზაციები უკვე სერიოზულ დაინტერესებას იჩენენ ქართულ ბაზარზე ინვესტირებისა და მუშაობისადმი.

მთავრობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შექმნის წინადადებას და მოიწონა მისი ხელმძღვანელის კანდიდატურა. ამ თანამდებობაზე დაინიშნა ახალგაზრდა, მაგრამ ამ საქმეში უკვე გამოცდილი სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი არჩილ ცერცვაძე, რომელსაც ახალი სამსახური წარმოუდგენია მძლავრ სოციალურ-ეკონომიკურ რეგულატორად, უნარი რომ შესწევს ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის გარემო შექმნას დაზღვევის სფეროში. სამსახურის ხელმძღვანელმა სავსებით გაიზიარა ქვეყნის პრეზიდენტის თვალსაზრისი, რომ ეს ორგანო უნდა იყოს არა იმდენად ზედამხედველი, მაკონტროლებელი, რამდენადაც სწორედ რომ მარეგულირებელი და მაკოორდინირებელი, რომელიც აქტიურად განახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბებაში.

მიწა საქართველოში პატრონს უბრუნდება

მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურაბ გეგეჭკორმა მთავრობას მოახსენა, თუ როგორ სრულდება ამ დეპარტამენტისათვის მიცემული დავალებანი მიწის რეფორმისა და მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნის შესახებ. როგორც მისი ინფორმაციიდან ჩანდა, 1997 წლის პირველი აპრილისათვის საქართველოს მოქალაქეებმა კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ მიიღეს 864 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რაც ნავარაუდევზე 16 ათასით მეტია. აქედან პრივატიზებულია 749 ათასი ჰექტარი ანუ ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მეოთხედი. მიწა დაისაკუთრა 996 ათასმა ოჯახმა. აქედან ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა 561 ათას ოჯახს გადაეცა 672,1 ათასი ჰექტარი, რაც საშუალოდ ერთ ოჯახზე შეადგენს 1,19 ჰექტარს. ამასთანავე, სოფლად განათლების სფეროს მუშაკთა 41.850 ოჯახმა მიიღო 27.600 ჰექტარი ანუ საშუალოდ 0,66 ჰექტარი, კულტურის სფეროს მუშაკთა 8.350 ოჯახმა – 5.300 ჰექტარი ანუ საშუალოდ 0,64 ჰექტარი, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა 11.830 ოჯახმა – 7.600 ჰექტარი ანუ საშუალოდ 0,64 ჰექტარი. სულ კი განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა 62.000 ოჯახმა მიიღო 40.500 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული ანუ საშუალოდ თითოეული ოჯახის წილად მოდის 0,65 ჰექტარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ სოციალური სფეროს წარმომადგენელთა თითოეულ ოჯახში საშუალოდ ხუთი სულია, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ სფეროს 310 ათასი კაცი მიწის მესაკუთრე გახდა.

რაც შეეხება მიწის რეფორმის მეორე ეტაპს, თქვა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, მისი განვითარება ორ ასპექტს ითვალისწინებს. პირველი – ეს არის კანონის მიღება „მიწის შესახებ", რომლის საფუძველზე არასასოფლო ანუ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისათვის განკუთვნილი ნაკვეთების გარდა, საკუთრებაში, იჯარით ან რაიმე სხვა ფორმით უნდა გადაეცეს მთელი სხვა მიწები, მათ შორის ის მიწებიც, რომლებიც უკავია ინდივიდუალური თუ საერთო სარგებლობის საცხოვრებელ სახლებს, სამრეწველო და სხვა ობიექტებს, ტყისა და წყლის ფონდებს. და მეორე, როცა უნდა დაიწყოს ყველა კანონის იურიდიულ საფუძველზე პრაქტიკული განხორციელება, ანუ მიწისა და მასთან დაკავშირებული უძრავი ქონების საზღვრების, რაოდენობრივ-თვისებრივი და სამართლებრივი მდგომარეობის სახელმწიფო რეგისტრაციის კომპიუტერული სისტემის დანერგვა. სწორედ ამან განაპირობა პრეზიდენტის დავალებანი, რომ მომზადებულიყო კანონპროექტები „მიწის შესახებ" და „მიწის გადასახადის შესახებ", აგრეთვე დანერგილიყო ქვეყანაში მიწის რეგისტრაციის სისტემა, რაზედაც დღესაც გრძელდება ენერგიული მუშაობა.

როგორც ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, მიწის კადასტრისა და აღრიცხვის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნა მიწის რეფორმის წინსვლის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. და იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და ხარისხიანად დაინერგება ეს სისტემა, ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის მიწის რესურსების ეფექტიანი გამოყენება და უშუალოდ ამასთან დაკავშირებული მოსახლეობის დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა.

მთავრობამ განიხილა აგრეთვე და მთლიანად მოიწონა პროექტი კანონისა „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაცვლად მიწის ათვისების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ".

ლიცენზირებისა და სერტიფიკაციის და საკრედიტო კავშირების შესახებ

სხდომაზე საფუძვლიანი განხილვის საგანი გახდა კიდევ ორი საკითხი, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების გაღრმავებას. ერთ-ერთი მათგანი ეხებოდა სასაქონლო წარმოებაზე ლიცენზიების გაცემისა და სერტიფიკაციის პრაქტიკას და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებს, მეორე კი – სოფლად საკრედიტო კავშირების შექმნას. თუ პირველ შემთხვევაში საქმე ეხება სერიოზულ შეფერხებებსა და შეცდომებს იმასთან დაკავშირებით, რომ არ სრულდება ქვეყნის პრეზიდენტის 1996 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულება, რომელიც ლიცენზირების, სერტიფიკაციისა და ხარისხის კონტროლის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნას ითვალისწინებდა, რასაც უაღრესად პრინციპული შეფასება მიეცა, მეორე შემთხვევაში მთავრობამ კმაყოფილებით აღნიშნა სოფლად ალტერნატიული საკრედიტო ინსტიტუტების შექმნაში მიღწეული პროგრესი, როგორც ქმედითი ბერკეტი, რომელსაც არსებითად მცირე და საშუალო ბიზნესის გააქტიურების უნარი შესწევს და ამდენად გავლენას მოახდენს საფინანსო ბაზრის კონიუნქტურაზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ აგრარულ სექტორში დაწყებული საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს, რომელიც ევროკავშირის „ტასისის", აგრეთვე მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის პროგრამით შემოთავაზებული მოდელებით და მათი უშუალო დახმარებით ხორციელდება, უკვე მოაქვს რეალური ნაყოფი და სწორედ, ამიტომ, საჭიროა ასევე ინტენსიურად გაგრძელდეს ეს პერსპექტიული საქმე.

ედუარდ ედიბერიძე,
საქინფორმის კორ.

განგაში

ხორბალი ჩვენი გვქონდეს და შესასყიდად სხვაგან გავრბოდეთ?!

ქვეყანა „აგროინვესტის" ინტერესებით ვერ იცხოვრებს!

— რატომ არის „აგროინვესტი" დაინტერესებული საზღვარგარეთული ხორბლის შესყიდვით, თუ ჩვენებური პურეული ხარისხითაც კარგი იქნება და თანაც იაფი? — სვამს კითხვას საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში ლევან მამალაძე.

— „აგროინვესტმა" დაღუპა მარნეულის პურპროდუქტების კომბინატი. მან უნდა შექმნას რაღაც ფონდი, რომ შეისყიდოს ადგილობრივი ხორბალი, — ამტკიცებს მარნეულის რაიონის გამგებელი ოთარ მაზმიშვილი.

ასეთი ყურადსაღები შენიშვნები გამოითქვა „აგროინვესტის" მისამართით ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციის სხდომაზე, რომელიც წლევანდელი პურეულის მოსავლის აღებისა და დაბინავების პრობლემას მიეძღვნა. ხორბლის შესყიდვის საკითხი მწვავედ დაისვა ამას წინათ თელავში გამართულ კახეთის რეგიონულ შეკრებაზეც.

და აი, გარდაბნისა და მარნეულის რაიონების სოფლებს ვეწვიეთ. კარგა ხანია ასეთი თავთავდაზნექილი ყანები აღარ გვინახავს. პურეული ოქროსფრად ღუის, აქა-იქ კომბაინებს ყანები უკვე გაუჭრიათ.

– ეს პირველი სასინჯი გასვლაა, – გვიხსნის მარნეულის რაიონის აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსი ტარიელ ღონღაძე, – როგორც ჩანს, ხვავიანი ალოობა გვექნება. შარშან საშემოდგომო თავთავიანი კულტურები დიდ ფართობზე დაითესა, მოსავალს კარგი პირი უჩანს. ამაში გადამწყვეტი როლი მიწის რეფორმამ შეასრულა. წლეულს, პირველად, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფინანსური და მატერიალური დახმარების გარეშე, შესაძლებელი გახდა ჩვენთვის ესოდენ სასურველი პროდუქციის წარმოება. სახნავ-სათესი ფართობები საიჯარო ხელშეკრულებებით მთლიანად გლეხობას და იურიდიულ პირებს გადაეცათ. მათთან ერთად არა ერთი და ორი ქალაქელი ამუშავებს დღეს მიწას რაიონში და არც თუ უშედეგოდ. საბანკო, მაღალპროცენტიანი და არცთუ ადვილად გამოსატანი კრედიტების სანაცვლოდ მათ საკუთარ სახსრებს გაუკეთეს მობილიზაცია. ზოგმა ხარისხიანი, უცხოური სათესლე მასალის შესაძენად და სხვა ხარჯების დასაფარავად ბინაც კი დააგირავა. რისკი იყო, მაგრამ შედეგიც კარგია.

რაიონის ხელმძღვანელობა, სამხარეო ადმინისტრაცია მათ კომბაინებით და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფს. 58 მარცვლის ასაღები მანქანა საკუთარი ძალებით გავმართეთ, მეზობელი ბოლნისის და თეთრიწყაროს მექანიზატორებიც შეგვპირდნენ დახმარებას (მათთან მარცვლის აღება რამდენიმე კვირით იგვიანებს).

მოსავალი მოვიწიეთ და დარწმუნებულიც ვართ მთლიანად ავიღებთ, მაგრამ ვშიშობ, სიხარული ნაადრევი არ აღმოჩნდეს. საქმე ის გახლავთ, რომ არ ვიცით, ვერ გავარკვიეთ, ვის მივყიდოთ ჭარბი ხორბალი. მარტო ჩვენს რაიონში 13-15 ათასი ტონა სასაქონლო მარცვალი გვექნება. ის აქ თუ არავინ იყიდა, იქმნება ქვეყნიდან მისი გადინების რეალური საშიშროება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ **ჩვენს რეგიონში მარცვლეულის ტრადიციული დამამზადებელი — მარნეულის პურპროდუქტების კომბინატი ცივ უარზეა შეისყიდოს ადგილობრივი ხორბალი.**

– ვმუშაობთ ზარალზე, არა გვაქვს მარცვლეულის დასამზადებელი თანხები. „აგროინვესტის" ხელმძღვანელობამ ნება დაგვერთო ხორბალი გადავამუშაოთ და შევიძინოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მისი მომყვანი ყოველ ტონაზე 50 ლარს გაიღებს, – განაცხადა ადმინისტრაციის ზემოთ აღნიშნულ სხდომაზე მარნეულის პურკომბინატის დირექტორმა სოსო ქარსელაძემ.

პრეზიდენტის რწმუნებულმა მას ამ წერილის თავში გამოტანილი კითხვით მიმართა, მაგრამ დირექტორმა, როგორც ჩანს, პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

– მარნეულის კომბინატის საკითხი შესასწავლია. უნდა გავარკვიოთ, რატომ დათმო საწარმომ პოზიციები. მის მიერ გამომუშავებული ფქვილი დაბალი ხარისხისაა და სიძვირის გამო ძნელად საღდება, – ითქვა სხდომაზე.

ქვემო ქართლში, რომელიც 6 რაიონს აერთიანებს, წლეულს 120-130 ათას ტონა მარცვლეულს მოელიან, აქედან 80 ათასი ტონა სარეალიზაციო (სასაქონლო) იქნება. როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, არანაირად არ იქნება გამართლებული ამ რეზერვის ხელიდან გაშვება და მის სანაცვლოდ უცხოურ ვალუტაზე მარცვლის შორეული კანადიდან თუ შედარებით ახლო მდებარე რუმინეთიდან ან იტალიიდან შემოტანა.

ქვემო ქართლში და, საერთოდ, მთელ ქვეყანაში, სადაც კი ყოფილი პურპროდუქტებისა და დამზადების სამინისტროს მსხვილ საწარმოებს „აგროინვესტი" დაეპატრონა, ადგილობრივი ახალფეხადგმული ქართველი ფერმერებისა და გლეხკაცობისგან მარცვლის შესყიდვა სათუო გახდა. ამის შესახებ თელავში, კახეთის რეგიონულ შეკრებაზეც აღინიშნა.

სოფელს ახლა ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი, თქვა ჩვენთან საუბარში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ. გლეხობამ, რომელმაც სამი მოუსავლიანი წლის მიუხედავად მაინც არ გაიტეხა გული და საქმეს არ უღალატა, კარგი მოსავალი მოიწია. უნდა მოვუწოდოთ და ვთხოვოთ ხორბლის გადამამუშავებლებს, პურის მრეწველობის მუშაკებს, ყველას, ვისაც ხორბალთან აქვს საქმე, თუ მათ სურთ გარანტირებული ჰქონდეთ სტაბილური მუშაობა, შეისყიდონ ქართული ხორბალი, იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივ ხორბალს, შესაძლოა უცხოურის შერევაც დასჭირდეს კუპაჟირების თვალსაზრისით. თავისუფალ საბაზრო პირობებშიც კი ჩვენი პატრიოტული ვალია ქართული ხორბლით გამომცხვარი პური ვჭამოთ, საკმაოდ მარგებელი და გემრიელი. სხვაგვარად ყველას ერთნაირად გაგვიჭირდება. მართალია, ამჟამად სახელმწიფო პურს საზღვარგარეთ არ ყიდულობს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ფული სახელმწიფო ხაზინიდან გავა თუ კერძო სექტორიდან? ეს თანხები ხომ მთელ საქართველოს, ჩვენს ხალხს აკლდება. ამჟამად ყოველთვიურად ამ მიზნით 9-12 მილიონი დოლარი გაედინება საზღვარგარეთ. ეს ფული რომ საქართველოში დარჩეს და ჩვენს მხვნელ-მთესველთა ხელში აღმოჩნდეს, ცუდი იქნება?

ამიტომაც მოითხოვეს კახელმა მხვნელ-მთესველებმა იქაური წისქვილკომბინატების – „კახეთის პურის" და „მირაჟის" მფლობელებმა საპარტნიორო ფონდიდან მიიღონ არა ნაკლებ 10 მილიონი ლარის კრედიტი, რითაც, 40-45 ათასი ტონა ხორბლის დამზადება შეიძლება. ეს არა მარტო სტიმულს მისცემს ფერმერებს, ბიუჯეტსაც სასიკეთოდ წაადგება.

ყურადსაღები აზრი გამოითქვა რუსთავშიც. აქაურებს მიაჩნიათ, რომ შიდა ბაზარი ჩვენ თვითონ უნდა დავიცვათ. ამის მომენტი სწორედ ახლა დაგვიდგა, როცა ადგილობრივი ხორბალი შემოდის.

ისიც უნდა ითქვას, რომ ყველგან უიმედობა როდი სუფევს. **რუსთავის წისქვილკომბინატის დირექტორმა ოთარ თოფურიამ, მაგალითად, ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ იგი მზად არის შეისყიდოს 10 ათასი ტონა ქართული ხორბალი.**

საამისოდ მას თანხებიც აქვს და სურვილიც.

ვერ გაგვიგია, მას რატომ სხვებიც არ აუბამენ მხარს? ამ საკითხით დავინტერესდით, სააქციო საზოგადოება „აგროინვესტის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს დავით კაჭახიძეს ტელეფონით დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ. არაო, სასტიკი უარი გვითხრა შეხვედრაზე ბატონმა დავითმა, თანაც დაუმატა: საერთოდ ეს პრობლემა ჩვენი გადასაწყვეტი არ არის და ტყუილუბრალოდ თავი რატომ ავიტკიოთო, იგი დიდ კრედიტებთან, აგრეთვე დიდ რისკთან არის დაკავშირებული და იმათი მოსაგვარებელია, ვინც მოსავალი მოიყვანაო (?!) ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, მათ ხორბალი გადავუმუშაოთ, შევუნახოთ და ესეც იმ შემთხვევაში, თუ საფასურს გადაიხდიანო.

ძალაუნებურად გაგვახსენდა შარშან მავანის მიერ საზღვარგარეთიდან შემოტანილ „ბაღლინჯოთი" დაავადებულ ხორბალზე პრესაში რა აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა ატყდა. შემდეგ მას მთელი მტკიცებები დასჭირდა, რომ ხალხი ხორბლის უვნებლობაში დაგვერწმუნებინა (დარწმუნდა კი?). ეტყობა, ეს ამბავი ბატონ დავითსაც გაახსენდა და ამიტომ უფრო გაგვინაწყენდა. თუმცა მაინც აუხსნელი დარჩა – **რატომ არ სურს „აგროინვესტს" ქართული ხორბლის შესყიდვა, იმიტომ ხომ არა, რომ მავანთათვის მისი საზღვარგარეთიდან შემოტანა უფრო მომგებიანია, ვიდრე ადგილზე დამზადება?**

ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ფაქტია, რომ პრობლემა, რომელიც წლევანდელმა ალოობამ დააყენა, სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას. რა თქმა უნდა, ქვეყანა (და გლეხობაც) „აგროინვესტის" ინტერესებით ვერ იცხოვრებს. გაუგებარია, უბრალოდ ალოგიკურია, შენ ხორბალი გქონდეს და მის შესასყიდად გარეთ გარბოდე. რატომ?!

ამირან მითაგვარია,
ოთარ ხუციშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
№141. პარასკევი, 20 ივნისი. 1997 წელი.

მოდი, ვნახოთ რეფორმა!..

კარგა ხანია გვინდოდა ამ თემაზე მასალის მომზადება და, როგორც იქნა, ობიექტიც შევარჩიეთ: გადავწყვიტეთ საამისოდ თბილისისპირა რაიონი — გარდაბანი „დაგვეჭაშნიკებინა". მით უფრო, რომ რაიონი მრავალეროვანია, სავსეა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სასწავლო და სამეცნიერო, საკურორტო ობიექტებით, კულტურული და ისტორიული ძეგლებით.

სიმართლე უნდა ითქვას: ამ რაიონის მართვა იოლი არასდროს ყოფილა. არც კომუნისტური რეჟიმის წლებში და არც საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის ამჟამინდელ პერიოდში: და ამის მიუხედავად, გარდაბანი ეროვნული პროდუქციის წარმოების, რეფორმების მიმდინარეობის, ბიუჯეტში სახსრების მობილიზების და რიგი სხვა მაჩვენებლებით ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულთა პირველ რიგებში მკვიდრობას.

რეფორმათა მსვლელობის ლაბირინთებში გზა რომ არ აგვბნეოდა, გარდაბნელთა თავკაცმა ლევან ჯაფარიძემ დაგვაკვალიანა. გამგებელი აქაური მკვიდრია — დაიბადა გარდაბანში, მეცნიერ მუშაკთა ოჯახში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წლების მანძილზე მუშაობდა მშობლიურ რაიონში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, ბოლოს გამგებლის პირველ მოადგილედ. წლეულს მარტიდან დიდი ნდობა გამოუცხადეს — გარდაბნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პოსტი ჩააბარეს.

გარდაბნის რაიონის გამგებელი ლევან ჯაფარიძე.

სტერეოტიპები იმსხვრევა

— ბატონო ლევან, როგორია თქვენი მუშაობის სტილი?

– გამჭვირვალე, ვცდილობ კარგახსნილი და ხელმისაწვდომი ვიყო ყველასათვის. დასამალი არავისგან არაფერი მაქვს, დღის ნებისმიერ დროს შეიძლება ჩემთან დაკავშირება. ვერ ვეგუები ქაოსს, რასაც, ხშირად, ყველა საკითხზე რაიონის პირველ ხელმძღვანელთან შეხვედრის სურვილი იწვევს, რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება მოსვლა, მაგრამ არა გამგეობის თავმჯდომარესთან, არამედ შესაბამისი დარგის ან სამსახურის ხელმძღვანელთან, სხვა საქმეა თუ ისინი საკითხის გადაწყვეტას აჭიანურებენ და ჩემი ჩარევა აუცილებელი ხდება.

– სტერეოტიპი რაიკომობის ეპოქაში ჩამოყალიბდა. მაშინ უპირველმდივნოდ არაფერი წყდებოდა. დამლაგებელსაც ვერ დანიშნავდი, თუ არ შეათანხმებდი პირველთან. ეს ინიციატივას ამუხრუჭებდა. ბევრი მცოდნე, ენერგიული სპეციალისტი ცდილობდა ყველაფერში პირველისთვის მიებაძა, მისი ჭკუით ემუშავა და ეცხოვრა.ზოგს ახლაც არ სჯერა, თუ დამოუკიდებლად შეიძლება საქმის წამოწყება. ასეთი სტერეოტიპები დიდად გვიშლიან ხელს რეფორმების გატარებაში. უმეტესად ამას ავლენენ ასაკოვანი ხელმძღვანელები, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ დირექტივებით მუშაობას.

დღეს ქვეყანაში თავისუფალი საბაზრო ურთიერთობა მკვიდრდება. ბაზარი ხდება ისეთი სარკე, რომელშიც კარგად ჩანს, ვინ რის მაქნისია. გახდი მეწარმე? კეთილი ინებე და სოფლად იქნები თუ ქალაქად, აწარმოე საუკეთესო პროდუქცია უფრო იაფად, ვიდრე სხვამ, ნახე მოგება, გადაიხადე, გადასახადები, იყავი პირნათელი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

— ამას წინათ რაიონულ თათბირზე, რომელიც სოფლად რეფორმის მიმდინარეობას განიხილავდა, თქვენ გაუქმებული სახელმწიფო მეურნეობების სანაცვლოდ საიჯარო ფერმერულ გაერთიანებებზე გადასვლის დაჩქარება მოითხოვეთ. რას გულისხმობდით?

– მოდით, ზოგი რამ დავაზუსტოთ. კანონში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ" იმთავითვე იყო გათვალისწინებული სახელმწიფო და საკოლმეურნეო მიწების ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკური პირების, ფიზიკურ პირთა ჯგუფების ან იურიდიული პირებისათვის გადაცემა. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონის შესაბამისად რაიონში ძირითადად დასრულდა საკარმიდამო ნაკვეთების შევსება. ამასთანავე რაიონის გამგეობამ 36.056 ჰექტარი ფართობი ხელშეკრულებით გაუფორმა 207 მოიჯარეს, 7711 ჰექტარი – 64 კერძო ფირმას, 5158 ჰექტარი – 107 საინიციატივო ჯგუფს. ამასთან 33 ყოფილი სახელმწიფო მეურნეობის სარგებლობაში დარჩა 23.783 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობები, მანქანა-იარაღები, სარწყავი სისტემები და სხვა ობიექტები.

რა უნდა გვექნა ამ მიწებისათვის?

მხარის ადმინისტრაციამ შეიმუშავა ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც სახელმწიფო მეურნეობებში დარჩენილი მიწებისა და ქონების ბაზაზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების (შპს) დაფუძნებას ითვალისწინებდა. კანონში „მეწარმის შესახებ", ამის თაობაზე ყველაფერი ნათლად არის ჩაწერილი. ახლადდაფუძნებული შპს იჯარით იღებს მიწას და ძირითად საშუალებებს, შემდგომში მათი გამოსყიდვის უფლებით. თითქოს აქ არაფერია საეჭვო და გაუგებარი, მაგრამ ძველი მეურნეობრიობის ფორმიდან ახალზე გადასვლის პროცესი მაინც გაგვიჭიანურდა. კვლავ თავი იჩინა სტერეოტიპმა აზროვნებაში. ბევრ ნადირექტორალს არ შესწევს უნარი ოპერატიულად გაიაროს ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმის შეცვლასთან დაკავშირებული პროცედურები.

თუმცა გამოჩნდა ახლებურად მოაზროვნე მეწარმეთა გუნდიც. 33-დან ხუთი ყოფილი მეურნეობის ბაზაზე საქმიანობა გაშალეს ახალმა საზოგადოებებმა – ახალი უფლებებითა და მოვალეობებით, იდეებითა და იმედებით. ერთი მათგანია ყოფილი გარდაბნის მებოსტნეობის მეურნეობის მემკვიდრე შპს „ბირლიკი"; რომლის ხელმძღვანელობა დამფუძნებელთა კრებამ სოფლის მეურნეობის ცნობილ სპეციალისტსა და ორგანიზატორს მაგარამ გასაროვს დააკისრა. მისი გამოცდილება და უნარი საქმეს უმალ დაეტყო, მუშაობასა და ურთიერთობებში დამკვიდრდა ახალი ფორმები. მოსავალს კარგი პირი უჩანს, იგი შემოსავლებისა და მოგების მიღების იმედს იძლევა. ეს კი აქ მომუშავეთა დაინტერესების საწინდარია.

საერთოდ რეფორმამ მომუშავეთა ინტერესი რომ გაზარდა, ეს ფაქტია, დღეს რაიონში, შეიძლება ითქვას, არც ერთი ჰექტარი ფართობი დაუმუშავებელი არ დარჩენიათ. მოსავალიც გვექნება. მარტო ხორბალს 25 ათას ტონაზე ნაკლებს არ მივიღებთ. აქედან 10-12 ათას ტონას გავყიდით. აღმავლობის გზით მიდის მემცენარეობის სხვა დარგებიც, მეცხოველეობა. ყოველივე ეს დადებითად აისახება ბიუჯეტთან ურთიერთობაში.

— ბიუჯეტი ახსენეთ, რომელიც სახელმწიფოსა და ხალხის კეთილდღეობის საფუძველთა საფუძველია, როგორ ასრულებთ?

– ვასრულებთ. ხუთ თვეში გათვალისწინებული 1.492 ათასი ლარის ნაცვლად სახელმწიფო ხაზინამ 1.609, 6 ათასი ლარი მიიღო. ცენტრალური ბიუჯეტის დავალება შესრულდა 101 პროცენტით, ადგილობრივისა – 114,6 პროცენტით. სასიამოვნოა, რომ საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზებაში მონაწილე ორგანიზაციების რიცხვი ჩვენთან დღითიდღე იზრდება (იანვარში ასეთი 120 ორგანიზაციის დასახელება მაისში 180-მდე ავიდა). ამასთან, თუ იანვარში 1000 ლარზე მეტის გადამხდელი 34 ობიექტი იყო, მაისში მან 60-ს მიაღწია.

სულ უფრო იკვეთება ეროვნული მეურნეობის წამყვანი დარგების ამოქმედების ტენდენცია. მარტო მაისის თვეში, მიუხედავად ენერგეტიკული კრიზისისა და სხვა სიძნელეებისა, რაიონის მრეწველობის მიერ გამოშვებულია წინა ოთხ თვეში წარმოებული პროდუქციის 51 პროცენტი.

ამას ხელი შეუწყო სამხარეო ადმინისტრაციის აქტიური ჩარევით სს „გარდაბნის" (ყოფილი მუყაო-რუბეროიდის ქარხანა) ამუშავებამ. რამდენიმე კვირაა ამოქმედდა კრწანისის ექსპერიმენტული ქარხანა, ამუშავების პერსპექტივები გაუჩნდა სს „დარაბას", გარდაბნის ტრიკოტაჟის ფაბრიკას, სს „საქაგრობიომრეწვს" (ყოფილი ბიოკომბინატი).

— ეს ალბათ მხოლოდ დასაწყისია. რას იტყვით ასამოქმედებელ რეზერვებზე?

– რეზერვები დიდია. სადღეისოდ რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებულია 456 ორგანიზაცია, რომელთაგან ჯერჯერობით მხოლოდ 191-ია რეალური გადამხდელი. ამ შეფარდებიდანაც ჩანს რა მოცულობის სამუშაოებია ჩასატარებელი გამოუყენებელი რეზერვების ასამოქმედებლად. ახლა მთავარია ხელი შევუწყოთ წინსვლას, თავი დავაღწიოთ ძველი აზროვნების ტყვეობას.

ინვესტორები მომრავლდნენ

ისე როგორც მთელ ქვეყანაში, ამ ბოლო პერიოდში გარდაბანშიც მომრავლდნენ ინვესტორები, ვის არ შეხვდები აქ – ისრაელის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა თუ სხვა ქვეყნების ბიზნესმენებს. მრავალი მათგანი უკვე ჩაება საქმეში. ზოგი კი ჯერაც ფიქრობს, ანგარიშობს. ვერც გაამტყუნებ. კაპიტალისტი თავის ნაოფლარს უპერსპექტივო პროგრამაში არ ჩადებს, უინიციატივო და საეჭვო რეპუტაციის პარტნიორთან მოლაპარაკებას არ გამართავს.

ახლა რაიონში სირაქლემებსაც ამრავლებენ.

თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ. ამჯერად კი ალბათ უპრიანია იმაზე ვილაპარაკოთ, თუ რა ხდებოდა გარდაბანში უკანასკნელი 5-6 წლის მანძილზე.

რა დასამალია, ცუდი ამბები ხდებოდა. რაიონი, რომელიც ერთ დროს დედაქალაქის და რუსთავის მოსახლეობას სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უხვად ამარაგებდა, თანდათან გამოეთიშა დაკისრებულ ფუნქციას და მომმარაგებლიდან მომხმარებლად გადაიქცა. მთლიანად გაიძარცვა, გაჩანაგდა ოდესღაც მძლავრი მეფრინველეობის ფაბრიკები, უნედლეულოდ დარჩა მძლავრი საკონსერვო მრეწველობა, ღვინის ქარხნები, რძის წარმოება, ტყავისა და ქურქის გადამამუშავებელი ფაბრიკა (ყველას ვერ ჩამოთვლი). ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უმუშევარი დარჩა ათასობით სპეციალისტი, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანი, რომელთაც არსებობის წყარო დაკარგეს.

საკუთარ ცხვრის ფარებს მთაში მიერეკებიან.

რა უნდა ექნათ, როგორ წამოეყენებინათ ფეხზე წაქცეული ეკონომიკა? საქმე იმით დაიწყო, რომ რაიონის გამგეობასთან შეიქმნა საგარეო ურთიერთობათა სამსახური, რომელიც კოორდინაციას უწევს ახალი სამეწარმეო პროგრამებისა და ბიზნესგეგმების შემუშავებას, ამ პროგრამებისა და გეგმების მიხედვით ინვესტორების მოზიდვას.

ახალი გარდაბანი.

რეალური ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს სოფელ გამარჯვების მაგალითი, სადაც საქართველოისრაელის ერთობლივი შპს „ბროილერი" ამუშავდა. ჩვენ დავათვალიერეთ ფაბრიკა, სადაც ფრინველის ხორცის პირველი პარტია ჯერ კიდევ შარშან დეკემბერში მიიღეს. ამჟამად ბროილერის უფრო დიდი რაოდენობა გადის სარეალიზაციოდ.

– ჩვენი ბროილერი, – განმარტავს ერთობლივი საწარმოს გენერალური დირექტორი გიორგი ცაბაძე, – 35 დღის ასაკში 1,3-1,4 კილოგრამს იწონის. იგი ეკოლოგიურად სუფთაა და მაღალი სასაქონლო თვისებებით ხასიათდება. ფასიც, ჩვენი აზრით, ხელმისაწვდომია – კილოგრამი 3 ლარი და 20 თეთრი ღირს. თუ დამკვეთი იქნება, შეგვიძლია ყოველდღიურად 10-12 ტონა ხორცი მივაწოდოთ მომხმარებელს.

განახლებული მეფრინველეობის ფაბრიკაში, შპს „ბროილერში".

ეს, ასე ვთქვათ, საწყის ეტაპზე. ახლო მომავალში აქ ბევრი რამ შეიცვლება. დღესდღეობით კი მიმდინარეობს გაპარტახებული საფრინველეების აღდგენა, ტექნიკური აღჭურვა, სასაკლაო და სამაცივრე განყოფილებების მოდერნიზაცია. შორს არ არის ის დღე, როცა ქათმის ხორცი, ბაზრის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, მომხმარებელს შეფუთული მიეწოდება. ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ გაისად ბაზარში უცხოურ ქათამს ნაკლები მყიდველი ეყოლება.

ამის იმედს ისიც გვაძლევს, რომ ყოფილი ამიერკავკასიის ზონალური მეფრინველეობის სადგურის ბაზაზე უცხოელთა მონაწილეობით ახლო მომავალში დაიტვირთება საფრინველეები. მიმდინარეობს მოლაპარაკება რუსეთის, თურქეთის ფირმებისა და თელეთის მეფრინველეობის ფაბრიკის წარმომადგენელთა შორის იხვების გამრავლებისა და გამოზრდის თაობაზე. საბოლოოდ კი იმის მცდელობაში არიან, რომ რაიონში ამჟამად დადუმებული ექვსი მეფრინველეობის ფაბრიკა ამოქმედდეს. ამის ხორცშესხმას დიდად დაეხმარება მეფრინველეობის ფაბრიკების განსახელმწიფოებრიობის პროცესის დაჩქარება, რაზეც მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება.

ინვესტორი გამოუჩნდა სს „სოკოს"-აც. ჰოლანდიურ ფირმა „დავსე" 4 მილიონიან ინვესტიციას მოახმარს კრწანისში ქამა სოკოს (შამპინიონის) უახლოეს პერიოდში გამოყვანას. როგორც ამ საწარმოს ხელმძღვანელმა სოსო ფანცხავამ გვითხრა, აქ ყოველწლიურად აწარმოებენ და გაყიდიან 1200 ტონამდე სოკოს. წინასწარი გაანგარიშებით საწარმოში დასაქმდება 200 ადამიანი, მიიღებენ 1,2 მლნ ლარის მოგებას.

აი, ფრანგულმა სამუშაელო ფირმამ „დიელო-კონსელომ" კი ალღო აუღო გარდაბანში ტყავის ნედლეულის დამზადებისა და მისი ადგილზე გადამუშავების პერსპექტივას. მას ასევე სჯერა, რომ ქვემო ქართლში შაქრის ჭარხლის მოყვანისა და წარმოების დიდი შესაძლებლობებია. ამიტომაც ამ ფირმის მეცადინეობით რაიონში საქმიანი ვიზიტით იმყოფებიან ფრანგი ბანკირები, ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ მოლაპარაკება შედეგიანი იქნება.

თუმცა ზოგიერთებს „სქელჯიბეებიანი" ინვესტორების მომრავლება ერთგვარად აღიზიანებს. ამ საქმის მომავალს ეჭვის თვალით უყურებენ – ვაი თუ მოგვატყუონ, გაგვყვლიფონ, ცივ ქვაზე დაგვტოვონო.

ვფიქრობთ, აღელვების საბაბი არარეალურია. ხელშეკრულებებში, რომლებიც ჩვენსა და უცხოელებს შორის ფორმდება, ორივე მხარის ინტერესებია გათვალისწინებული. მეტ რისკს კი უცხო ინვესტორი ეწევა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მეცადინეობა არ მოვაკლოთ, რომ საქმე წარმატებით დაგვირგვინდეს.

თბილსრესი — ქვეყნისა და რაიონის საზრუნავი

სოფლის მეურნეობაზე საუბარი გაგვიგრძელდა. ეს ბუნებრივიც არის, თუმცა ეკონომიკის ვერც ერთ დარგს ვერ ავაღორძინებთ, თუ ენერგეტიკული კრიზისი არ გამოსწორდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, როგორ მოერწყათ ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, თუ სატუმბი და წყალსაქაჩი სადგურები ძაბვის უქონლობის გამო არ მუშაობენ? უნიკალური, რამდენიმე საფეხურიანი თელეთის მექანიკური სარწყავი სისტემაც, რომელიც წყალს მტკვრიდან იღებს, რამდენიმე წელია გაჩერებულია. ამავე მიზეზით მწყობრიდან გამოვიდა უამრავი ძვირადღირებული მანქანა, ტუმბოები თუ სხვა დანადგარები.

თბილსრესის გენერალური დირექტორი ზურაბ მენაბდე ჩვენთან საუბარში შეჩერდა იმ ურთულეს ვითარებაზე, რომელიც დღეს თბოელექტროსადგურში სუფევს. ჩვენი სტუმრობის პერიოდში სადგურის ელექტროენერგიის გამომუშავების მაჩვენებელი 80 მეგავატზე იდგა. ეს მაჩვენებელი ყველაზე მცირეწარმადობის ენერგობლოკის ნახევარიც არ გახლავთ. არადა, სადღეისოდ აქ მე-9 ბლოკის გარეშეც კი საკმაო ენერგიის მიღება შეიძლება.

– ამოგვეწურა საწვავის მარაგი და რა ვქნათ, – შემოგვჩივლა დირექტორმა. – გამომუშავებულ ენერგიას ჩვენგან „საქენერგო" იღებს (ვის რამდენი და როდის მიაწოდოს, ამას თვითონ ადგენს), მოხმარებული ენერგიის საფასურიც მასთან შედის. ხარჯები ჩვენ მან უნდა აგვინაზღაუროს, მაგრამ რომ არ გვინაზღაურებს?

სადღეისოდ „საქენერგოს" და სხვა ორგანიზაციებს ჩვენი 60 მილიონი ლარი მართებთ, დაახლოებით ამდენივე, ჩვენ სხვებისა გვმართებს, მათ შორის მოხმარებული ბუნებრივი აირისა და მაზუთისა. სადგურს 800 მუშა-მოსამსახურე და ინჟინერტექნიკური პერსონალი ემსახურება. თებერვლიდან მოყოლებული მათ ხელფასი არც ერთ თვეში არ მიუღიათ. არადა, ცვლაში 15-16 ურთულესი სპეციალობის ადამიანები უწევენ მომსახურებას ტურბინებს, ათასგვარ კომუნიკაციასა და ტექნოლოგიურ მოწყობილობას.

ზამთარი გავიდა. ზამთარი ისევ გვიახლოვდება, ჩვენ კი არ ვიცით, როგორ ვიშოვოთ მინიმუმ 5 მილიონი ლარი, რომელიც მე-3, 8, 9 ენერგობლოკების მიმდინარე შეკეთებას ესაჭიროება.

კი მაგრამ, საამისოდ უცხოური კრედიტები ხომ გამოყოფილია? – იკითხავთ თქვენ. რა თქმა უნდა, ასეთი კრედიტები მართლაც არსებობს, მაგრამ...

აი, თუნდაც 56 მილიონი დოლარი, რომელიც მსოფლიო და ევრობანკების მიერ მე-10 ბლოკის მშენებლობის დასრულებისთვის არის გამოყოფილი. უკვე შედგა ტენდერი, რომელშიც მონაწილეობდა სამი გერმანული ფირმა – „სიმენსი", „აბბ" და „კაბ". ივნისის ბოლოს საბოლოოდ გაირკვევა, ვინ იქნება მე-10 ბლოკის მშენებლობის გენერალური მოიჯარადე, ხოლო ოქტომბერში სამონტაჟო სამუშაოები დაიწყება. მანამდე კი ქართველმა ენერგომშენებლებმა მთელი ღირებულების 10 პროცენტის მოცულობის მოსამზადებელი სამუშაოები უნდა შეასრულონ. ნორმატივებით უცხოელი მშენებლები მოვალენი არიან სამუშაოების დაწყებიდან 14 თვის განმავლობაში აამუშაონ 300 მეგავატი სიმძლავრის მე-10 ენერგობლოკი.

ეს მომავლის საქმეა, ჩვენ კი დღევანდელობას დავუბრუნდეთ.

შარშან ნოემბერში თბილსრესი თითქოს სააქციო საზოგადოებად გარდაქმნეს, რეგისტრაციაშიც გაატარეს და წესდებაც დაამტკიცეს. მისი საწესდებო კაპიტალი 189 მილიონ აშშ დოლარის ეკვივალენტურია. აქციების 49 პროცენტი კოლექტივს, ხოლო – 51 პროცენტი სახელმწიფოს ეკუთვნის. მაგრამ ჯერჯერობით ეს ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზეა, რადგან თანხები არ გამოყოფილა, აქედან გამომდინარე, ვერც სამეთვალყურეო საბჭო შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას.

უპატრონოდ რჩება თბოსადგურის ვეებერთელა ინფრასტრუქტურა, რომელიც ქალაქ გარდაბნის ცენტრშია განლაგებული. მართალია, ახლა ხდება მისი ქალაქის მერიის გამგებლობაში უსასყიდლოდ გადაცემა, მაგრამ, საეჭვოა, მცირებიუჯეტიანმა მერიამ მისი მოვლა-პატრონობას თავი გაართვას.

თბილსრესი.

ასეთ პირობებში თბილსრესი სრულად ბიუჯეტს ვერც ქონების გადასახადს უხდის და ვერც დამატებული ღირებულებისას, დიდი დანაკლისით შეაქვს სოციალური ფონდების გადასახადები.

– პირველს, რის გაკეთებასაც შევეცდები, – გვითხრა ზურაბ მენაბდემ, – იქნება ელექტროენერგიის მომხმარებლებთან პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმება, ყოველგვარი შუამავლების გარეშე, თუნდაც ის იყოს ისეთი ავტორიტეტი, როგორიც „საქენერგოა". ამის საშუალება გვაქვს. დღეს, მაგალითად, რუსთავის მსხვილი საწარმოები, გარდაბნის რაიონის მომხმარებლები, ქვემო ქართლის რიგი საწარმოები ენერგიას ჩვენი სადენებიდან იღებენ. ჩვენ შეგვიძლია მათ გადახდილი საფასურის მიხედვით დენი სისტემატურად მივაწოდოთ, თუ თანხა გაჩნდება, საწვავის პრობლემაც აღარ გვექნება, გაირღვევა მოჯადოებული წრე, რომელიც ასე გვაფერხებს. ვფიქრობ, ეს მალე მოხდება.

სულიერებაზეც ვიფიქროთ

მაგრამ რისთვის გვინდა რეფორმები, ეკონომიკის აღორძინება, ამდენი შრომა და გარჯა, უკეთესი მომავლის მოლოდინი, თუ ღმერთის სიყვარული დაგვავიწყდა, საყდარში არ შევიხედეთ, წმინდანთა ხატებს სანთელი არ ავუნთეთ, საერო საქმეებით მოუცლელობა, განა ღვთის წინაშე გაგვამართლებს? ეს კითხვა ყველას თან სდევს.

გარდაბნის რაიონში ბოლო წლებში იგრძნობა მრევლის მომრავლება, საყდარ-ეკლესიების აღდგენა და ახალმშენებლობა. სარწმუნოებას გადარჩეული ხალხი თანდათან უბრუნდება უფლის პატივისცემას, მისი რწმენით შთაგონებული თავად სასწაულებრივად მხნეობს.


სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ამაღლების დღესასწაულზე სოფელ თელეთში.

ჩვენი, გარდაბნის რაიონში ყოფნის პერიოდში სოფელ თელეთში შესანიშნავი ქრისტიანული დღესასწაულის – ამაღლების მონაწილეები გავხდით. აქ, ნასოფლარი გალავნის ხევში, სრულიად საქართველოს კათალიკოსპატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, მისი თანამოაზრეების ძალისხმევითა და მეცადინეობით უძველესი ქართული საეკლესიო კომპლექსი აღორძინდა. იმ დღეს, ამაღლების ამ დიდებულ დღესასწაულზე ათასობით ადამიანი მოვიდა ყოველი კუთხიდან, სადაც ქურთ, აზერბაიჯანელ და სომეხ მოძმეთა ენებზეც გაიგონებდით საუბარს. რაიონის ხელმძღვანელობა, ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის წარმომადგენლები შეხვდნენ ილია მეორეს და მრევლით სავსე ტაძარში მოისმინეს მისი ლოცვა-კურთხევა, იესო ქრისტეს შეგონება – გვიყვარდეს ერთმანეთი, ვთესოთ სიკეთე, მივუტევოთ მტრებს, დავამყაროთ მშვიდობა.

ამაღლების დღესასწაულზე თელეთის ეკლესიაში უამრავი ხალხი მოვიდა.

ამას ვისმენდით და ვფიქრობდით: სულ ასეთ გაჭირვებაში არ ვიქნებით, მოვა დრო და გარდაბნის რაიონის ეკონომიკა, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენი რაიონებისა, მომძლავრდება, აღორძინდება, მომრავლდება ხვავი და ბარაქა, ამაღლდება ხალხის კეთილდღეობა და სულიერება. დღეს თუ სხვები გვეხმარებიან, ხვალ ჩვენ დავეხმარებით, რეფორმები, რომელიც ქვეყანაში ხორციელდება, ამის გარანტიას იძლევა.

ამირან მითაგვარია,
ოთარ ხუციშვილი.

გვეკითხებიან ვუპასუხებთ

რომელი პროდუქცია თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან?

ბათუმიდან შპს „პეკატეფარმის" დირექტორი ვ. მახარაძე გვწერს: „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ" კანონის თანახმად, „ფარმაცევტული პროდუქციის მიწოდება და იმპორტი, რომელიც წარმოდგენილია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 30-ე თავში", იურიდიული პირები გათავისუფლებული არიან დღგ გადასახადისაგან. ეს დებულება აზრთა სხვაობას იწვევს. გთხოვთ გაგვარკვიოთ, კერძოდ, რომელი საქმიანობა თავისუფლდება დღგ გადასახადისაგან: ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება თუ ფარმაცევტული პროდუქციით საბითუმო და საცალო ვაჭრობა?

რედაქცია დაუკავშირდა საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის გადამხდელთა მომსახურების განყოფილების უფროსს ელა ბერძენიშვილს, რომელმაც განმარტა: **დღგ გადასახადისგან თავისუფალია როგორც ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება, ისე ამ პროდუქციით საბითუმო თუ საცალო ვაჭრობა.**

უფასო კონსულტაცია მიწის რეფორმასთან დაკავშირებით

ვარ პედაგოგი, ამჟამად პენსიონერი, მაქვს პრივატიზებული მიწის ნაკვეთი. გთხოვთ განმიმარტოთ, როგორც პენსიონერს მეკუთვნის თუ არა მიწის გადასახადი? ნინა ჩხაიძე, ლანჩხუთი, აცანა.

მიწის გადასახადის დროს შეღავათები სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. დღეისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის დეკემბრის №557 ბრძანებულების თანახმად პენსიონერები და მოხუცები, რომლებიც მარტო ცხოვრობენ, თავისუფლდებიან მიწის გადასახადისაგან.

* * *

— მაქვს პრივატიზებული მიწის ნაკვეთი. საბუთის აღების დროს მომსახურების თანხაც გადავიხადე. მაინტერესებს, მიწის ყოველთვიური გადასახადი, რა დროიდან უნდა გადავიხადო და რამდენი? დურსუნ რომანაძე, ლანჩხუთი, აცანა.

გადასახადის გადახდა გათვალისწინებულია 1995 წლის 1 იანვრიდან. ე. წ. ყოველთვიური გადასახადი არ არსებობს. არის მიწის სამეურნეო გადასახადი. გადახდის ვადაა წლის ბოლო დღე 31 დეკემბერი. თანხის რაოდენობა განისაზღვრება მიწის ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, ძირითადად, საშუალო მაჩვენებელია აღებული. ლანჩხუთის რაიონისათვის ეს თანხა 19,2 დოლარის ეკვივალენტურია (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №398. 1994 წლის 18 დეკემბერი, დანართი 1).

* * *

— დედაჩემი გათხოვილი იყო სოფელ რუისში. დაოჯახებიდან წელიწადნახევარში გარდაიცვალა მამაჩემი. მე 4 თვის დავრჩი. დედა დაბრუნდა სოფელ დირბში, თავის სოფელში, მეც თან წამიყვანა. იქ მასწავლებლად მუშაობდა. 16 წლის შემდეგ დედა მეორედ გათხოვდა. ამ დროს მე უკვე თბილისში ვსწავლობდი. წლების განმავლობაში ნაკვეთს დედა და მამინაცვალი ამუშავებდნენ. 1996 წელს გარდაიცვალა დედა. ნაკვეთს მამინაცვალი ამუშავებს, მე არ მაძლევს უფლებას ვისარგებლო ამ ნაკვეთით, დედაჩემის ანდერძიც დამიმალა.

გთხოვთ გამარკვიოთ, ვითვლები თუ არა დედის მემკვიდრედ და მაქვს თუ არა უფლება ნაკვეთით ვისარგებლო? ეთერ გიგიაშვილი, ქარელი, დირბი.

თქვენს წერილში ბევრი რამ ჩვენთვის გაუგებარია, მაგალითად, თბილისში სწავლის დროს ჩაწერილი სად იყავით, ანდა დღეს სად ცხოვრობთ, სად მუშაობთ.

თუ კომლში ჩაწერილი ხართ, სადაც მამინაცვალი ცხოვრობს, მაშინ მიწით სარგებლობის თანაბარი უფლება გაქვთ, თუ ცალკე კომლად ირიცხებით და მიწის ნაკვეთი არ გაქვთ, რაიონის მიწის რეფორმის კომისიას უნდა მიმართოთ, რომელიც კანონის შესაბამისად ნაკვეთს გამოგიყოფთ.

* * *

— მიწის ნაკვეთის პრივატიზაცია არ მომიხდენია, რადგან ავადმყოფობის გამო თბილისში ვარ შვილთან. ამბობენ, იმატებსო, გადასახადი, მართალია? ქრისტინე ახოზაძე, ხარაგაულის რაიონი.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს 1996 წლის 16 თებერვლის აქტით დამტკიცებულია საპრივატიზაციო (მიწების მიღება-ჩაბარების დროს გაწეული მომსახურების) ხარჯები. გადასახადის გადიდება მოსალოდნელი არ არის.

განუკითხაობა

აგარაკები წყნეთში

ამრიგად, მთლიანად დადასტურდა ჩვენს მიერ ადრე შემოწმებულის სისწორე. როგორც ადრე, ამჯერადაც კომისიამ კატეგორიულად მოითხოვა არსებული წესის შესაბამისად შეედგინათ ერთიანი აღრიცხვიანობა, კატეგორიების მიხედვით, რიგითობის დადგენით და შემდეგ გადაწყვეტილიყო მათი საბინაო საკითხი. ასეთი წესრიგი არჩილ მამუკაშვილს არ აძლევდა ხელს. თუ რატომ, ამას, ალბათ, მიხვდება მკითხველი.

8 ივნისს მერიაში რომ კომისია შეიქმნა, რატომღაც არ მოეწონათ მინისტრთა კაბინეტში და მეორე დღეს, 9 ივნისს, გამოვიდა განკარგულება № 426 გ და დადგენილება № 449 თ. სიგუას ხელმოწერით.

ზემოთ მოხსენებულ განკარგულების პროექტში შეიცვალა მე-2 მუხლი: მერიის ბინებს, კოტეჯებს, მიწის ფართობებს თავი ანებეს და ამ მუხლით „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დაევალა დაბა წყნეთის მოსახლეობისათვის მისაყიდი ბინების ფასის განსაზღვრის ორგანიზაცია, ხოლო თბილისის მერიას – ბინების განაწილების კონტროლი“, დადგენილებით კი წყნეთს გადასცეს 319,4 ჰექტარი სხვადასხვა დანიშნულების მიწა.

საინტერესოა, რატომ გაფორმდა ერთსა და იმავე დღეს ერთი და იგივე საკითხი სხვადასხვა დოკუმენტით? ამაზე ადრეც ვამახვილებდი ყურადღებას, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფაქტობრივად არ აღნიშნეს, თუ სულ რამდენ ბინას აძლევდნენ წყნეთს. 116 ოროთახიანი ბინა, გასაგებია, მაგრამ „ 15 ოროთახიანი ოთხბინიანი კოტეჯი“ რას ნიშნავს, გაუგებარია! როცა მერიაში ეს საკითხი გააანალიზეს (24. 11. 94 წლის გადაწყვეტილება № 35-34-54), 15 შენობაში 60 ბინა გამოვიდა. ე.ი. სულ წყნეთს მინისტრთა კაბინეტმა მოსახლეობაზე მისაყიდად გამოუყო 176 ბინა.

მიუხედავად ამისა, წყნეთის ზოგიერთი მობინადრე არჩილ მამუკაშვილის ხელმძღვანელობით, მაინც აგრძელებდა თვითნებობას, მერიის აგარაკებსა და დაკავებულ მიწებს არ ათავისუფლებდა, კვლავ იტაცებდა მიწებს. მაგალითად, ბაჟეთა სანატორიუმ „მზიურის“ ტერიტორიაზე, სადაც მერიის საკურორტო სამმართველო ახალ კორპუსს აშენებდა, მიწა მიიტაცა და სამშენებლო მასალები მიზიდა წყნეთში, ფიროსმანის ქ. № 23-ში მცხოვრებმა გ. ოძელაშვილმა, რის თაობაზეც საკურორტო სამმართველოს უფროსმა რ. საყვარელიძემ მოახსენა ქალაქის მერს ბ-ნ კ. გაბაშვილს. მერმა მოხსენებას დააწერა: – „პატ. ა. მამუკაშვილს – გთხოვთ გაარკვიოთ, შეუძლიათ თუ არა წყნეთის გამგებლობა. კ. გაბაშვილი, 14. VI. 93 წ.“

ა. მამუკაშვილი 18 ივნისს მერიას უგზავნის წერილს, სადაც აღნიშნავს: „მოქ. გ. ოძელაშვილის მოქმედება კანონსაწინააღმდეგოა, მაგრამ ამ უკანონობის აღკვეთას ვერ ვახერხებთ, ვინაიდან მოქალაქე კატეგორიული და სასტიკი წინააღმდეგია“. ხედავთ, თურმე ქურდი თუ სასტიკი და კატეგორიული წინააღმდეგია“. არ უნდა დაიჭირო, პასუხი არ უნდა მოსთხოვო!

ამავე საკითხზე 1993 წლის 9 აგვისტოს ა. მამუკაშვილს წერილი გაუგზავნა ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა ი. მახარაშვილმა, სადაც მიუთითებდა: „უკანონო მშენებლობა გამგეობამ უნდა აღკვეთოს და მოწყობილი კონსტრუქციები [illegible], თუნდაც ადმინისტრაციული წესით, რადგან მისი დატოვება გამოუსწორებელია სოფლისა და საზოგადოების მიმართ“. აქვე ითხოვდა წერილობით პასუხს, მაგრამ ა. მამუკაშვილს არაფერი უცნობებია.

1993 წლის ნოემბერში წყნეთის გამგეობის მიერ 1992-1993 წლებში გამოცემული სამართლებრივი აქტების კანონიერების შესწავლას ხელი მოჰკიდა ქალაქის პროკურატურამ და მერიას წერილობით სთხოვა შემოწმებაში მონაწილეობისათვის გამოეყო მერიის საორგანიზაციო განყოფილების ერთ-ერთი სპეციალისტი.

ხელმძღვანელობამ ამ მისიის შესრულება მე დამავალა. საქმეს შევუდექით ქ. თბილისის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორთან, აწ გარდაცვლილ დავით ცაგარეიშვილთან ერთად.

წყნეთის გამგეობის თავმჯდომარემ ა. მამუკაშვილმა პროკურატურას წერილობითი აცნობა: „1993 წლის 15 მარტს გამგეობის შენობა და მასში არსებული დოკუმენტაცია სრულიად განადგურდა. ამდენად, არ შეგვიძლია თქვენი მოთხოვნისამებრ წარმოგიდგინოთ გასული წლის და ა/წლის 15 მარტამდე მიღებული გადაწყვეტილებები“... ამასთან, აღნიშნავდა, „გიგზავნით ჩვენს ხელთ არსებულ გადაწყვეტილებებს და მერისადმი მიწერილობებს ხუთ მობინადრეზეო“.

საკვირველია, თუ დოკუმენტაცია „სრულიად განადგურდა“, საიდან აღმოჩნდა ისინი, რომლებსაც გზავნიდა. გარდა ამისა, აკი ადრე მერიაში საბინაო საკითხებზე შექმნილ კომისიას ხანძრის შემდეგ 170 ოჯახის საქმიდან 118 წარუდგინა – „52 დაიწვაო“?

ე.ი. იმ სამართლებრივი აქტების გაფორმების საქმეში, რომელთა მოპოვებაც სხვადასხვა საშუალებით შევძელით, სრული ქაოსი იყო.

ა. მამუკაშვილმა წერილობით განმარტებაში აღნიშნა, რომ გამგეობა იკრიბება, მაგრამ ოქმებს არ აფორმებს – საკითხს წყვეტს ოპერატიულად, ე.ი. როცა უნდა აფორმებს, როცა უნდა – არა. არადა, გამგეობის სხდომა ოქმის გარეშე არ არსებობს.

ესეც არ იყოს...

1993 წლის 23 ივლისის № 9 გადაწყვეტილებით ფირმა „ჯვარი ვაზისას“ სამეურნეო საქმიანობისათვის 30 წლით გადასცეს ახალდაბის ტბის მარჯვენა მხარეს მდებარე 9,4 ჰა „ვაშლის ბაღი“. საქმეში არაა განცხადება, არც სხვა დოკუმენტი. ეს ხდება იმ დროს, როცა ა. მამუკაშვილი ქვეყანას აწუხებს, „წყნეთელებს მიწა უჭირთ, უშველეთო“.

30-წლიან იჯარას რომ შევეხე, არ შემიძლია კიდევ ერთი ფაქტი არ გავიხსენო. 1993 წლის 5 ივნისს ა. მამუკაშვილს განცხადებით მიმართა მოადგილემ იოსებ ელიზბარაშვილმა და 30 წლის იჯარით ითხოვა ე.წ. „ახალდაბის ტბა“. ა. მამუკაშვილი 11 ივნისს აწერს მდივანს „გატარდეს რეგისტრაციაში“.

განცხადებას არ აქვს რეგისტრაციის ნომერი და შტამპი. 11 აგვისტოს გამოდის № 11 გადაწყვეტილება, სადაც სიტყვა-სიტყვით წერია: „დაკმაყოფილდეს მრავალდარგოვანი ფირმა „მკო-2“-ის განცხადება და არსებული კანონმდებლობის თანახმად 30 წლის ვადით იჯარის წესით გადაეცეს წყნეთსა და ახალდაბას შორის არსებული ტბა თევზის წარმოებისათვის“. ჯერ ერთი, განცხადებაში ფირმა სულ არ იყო ნახსენები, მეორეც, არც ერთ ამ იჯარას არ ახლავს რაიმე ვალდებულება, საქმეში არ დევს ხელშეკრულებები და სხვა.

კიდევ ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო. პროკურატურაში შემოვიდა წარმოსადეგი მამაკაცი. გვკითხა: თქვენ სწავლობთ წყნეთის საქმესო? და შემოგვჩივლა: ა. მამუკაშვილმა ბინაში რომ შემიშვა, ათასი დოლარი გამომართვა, ახლა მეუბნება, რომ მოგყიდო, დამატებით ამდენი უნდა მომცეო ხელზე. კაცმა დამლაგებლის მიერ შედგენილი ქაღალდი წარმოგვიდგინა, ა. მამუკაშვილის დავალებით, როგორ ჩაიბარა მისგან ინვენტარი და გასაღები. ვთხოვეთ, დამჯდარიყო და ეს ყველაფერი დაეწერა. გვიპასუხა: „წავალ სახლში, დავწერ და ხვალ მოგართმევთო“. ერთ-ერთ ჩვენგანს გაეცინა, აღარ მოვაო. რატომ? ხომ არავის დაუძალებია, თვითონ გამოგვეცხადა-მეთქი. არა, საქმე დაწერაზე რომ მიდგა, შეშინდა, ასეთი რამ ხშირად ხდებაო. – მართლაც აღარ მოსულა.

საქმის შესწავლის მომენტში სხვა საჩივრებიც შემოვიდა. ერთ-ერთი ყალბი ცნობის გაცემას ეხებოდა, რომელიც 30 დეკემბერს ვაკის რაიონის პროკურატურას გადაეგზავნა მოსაკვლევად და სისხლის სამართლის აღძვრაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

ცხადია, ამჟამად ყველაფერს, რაც მაშინ მოვიკვლიეთ, ვერ შევეხები. საქმე დავამთავრეთ და 15 დეკემბრისათვის მოვიწვიეთ ა. მამუკაშვილი, რათა გასცნობოდა ჩვენს მოხსენებით ბარათს, არ გამოცხადდა, რის თაობაზეც იმავე დღეს შევადგინეთ ოქმი.

მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, 1993 წლის 30 დეკემბერს ქალაქის პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ ხუთგვერდიანი ინფორმაცია მიაწოდა თბილისის მერიას და სთხოვა: – „განეხილათ საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია ა. მამუკაშვილი დარჩეს დაბა წყნეთის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე“.

მამ ასე: ეროვნული მთავრობა რომ მოვიდა, ყველა ხელმძღვანელი შეიცვალა ქ. თბილისშიც და რაიონებშიც, ა. მამუკაშვილი – არა, 1991 წლის დასასრულსა და 1992 წლის დასაწყისში მომხდარი მოვლენების დროს თბილისის მერიაში და ათივე რაიონში ხელმძღვანელობა შეიცვალა, ა. მამუკაშვილი – არა.

რამია საქმე?! ვნახოთ... ერთი კია, მერიის ხელმძღვანელობამ და მისმა ზოგიერთმა მუშაკმა ამ დრომდე ა. მამუკაშვილს არ მისცეს საშუალება „გაეუპატიურებინა“ ქალაქის საკურორტო სამმართველო.

1994 წლის დასაწყისში საკითხი – დარჩეს თუ გაათავისუფლონ ა. მამუკაშვილი, – მწვავედ დადგა.

მამ ასე, დაბა წყნეთის გამგეობის თავმჯდომარის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. 1993 წლის დასასრულია. ფაქტები საკმაოდ იყო, მაგრამ...

1994 წლის 24 თებერვალს გამოდის ქ. თბილისის მერიის, მუნიციპალიტეტის კაბინეტის № 54 დადგენილება, ერთობ სერიოზული, დამაიმედებელი სათაური აქვს: – **„ქ. თბილისის მერიის საკურორტო სამმართველოს აგარაკებისა და სანატორიუმების საქმიანობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.**

დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული: „წყნეთში დღემდე დადგენილი არ არის მოქალაქეთა სიები, რომლებიც ექვემდებარებიან საბინაო პირობების გაუმჯობესებას“.

დადგენილების მეორე მუხლით ვაკის რაიონის სასამართლოს სთხოვეს პირველ აპრილამდე, ვაკის რაიონის პროკურორის წარდგინების საფუძველზე, უზრუნველყონ წყნეთის აგარაკებში შეჭრილი მობინადრეების გამოსახლება (ბარემ აქვე ვიტყვი, რომ სასამართლომ ბინებში შეჭრილთა გამოსახლება აგვისტოსათვის დაგეგმა, მაგრამ მერიამ თავი შეიკავა – „ზაფხულის სეზონის“ მოტივით.)

ამ დადგენილების მე-3 მუხლით, დაბის გამგეობას კვლავ დაევალა, „პირველ აპრილამდე დაედგინა წყნეთელ მოქალაქეთა სიები, რომლებიც ექვემდებარებიან საბინაო პირობების გაუმჯობესებას“. მე-4 მუხლით კი საკურორტო სამმართველოს დაევალა: **„გამოყოს წყნეთელ მოქალაქეთა დასაკმაყოფილებლად 12-ბინიანი აგარაკი; იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება საკმარისი მინისტრთა კაბინეტის მიერ გამოყოფილი ბინები“.**

ჯერ ერთი, რას ნიშნავს – **„თუ საკმარისი არ იქნება“?** ყველაფერი ხომ ცნობილი და დადგენილი იყო კომისიების მიერ? მეორეც, ამავე დადგენილებით კაბინეტის წევრებისათვის ცნობილი ხდება, რომ მინისტრთა კაბინეტმა წყნეთელებისათვის გამოყო **176 ბინა.** დადგენილებაში საერთოდ არ არის ნახსენები პროკურორის ინფორმაცია... უფრო მეტიც, იმის მაგიერად, რომ დასახელებული გადაწყვეტილება გაეკონტროლებინათ, 1994 წლის 16 აგვისტოს, გამოდის № 697 განკარგულება: – **„საკურორტო სამმართველოს აგარაკების ნაწილის წყნეთის მოსახლეობისათვის გადაცემის შესახებ“.**

ამ მიზნის განსახორციელებლად შეიქმნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია: მ. ობგაიძე – მუნიციპალიტეტის პრემიერის მოადგილე; ა. ლაბაძე – ტექნიკური განყოფილების გამგე; ჯ. ბეჟანიშვილი – იურიდიული განყოფილების გამგე; მ. ტალახაძე – საბინაო საკითხთა გაერთიანების უფროსი; რ. საყვარელიძე – საკურორტო სამმართველოს უფროსი.

დაბა წყნეთის მოსახლეობის მძიმე საბინაო პირობების გადასაწყვეტად 10 დღის ვადაში უნდა შეერჩიათ გადასაცემი ბინები.

რატომ? რა შეიცვალა, ან რა ეჩქარებოდათ? ვინ აჩქარებდათ?

კომისიამ „წაიმუშავა“ და 1994 წლის სექტემბრის ბოლოს ხელმძღვანელებს წარუდგინა ცნობა, რომ შეარჩიეს 16 აგარაკი 34 ბინით. ბინების გადაცემის მოტივად მიუთითებდნენ იმას, რომ **„შენობები ცალკე დგას და დიდი ხანია კაპრემონტი არ ჩატარებიათ“.**

აი, ლოგიკა!

უკეთესს ვერც მოიგონებ!

არ იფიქროთ, პროკურორის ინფორმაცია დაგვავიწყდა. არა, ბატონებო!..

დატრიალდა ბატონი არჩილი და 20 აპრილს მერიას 9-გვერდიანი მოხსენება მიართვა (20. 04. 94 წ. № 37), „ქალაქის პროკურორი შეცდომაში შეიყვანეს, შემმოწმებლები ტყუიანო“.

მანამდე საქართველოს რესპუბლიკის პრემიერს ოთარ ფაცაციას 4-გვერდიანი საჩივარი მიუტანა (02. 03. 94 წ. № 12), – გვიშველეთ, თქვენი წინამორბედის განკარგულება-დადგენილებები არ სრულდებაო.

რაც მთავარია, ახლა იმასაც ითხოვდა, „ბინები გადაეცათ ბალანსიდან ბალანსზე“, „ბინების გაცემა მოხდება პრივატიზაციის კანონის თანახმადო“. თუ მიჰყიდდნენ, კოეფიციენტი ძალზე დაბალი უნდა ყოფილიყო. არჩილ მამუკაშვილი გრძნობს, რომ მხარს უჭერენ. ქალაქის პროკურორმა კი წეროს და იკითხოს, – ჩიტსაც ვერ აუფრენენ! დარბის და აქეთ ჩივის.

ბატონმა ოთარმა განცხადებას ასეთი რეზოლუცია დააწერა: **„ბატონ ნიკო ლეკიშვილს. საკითხი მეტად აქტუალურია. გთხოვთ განიხილოთ წყნეთის გამგეობასთან ერთად და მიიღოთ შესაბამისი ზომები, საჭიროების შემთხვევაში შემოიტანეთ წინადადება“.**

ჯემალ ამირანაშვილი,
ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ №138, 139.

თავანკარა ქართული

გაზეთის ენა

თანამედროვე მკითხველისათვის გაზეთი სალიტერატურო ენის შეთვისების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. ძირითადად პრესა (რადიოსა და ტელევიზიასთან ერთად) აყალიბებს ადამიანის ცნობიერებას, იდეოლოგიას, საზოგადოებასთან და საერთოდ, სამყაროსთან მის დამოკიდებულებას, განსაზღვრავს მის ენობრივ კულტურას (მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად).

გაზეთის ენა ისევე, როგორც სამეცნიერო ლიტერატურის ენა, ნიმუში უნდა იყოს სალიტერატურო ენისა. სისწორის გარდა მას მოეთხოვება სისადავე-სიმარტივე და გამომსახველობა, თუმცა გამომსახველობის მისი ხერხები და საშუალებები ბევრად განსხვავდება მხატვრული ლიტერატურის ენის საშუალებებისგან. ეს საკითხები სპეციალურ ლიტერატურაში შესწავლილია.

ენის ცვალებადობის პროცესი ყველაზე თვალნათლივ გაზეთის ფურცლებზე აისახება და ფიქსირდება. რადიოსა და ტელევიზიის ენა, როგორც (ზეპირი) სასაუბრო სალიტერატურო ენის ნიმუში, მსმენელზე, მის ენობრივ გემოვნებაზე ისეთ გავლენას ვერ ახდენს, როგორც დაბეჭდილი და თვალით დასანახი მასალა მკითხველზე. წაკითხული უფრო მყარია და დიდხანს ძლებს, ვიდრე მოსმენილი; დაბეჭდილის (დაწერილის) შემოწმება უფრო შეიძლება, თუმცა სადავო არ არის, რომ ენობრივი სისწორე ერთსაც მოეთხოვება და მეორესაც.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში 60-70-იანი წლების ქართული პრესის ენის შესწავლის შედეგად დაგროვდა დიდძალი მრავალფეროვანი მასალა, რომლის ანალიზის ნაწილი დაიბეჭდა კიდეც „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ III წიგნად (1980 წ.). ბუნებრივია, მასში ყველაფერი, რაც ამ წლების პრესის ენისათვის იყო დამახასიათებელი, ვერ აისახა, მაგრამ გამოიკვეთა რამდენიმე თვალშისაცემი და ტიპობრივი მოვლენა. მაგალითად, ლექსიკის სფეროში ცალკეულ სიტყვათა დავიწროებული ან გაფართოებული მნიშვნელობით ხმარება; მეტაფორულად ან პირიქით, შაბლონურად ხმარება; უცხო სიტყვათა არადანიშნულებისამებრ გამოყენების ტენდენცია (მაგ. სიტყვებისა: ავტორი, სტარტი, ფინიში, გეოგრაფია, ტრადიცია, ნოსტალგია... გამოთქმებისა: ფინიშის სწორზე გავიდა, სტარტი აიღო სასწავლო წელმა, ფინიში ჰქონდა, ავტორი გოლისა, გოლი გაიტანა, ტრადიციად დამკვიდრდა, პოტენციალური შესაძლებლობა და მისთ.); თანდებულების, ზმნის ფორმათა, სინტაქსურ კონსტრუქციათა გამოყენების თავისებურება და სხვ. საყურადღებოა, რომ ძირითადად ეს მასალა დაედო საფუძვლად უმართებულო შესიტყვებათა საცდელ ლექსიკონს, რომელიც „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ VII წიგნად დაიბეჭდა 1985 წელს.

ორთოგრაფიული უზუსტობანი (საკუთრივ ორთოგრაფიული თუ გრამატიკულ-ორთოგრაფიული) მეტ-ნაკლები რაოდენობით ყოველთვის არის მოსალოდნელი გაზეთის ენაში მისი სპეციფიკურობისა და ზოგი სხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორის გამო. მაგრამ საინტერესოა, რომ სამი ათეულიწლისწინანდელი პრესის ენაში უცხო სიტყვათა არადანიშნულებისამებრ ხმარების გარდა, ლექსიკური შტამპები იყო წამლეკავი: ზღუდეების დალაშქვრა, გადალახვა ზღვარისა, რეზერვების გამონახვა; ბრძოლა მიჯნების ასაღებად, დასახული გეგმების შესასრულებლად, წარმატებების მისაღწევად... უმძიმეს შტამპებად აღიქმებოდა საგაზეთო სტატიებსა თუ მათ სათაურებში. და ყოველთვის ვაღწევდით მიზანს; ზღუდეებს, ზღვარს, მიჯნებს ვლაშქრავდით და ვიღებდით; გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებდით, უმაღლეს წარმატებებს ვაღწევდით...

90-იანი წლების გაზეთის ენა, ბუნებრივია, ისეთი დაშტამპული და არაფრისმთქმელი ველარ იქნება, როგორც იმ „უძრაობის“ წლებად წოდებულ პერიოდში. ახლა ნამეტანი „მოძრაობაა“, შეხლა-შემოხლაა, ორომტრიალია, გამძაფრებული პოლემიკაა ჭეშმარიტებათა და შეხედულებათა, დამსახურებათა დასაზუსტებლად. ამის გამო გაზეთის ენა ხშირად სასაუბრო ვულგარული ენის დონემდე დადის. წმინდა არალინგვისტური თვალსაზრისითაც გაზეთი არასარწმუნო გახდა მკითხველისათვის. ხშირად იბეჭდება შეუმოწმებელი ცნობები, რომელსაც შემდეგ აზუსტებენ ან ასწორებენ და ბოდიშს იხდიან. ენობრივი თვალსაზრისით კი ახლანდელი გაზეთის ენაში თვალში საცემია ვულგარული ლექსიკის, ბარბარიზმებისა და ჟარგონიზმების მოძალება, განსაკუთრებით, საგაზეთო პუბლიკაციებში და გაზეთების ფურცლებზე დაბეჭდილი ზოგი ლექსის ენაში. დაკვირვებულ და ყურადღებიან მკითხველს ამისი მაგალითების მოხსენება არ დასჭირდება.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დადგენილი ნორმები რომ გაზეთის ფურცლებზე ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული, მრავალგზის არის აღნიშნული და შენიშნული მრავალი ავტორისაგან. საკუთრივ ორთოგრაფიული წესებიც კი, რომლებიც მხოლოდ მექანიკურ დამახსოვრებას ან ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში ჩახედვას მოითხოვენ და სპეციალური გრამატიკული ცოდნის გახსენებას არ საჭიროებენ, ჯერ კიდევ ხშირად არის დარღვეული გაზეთების ფურცლებზე (მაგალითად, გვხვდება: ეხლა, თვითეული || თითოეული || თვითოეული, უცბად, ალბად და მისთ.). ასეთ ვითარებაში რაღა უნდა ვთქვათ მესამე ობიექტური პირის ნიშნის მართლწერის საკითხზე!

ავტორიტეტული ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე ხშირად გვხვდება: ცადა, ჭირდება, წყინდა, გავს, ძულთ, ყვებოდნენ და მისთანები, ნაცვლად ს ან ჰ თავსართიანი ფორმებისა (სცადა, სჭირდება, სწყინდა, სძულს, ჰგავს, ჰყვებოდნენ...). სხვა გრამატიკულ-ორთოგრაფიულად უმართებულო ფორმები: გლიჯავს, წყვიტავს, ტეხავს (ტეხვა)... დაუთანხმებულვარ, შეხვედრილიყო... ვყევარ, ეგევარ, ედგევარ (დგეხარ)... ვიყვე (იყვე)... ვმღერივარ, ვიცინივარ, ტირიხარ... მოუკლივარ (მოუკლიხარ) და მისთ.

გვხვდება პარონიმი სიტყვების აღრევა: მცნება – ცნების, მასიურ-მასობრივის, მოთხოვნილება – მოთხოვნის, მაცხოვრებელი – მცხოვრების, ფსიქოლოგია – ფსიქიკის, კამპანია – კომპანიის, სამური – შესამურის... მაგიერად. ადრე შენიშნულთ ემატება სულ ახალ-ახალი შემთხვევები: „მადლობა მოუხადა“ (უნდა: მადლობა გადაუხადა) უმართებულო გამოთქმის გვერდით გაჩნდა „ხარკი მოუხადა“. ზოგჯერ ასევე ირევა კორექტული და კორექტურული, სწორედ და სწორად, დიალექტური და დიალექტიკური, სწავლა და სწავლება...

კვლავ ხშირია პლეონასტური (ჭარბი ინფორმაციის შემცველი) შესიტყვებები: ტრადიციად დამკვიდრდა, აპრილის თვეში, რეალური ფაქტი, სასიამოვნო სიურპრიზი, პირველი პრეცედენტი, საკუთარი თავი დაიძვრინო, არგუმენტირებული დასაბუთება, ახლად ჩასახული ინოვაციები და მისთ.

აზრობრივად შეუფერებელი სხვა გამოთქმები, რომლებსაც შევხვდებით თანამედროვე გაზეთების ფურცლებზე: „ქიმიის პედაგოგი“ „ქიმიის მასწავლებლის“ მაგიერად; სიმდიდრის მატარებელნი (სიმდიდრის პატრონები); ქვეყანაში მასობრივი არეულობა და ქაოსი სუფევდა; საოცრად მენანება: მისი კინოენა ჩემში უბრალოდ აღტაცებას იწვევს; ის ხომ თბილისელი იყო ფსიქოლოგიით, გენეალოგიით და სხვ. (გაზეთებს განგებ არ მივუთითებთ, ვინაიდან თითქმის ყველა გაზეთის ფურცლებზე გვხვდება ანალოგიური შემთხვევები მეტ-ნაკლებად).

კვლავ შეინიშნება ამგვარი სინტაქსური შეუსაბამობანიც: რაც შეგპირდით (უნდა: რასაც შეგპირდით), სცემა პოლიციელმა ბავშვი (უნდა: ბავშვს), ბევრი ეცადა (უნდა: ბევრს ეცადა).

უხეირო შერწყმისა თუ რთული თანწყობილი ან ქვეწყობილი წინადადების აგების უმართებულო შემთხვევების რამდენიმე ნიმუშს დავასახელებ:

მან შესანიშნავად იცოდა და უყვარდა ქართული პოეზია.

ის, ვინც ტესტირებაზე უარს ამბობს, საკუთარი თავის იმედი არა აქვს;

ლტოლვილებმა, რომლებმაც ისურვეს ფოთში დარჩენა, დაურიგდათ სურსათი...

ზოგი გაზეთი დაჟინებით ხმარობს ნაწილაკიანი რიცხვითი სახელის ასეთ ფორმას: ორთავე („ორთავე მხარე შეიარაღებული აღმოჩნდა“; „ამ მიზეზით გულნატკენი მერი, ორთავეს – სამოთხის ჩიტივით – უცხო ქვეყანაში გადაგვიფრინდა!“; „ორთავე მხარის აზრით“.). ალბათ ამის შემდეგ **ორთავეენი** ფორმამაც აღარ უნდა გაგვიკვირდეს.

კვლავ უმართებულოდ გამოიყენება სხვათა სიტყვის-თქო, -ო ნაწილაკები (შეგვახვედროთ-თქო ნაცვლად შეგვახვედრეთ-მეთქისა; მეწარმე მიიღეო ნაცვლად გამოთქმისა: მეწარმე მიიღე-მეთქი).

მომრავლდა რიცხვში მონაცვლე ზმნების ფორმათა უმართებულო ხმარების შემთხვევები:

ერთი წუთით დავუშვათ, რომ სუკი ადამიანებს წამებით კლავდა (უნდა იყოს: ხოცავდა).

ეხლა პირდაპირ კიბის საფეხურზე ზიან (უნდა: სხედან).

ტუფლები ყრიან, ხეიბრები ზიან (უნდა იყოს: ყრია; სხედან).

რიცხვში უმართებულო შეთანხმების სხვა მაგალითები:

ყოველ შემთხვევაში მათმა უმეტესობამ ეს შეხედულება გაიზიარეს და დღესაც იზიარებენ.

ლამის წესად იქცეს: ბევრი, მრავალი, ყველა... საკითხები. ქართული სალიტერატურო ენისათვის შეუფერებელი ასეთი შეთანხმება მიუღებელ კალკად უნდა შეფასდეს და აღიკვეთოს.

თანამედროვე გაზეთის ენა ყურადღებას იქცევს პუნქტუაციის თავისებური გამოყენებითაც. მძიმის გამოყენების შესახებ დაიბეჭდა პროფ. ზ. ჭუმბურიძის წერილი გაზეთში „ბურჯი ეროვნებისა“. არც სხვა სასვენი ნიშნები მოიხმარება რიგიანად გაზეთის ენაში. გვხვდება ორი უკიდურესობა: ან უგულებელყოფილია პუნქტუაცია, ან ზედმეტად, უადგილოდ იხმარება. ხშირად გამოიყენება მრავალი წერტილი, რაც მაინცდამაინც არაა მოსალოდნელი გაზეთის ენაში. ძალზე გაზრდილია ძახილის ნიშნის ფუნქცია. იგი გამოიყენება პირდაპირი დანიშნულებითაც და ფრჩხილებში ჩასმული რაიმეზე ხაზგასმის ფუნქციითაც. ამ უკანასკნელი ფუნქციით გაზეთები ხშირად მიმართავენ მას. ტირე და დეფისი მოიხმარება ისე, რომ მათი ფუნქციები აღრეულია. მაგ. დავით აღმაშენებლის ეპითეტი მეფეთ მეფე დაბეჭდილი იყო ასე: მეფედ-მეფე.

ნაირ-ნაირი გრამატიკული (მორფოლოგიურ-სინტაქსური) დარღვევების გვერდით თანამედროვე გაზეთის ენას უცხო სიტყვათა მოჭარბებული და ზოგჯერ უადგილო გამოყენება უკარგავს გამომსახველობასა და სისადავეს. ამის შესახებ მრავალგზის აღნიშნულა სპეციალურ ლიტერატურასა თუ პრესაში. დავამატებთ მხოლოდ, რომ უცხო სიტყვები გაზეთის ენაში ხშირად არადანიშნულებისამებრ, უადგილოდ, ტექსტისა თუ საგაზეთო ჟანრისათვის შეუფერებლად გამოიყენება და ხშირად დამახინჯებული მნიშვნელობითაც კი.

მაგრამ ზემოთ დასახელებული ფაქტები, ქართული სალიტერატურო ენის მთლიან სისტემას ბევრს ვერ ავნებს, ვინაიდან რეაქცია მათ მიმართ მაინც ერთგვაროვანი და მყარია. აი, მეტისმეტად მოჭარბებული კალკები კი, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში უკვე ველარ აღვიქვამთ ასეთებად, ქართულ ენობრივ სისტემას რღვევით ემუქრება. ეს შიში გამოთქვა აკად. ქ. ლომთათიძემ 90-იანი წლების დასაწყისში (გაზეთი „ლიტ. საქ.“ 1991 წ. აპრილი: „როდის ამდიდრებენ კალკები ენას და როდის აღარიბებენ?“). კალკები არათუ უკან იხევენ, უფრო და უფრო ეძალებიან ჩვენს ენას და ხშირად გაუცნობიერებლად მოიხმარებიან ჩვენგანვე. ვითარება ყოველდღიურად იცვლება და, სამწუხაროდ, არა უკეთესობისაკენ. იმდენად შევეჩვიეთ მათ, რომ ჯერ კიდევ ვერ შეველიეთ: ადგილი აქვს, სახეზეა, წარმოადგენს (არის), კენჭისყრაზე დაყენება, აქედან გამომდინარე და მრავალ მისთანას. წიგნიერი საზოგადოების მეტყველებაში და აქედან გაზეთის ენაში ხშირად იხმარება ასეთი გამოთქმები: დაიბადა ამა და ამ წელში, სხვაობა სულ ერთ წელში იყო, სხვაობა ხმებში, აქ საქმე მხოლოდ ამაში როდია, მისი კინოენა ჩემში აღტაცებას იწვევს და მისთ. არადა, ასეთები ხომ ნამდვილად **-ში** თანდებულიანი კალკებია რუსული ანალოგიური შინაარსის გადმომცემი **-в** წინდებულიანი ფორმებისა (შესაბამისად ქართულად უნდა იყოს: დაიბადა ამა და ამ წელს; სხვაობა იყო ერთი წელი; ხმების სხვაობა; საქმე მხოლოდ ეს არაა, ამას არ ეხება; ჩემს აღტაცებას იწვევს...).

სხვა მაგალითები: დიალოგი ინტერვიუში გადაიზარდა (უნდა: ინტერვიუდ გადაიზარდა); უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის პურით უზრუნველყოფაში დიდი როლი შეასრულა ჰუმანიტარულმა დახმარებამ (უნდა: პურით უზრუნველყოფისათვის); ბანკირები თავადვე ხმამაღლა საყვედურობენ მთავრობას უკანონობასა და ხალხის გაღატაკებაში (უნდა: უკანონობისა და გაღატაკებისათვის ან გაღატაკების გამო); მეც მაგაში ვარ დაინტერესებული (უნდა: მაგით)...

-ზე თანდებულიანი შემდეგი ფორმებიც აშკარა კალკებია, თანაც ისეთი კალკები, რომლებიც აღარიბებენ ჩვენს ენას: უსათუოდ დადგება დრო ამ უღვთო ქმედებაზე პასუხისგებისა (უნდა: ქმედებისათვის ან ქმედების გამო); პრიზები გაიცემა როგორც აქტიურ პიროვნებებზე, ისე დაწესებულებებზე (უნდა: პრიზები მიეცემა პირებს, დაწესებულებებს); სხვაზე გაყიდვა (უნდა: სხვისთვის მიყიდვა) და სხვ.

გაზეთის ფურცლებზე ჩნდება სულ ახალ-ახალი კალკირებული სიტყვები, გამოთქმები, ზმნის ფორმები: ამ ხელშეკრულების **თანამონაწილე** თურქმენეთიცაა; **თანამონაწილე** კინოხელოვნების წარმატებებისა; პროცესის **თანამონაწილე; როგორც არავის,** უნარი ჰქონდა საკუთარი ნაკლოვანებების გაშიშვლებისა; ჩვენ ქალაქში **სტუმრობს** (უნდა: სტუმრადაა); მას **მეგობრობს** (უნდა: მასთან მეგობრობს) და მისთ.

ისევ გაზეთს შეუძლია ამ უკუღმართ მოვლენასთან გამკლავება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაზეთის მუშაკები ქართული სალიტერატურო ენის გამომსახველობით საშუალებებს მეტი გულისყურით მოეკიდებიან. ეს კი თავისთავად არ მოხდება. ამას ალბათ ახლად შექმნილმა სახელმწიფო ენის პალატამ უნდა მიხედოს, პირველ რიგში. ხოლო უმაღლესი განათლების სისტემაში ჟურნალისტების (ისევე, როგორც სხვა სპეციალისტების) აღზრდას ენობრივი თვალსაზრისითაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ჟურნალისტებს სახელმწიფო გამოცდაზე უნდა მოეთხოვებოდეთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ცოდნა და მაშინვე უნდა ეძლეოდეთ სერტიფიკატი ამ სფეროშიც.

გასაზიარებელია ჩვენი კოლეგების აზრი (რომელიც გამოითქვა ენის საპარლამენტო ქვეკომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე და შემდეგში დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზეც), რომ საგანგებო სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაა ამ მხრივ საჭირო; კერძოობითი გზით სიარული სასურველ შედეგს ვერ მოიტანს; ე.ი. მთლიანად ენობრივი აღზრდის სისტემაა გადასახედი.

მანამდე კი, ჩვენს ინსტიტუტს შესწევს ძალა, რომ მოაწყოს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სკოლა (სემინარები თუ კურსები; სახელს არა აქვს მნიშვნელობა), რომელიც იმუშავებს სალიტერატურო ენის შესწავლისა და სწავლების საკითხებით დაინტერესებულ პირებთან. ეს იდეა ეკუთვნის აკად. ქ. ლომთათიძეს. ასეთი აზრი გამოხატა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ქ-ნმა გუჩა კვარაცხელიამ ზემოთნახსენებ სხდომაზე. ჩვენმა ინსტიტუტმა უნდა გაუძლოს, ევალება, რომ გაუძლოს ამ სიმძიმეს, თუკი საზოგადოებრივი დაინტერესება იქნება.

თინათინ ღვინაძე,
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

გამოიცა

წიგნი სამყაროს საოცრებებზე



გრანი ქავთარია

სამყაროს შვიდი საოცრება

ძველი სამყაროს ხალხებმა თავიანთ სასახელოდ და თავმოსაწონად ბევრი რამ დაუტოვეს შთამომავლობას, მაგრამ ძველი და ახალი თაობებისათვის განსაკუთრებული ესთეტიკური ზემოქმედების მუხტით დატვირთული მაინც მათ მიერ შექმნილი არქიტექტურისა და ქანდაკების საუცხოო ნიმუშები აღმოჩნდა. ყოველივე მშვენიერისა და ამაღლებულის უბადლო შემფასებელმა და დამფასებელმა ძველმა ბერძნებმა მრავალი მათგანიდან მხოლოდ შვიდი გამოარჩიეს და სამყაროს საოცრებებად აღიარეს.

მკითხველს შევახსენებ, რომ ეს საოცრებებია ეგვიპტური პირამიდები, ბაბილონის დაკიდული ბაღები, არტემიდა ეფესელის ტაძარი, ოლიმპიური ზევსის ქანდაკება, ჰალიკარნასის მავზოლეუმი, როდოსის კოლოსი და ალექსანდრიის შუქურა.

სწორედ მათ შესახებ მოგვითხრობს ახლახან გამოცემული მშვენიერი წიგნი „სამყაროს შვიდი საოცრება“, რომელიც ანტიკური საზოგადოების მკვლევარის გრანი ქავთარიას კალამს ეკუთვნის. ამ თემაზე ქართულად დაწერილი წიგნი დღემდე არ გვქონია. ამდენად თუნდაც მხოლოდ ფაქტი ამგვარი წიგნის გამოსვლისა, მისასალმებელი და სასიხარულოა.

წიგნის დადებით მხარედ, უპირველეს ყოვლისა, ის მიმაჩნია, რომ იგი დაწერილია ისტორიკოს-სპეციალისტის მიერ, ხანგრძლივი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად. გ. ქავთარია დინჯი, აკადემიური ტონით მოგვითხრობს იმ გარდასული ეპოქების შესახებ, რომელთა წიაღშიც აღმოცენდა საოცრებებად შერაცხული ქმნილებები. ეს არ არის სენსაციური ამბების შესახებ გასართობად დაწერილი წიგნი. მკითხველი მასში ბევრ ისეთს შეიტყობს, რაც სპეციალისტთა ვიწრო წრის გარდა უცნობია, ხოლო ცოდნის გაღრმავებისათვის – ერთობ საჭირო და აუცილებელი.

იმის მიუხედავად, რომ წიგნი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შვიდი ნარკვევისაგან შედგება, ყველა მათგანი თანაბარი ექსპრესიულობით, თითქმის ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. გარეკანზე გამოტანილი ეგვიპტური პირამიდის სილუეტური გამოსახულება იმის სიმბოლური მითითებაა, რომ ყველა საოცრების გვირგვინს სწორედ ეს პირამიდა წარმოადგენს. პირველი ნარკვევიც მას ეძღვნება.

თავისთავად ხომ საოცარი და დიდებულია ჩვენამდე მოღწეული ოთხმოცივე ეგვიპტური პირამიდა, განსაკუთრებით კი მათ შორის უდიდესები – ფარაონ ხეოფსისა და ხეფრენის განსასვენებლები. მათ ძველ სამყაროში მართლაც რომ არ მოეძებნებათ ბადალი ჩანაფიქრის სითამამისა და საინჟინრო ხელოვნების უზარმაზარი გაქანების თვალსაზრისით. ტექნიკის განვითარების უკიდურესად დაბალი დონის პირობებში, როცა კაცობრიობას ხელთ ჰქონდა მხოლოდ ბრინჯაოს უმარტივესი იარაღები, უბრალო ბერკეტისა და საგორავის გარდა არ გააჩნდა არავითარი მექანიკური მოწყობილობა, ეგვიპტელი ხალხის გენიამ შესძლო უდიდესი არქიტექტურული ჩანაფიქრის საინჟინრო განხორციელება იმ დონეზე, რითაც ახალი საუკუნეებიც კი მოიწონებდნენ თავს.

სემიტების სამშენებლო გენია ეგვიპტიდან შორს, ძველი შუამდინარეთის მიწაზეც გამობრწყინდა, ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II-ის ეპოქა (ძვ. წ. VI ს.) თავს გვახსენებს შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლით – დაკიდული ბაღებით, რომელიც მბრძანებელმა თავის მეუღლეს სემირამიდას მიუძღვნა. სამშენებლო ხელოვნების თვალსაზრისით დაკიდულ ბაღებს არაფრით ჩამოუვარდებოდა თვით ქალაქ ბაბილონის დამცავი კედელიც, რომელმაც თავისი არსებობის კვირაძალში ასე აღაფრთოვანა ბევრის მნახველი ისტორიის მამა ჰეროდოტე (ძვ. წ. V ს.). ერთ საოცრებად ნამდვილად ღირდა ჩვენამდე მხოლოდ აღწერილობით მოღწეული ბაბილონის ბიბლიური გოდოლიც, ეთემენანქად წოდებული პირამიდული ტიპის კოშკი-ზიკურათი, რომელმაც საოცარი პროპორციულობით გამორჩეული თავისი დასრულებული სახე სწორედ დაკიდული ბაღების მშენებლობის ეპოქაში მიიღო. გარდასული ეპოქების სიდიადის ამსახველი, ამ შესანიშნავი ძეგლებისა და ძველი სამყაროს მექის – ბრწყინვალე ბაბილონის მოსახილველად ილუზიური, მაგრამ ერთობ სასიამოვნო მოგზაურობა ელის მკითხველს, როცა იგი გაეცნობა წიგნის მეორე ნარკვევს – „ბაბილონის დაკიდული ბაღები“.

ბევრი თხრობით მკითხველს არ წავართმევთ იმის შესაძლებლობას, რომ თვითონ განიცადოს პირველი წაკითხვით მოგვრილი სიამოვნება, რასაც იგი უეჭველად მიიღებს ბერძნების მიერ შექმნილი მსოფლიოს საოცრებებისადმი მიძღვნილი ნარკვევების გაცნობისას. აი, მათ შორის უპირველესი – ბერძნული სამშენებლო თეორიის ბრწყინვალე პრაქტიკული განხორციელება – ხუროთმოძღვარ ქერსიფრონის პროექტით ქალაქ ეფესოში ქალღმერთ არტემიდას სახელობაზე აგებული ტაძარი, რა შეიძლება შეედაროს იმ სიამოვნებას, რასაც გვანიჭებს ყველა ეპოქის უდიდესი არქიტექტორისა და მოქანდაკის ფიდიასის შემოქმედებით ლაბორატორიაში ყოფნა იმ დროის განმავლობაში, ზევსის ქანდაკებაზე რომ მუშაობდა იდეის ჩამოყალიბებიდან მის სრულ განხორციელებამდე. კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე გამოწვლილვით გავეცნობით ძველი საბერძნეთის გამოჩენილი არქიტექტორებისა და მოქანდაკეების ერთობლივ ნამუშევარს – მავზოლეუმს, რომელიც ქალაქ ჰალიკარნასში აიგეს ძვ. წ. IV საუკუნეში. უდიდესი მოწიწებისა და განცვიფრების გრძნობა დაგვეუფლება მოქანდაკე ხარესის მიერ კუნძულ როდოსზე აღმართული ღვთაება ჰელიოსის გიგანტური, 32-მეტრიანი ქანდაკების გაცნობისას. დარწმუნებით, რომ მას ტოლს უდებდა პრაგმატულობისა და ესთეტიურობის უზადო შერწყმის ნიმუში – ალექსანდრიის შუქურა, რომელიც არქიტექტორ სოსტრატე კნიდელმა ააგო ძვ. წ. 299-279 წლებში.

სრულდება წიგნი და დიდ კმაყოფილებასთან ერთად გვრჩება ახალი ცნობებით გამდიდრებული ცოდნა თითქმის მთელი ძველი სამყაროს შესახებ.

ერთი რამ, რაზედაც შეიძლება გული დაწყდეს მკითხველს, ის არის, რომ წიგნს არ ახლავს სამყაროს საოცრებების ამსახველი სურათები თუ ნახატები. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩვენს საგამომცემლო საქმეში დღეისათვის შექმნილ სიძნელეებს, ადვილად შევეგუებით ამ „ნაკლს“.

ჯემალ შარაშენიძე.

... სამაგიეროდ, სიყვარულში სწყალობს ბედი

რუსეთის „დურაკას" ბანქოს მოთამაშეთა ჩემპიონატში ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" კორესპონდენტმა ალბერტ მინულინმა. ფინალში მან მოუგო ბურიატ ვეტერინარს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონმა ჭადრაკში (ფიდეს ვერსიით) ანატოლი კარპოვმა მესამე ადგილისათვის ბრძოლაში დაამარცხა წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ვაგიზ ხიდიატულინი. ჩემპიონატში მონაწილეობას იღებდა, აგრეთვე რუსეთის ლიბერალ-დემოკრატთა ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკი. ცნობილ „სამართალდამცველს" გულმა არ მოუთმინა და თამაშიდან გასული ბანქოს დასტიდან ვალეტის კოზირი გამოაცოცა. მისმა მეტოქემ ბუღალტერმა ოლეგ კოჩერგინმა, რომელსაც სვლები ჩაწერილი ჰქონია, სიყალბეში ჩაავლო ლიბერალთა ლიდერს და საცემლად გაიწია, მაგრამ ჩხუბი ალკვეთა ტურნირის მთავარმა მსაჯმა, დიდოსტატმა ევგენი ვასიუკოვმა. ამის შემდეგ, ვლადიმერ ვოლფის ძემ პირწმინდად წააგო ყველა დარჩენილი პარტია, რადგან ხელში მისჩერებოდნენ და ყალთაბანდობის საშუალებას არ აძლევდნენ. დამარცხებულმა ჟირინოვსკიმ თავი იმით ინუგეშა, რომ „ვისაც ბანქოში არ სწყალობს ბედი, იმას სიყვარულში სწყალობს". ალბათ, ის ეპიზოდი თუ იგულისხმა, როდესაც მაისში, გამარჯვების დღის აღსანიშნავ ზეიმზე, ძალით შეათრია მანქანაში ტელეჟურნალისტი ქალი...

● „სამაგიეროდ, მე სიყვარულში მაქვს ბედი", — განაცხადა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ ჩემპიონატზე დამარცხების შემდეგ.

● რუსეთის ჩემპიონი.

ირანის მინისტრთა კაბინეტში ჩადრიანი წევრებიც იქნებიან

ირანში მინისტრის პოსტს ქალი დაიკავებს, იუწყება გაზეთი „ირან ნიუსი". გაზეთის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც აგვისტოში ირანის პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს ახლახან არჩეული მოჰამედ ჰათამი, იგი ჯანდაცვის მინისტრად დანიშნავს ქალს. მინისტრობის ძირითად პრეტენდენტებად ითვლებიან ფატიმე რამაზანზადე და ქუთსიე სეედ ალავი, რომლებიც ახლა ქვეყნის პარლამენტის — მეჯლისის წევრები არიან. მინისტრად ქალის დანიშვნა, ახალი პრეზიდენტის ძალზე თამამი ნაბიჯი იქნება, თვლის „ირან ნიუსი". 1979 წლის რევოლუციის დროიდან, რომელსაც ისლამური რესპუბლიკის შექმნა მოჰყვა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქალი ესოდენ მაღალ პოსტზე დაენიშნოთ. მიუხედავად ამისა, კონსერვატიული მაჰმადიანური ქვეყნებისაგან განსხვავებით, ირანში ქალს უფლება აქვს არა მარტო იმუშაოს, არამედ ბიზნესსაც მისდიოს. გარდა ამისა, ჩვიდმეტი ირანელი ქალი მეჯლისის წევრია.

ვინ დაეპატრონება მიწისქვეშა ლონდონს?

დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული მთავრობა განიხილავს ლონდონის მეტროს პრივატიზაციის გეგმებს, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. იგი იმოწმებს დოკუმენტს, რომელიც ტელეკომპანია ბი-ბი-სის სტუდიაში დარჩა პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ჯონ პრესკოტს. დოკუმენტში ნახსენებია ლონდონის მეტროს მოდერნიზაციისათვის სახსრების მოზიდვის რამდენიმე ვარიანტი, რომელთა შორის პრივატიზაცია პირველ ადგილზე დგას. მიუხედავად ამისა, მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „სრულ პრივატიზაციაზე არავინ ლაპარაკობს". კერძო ხელში შეიძლება გადაიცეს მხოლოდ მეტროს აქციების ნაწილი. მსოფლიოში უძველესი ლონდონის მიწისქვეშა მაგისტრალის მოდერნიზაციას, ექსპერტთა გაანგარიშებით, 1,2 მილიარდი გირვანქა სტერლინგი დასჭირდება. საინტერესოა, რომ, როდესაც ამა წლის თებერვალში კონსერვატორთა წინანდელმა მთავრობამ მეტროს შესაძლო პრივატიზაცია გამოაცხადა, ლეიბორისტებმა მკაცრად გაილაშქრეს ამის წინააღმდეგ.



აზარტული თამაშები ცოდვაა, ხოლო ორი მილიარდი დოლარის დაკარგვა – დანაშაული!

თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა ვეტო დაადო კანონპროექტს, რომელიც კრძალავს კაზინოებს ქვეყანაში, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. უფრო მეტიც, მან პარლამენტარებს მიმართა თხოვნით, განიხილონ, რამდენად შესაძლებელია თურქეთში შეიქმნას მთელი ზონები აზარტული თამაშებისა და გართობის მიზნით, ისე, როგორც ლას-ვეგასსა თუ სან-სიტიშია. პრეზიდენტმა თავისი ნაბიჯი იმით დაასაბუთა, რომ კაზინოების აკრძალვა ნეგატიურ გავლენას მოახდენს თურქეთის იმიჯზე უცხოელი ინვესტორების თვალში და შეამცირებს შემოსავალს, რომელიც ტურიზმს მოაქვს. პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებაში აღნიშნულია, რომ კაზინოები თურქეთს ყოველწლიურად უზრუნველყოფენ ორი მილიარდი დოლარი შემოსავლით და 17 ათასი სამუშაო ადგილით. პარლამენტმა ხმა მისცა კაზინოების დახურვას იენისის დამდეგს ნეჯმეთინ ერბაქანის ისლამისტური მთავრობის მოთხოვნით. ისლამის კანონების მიხედვით, აზარტული თამაშები ცოდვად ითვლება.

ალექსი II და იოანე პავლე II არ შეხვდებიან ერთმანეთს, ჯერჯერობით...

როგორც უკვე ვიუწყებოდით, წმინდა მიწაზე იმყოფება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II, რომელიც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა აქ პალესტინის რუსული სასულიერო მისიის გახსნის 150 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისალებად. პატრიარქმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას აღიარა, რომ მართლმადიდებელ და რომის კათოლიკურ ეკლესიებს შორის ურთიერთობა ჯერჯერობით რთულია. მან დაადასტურა, რომ ივნისისათვის დასახული შეხვედრა რომის პაპთან იოანე პავლე II-სთან არ გაიმართება, ვინაიდან „ვერ მოესწრო მისი სათანადოდ მომზადება".

ნაცნობი სურათი



სპეციალისტთა შეფასებით, 1996 წელს რუსეთის მოსახლეობის 44 პროცენტი ატმოსფერული ჰაერის მომეტებული გაჭუჭყიანების პირობებში ცხოვრობდა. მილგაყვანილობიდან აღებული სასმელი წყლის სინჯების 22 პროცენტი არ შეესაბამებოდა ქიმიურ ნორმატივებს, ხოლო 9 პროცენტი — ბაქტერიოლოგიურს.

● მოსკოვის მდინარე იაუზის ერთ-ერთი შენაკადი.

პენსიონერები ამერიკაშიც იჩაგრებიან

მილიონობით ამერიკელი პენსიონერი არ იღებს იმას, რაც თავის სიცოცხლეში გამოიმუშავა, წერს ლოს-ანჯელეს ტაიმსი. რამდენიმე საპენსიო ფონდის აუდიტორულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ მათი კლიენტების დაახლოებით 14 პროცენტი იმაზე ნაკლებს იღებს, ვიდრე უნდა იღებდეს. ექსპერტთა აზრით, ამის ძირითადი მიზეზია დამქირავებელთა გამოუცდელობა და საპენსიო უზრუნველყოფის კანონთა რთული სისტემა. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ შტატების შემცირების გამო მილიონობით ამერიკელი იძულებულია საპენსიო ასაკის მიღწევამდე დატოვოს სამუშაო. გარდა ამისა, პენსიების დაკლებას იწვევს, აგრეთვე უზრუნველყოფის პროგრამებში დაშვებული შეცდომები და შრომითი საქმიანობის ჩანაწერების არასწორი მონაცემები.

კონგოში ხოცვა-ჟლეტა გრძელდება

● კონგოს დედაქალაქ ბრაზავილში გაძლიერდა სროლა და შეტაკებები ქვეყნის პრეზიდენტის პასკალ ლისუბეს ერთგულ შეიარაღებულ ძალებსა და ოპოზიციის ლიდერის დენი სასუ-ნგესოს სამხედრო ფორმირებებს შორის. „ფრონტის ხაზი" ქალაქში პრაქტიკულად არ იცვლება. თუმცა პრეზიდენტის მომხრენი უკეთ არიან შეიარაღებულნი, ოპოზიციის მხარეზეა რიცხობრივი და ორგანიზაციული უპირატესობა. ბრაზავილის ქუჩები გვამებით არის მოფენილი.

უპატრონოდ მიგდებულ მოხუცთა ნათესავები შეღავათებს მოითხოვენ

სვერდლოვსკის ოლქის დაბა კოსიაში დამოუკიდებლობის დღეს ტრაგედია დატრიალდა: ხანძრის შედეგად ადგილობრივ საავადმყოფოში დაიღუპა 16 კაცი. საავადმყოფო 1908 წელს იყო აშენებული და წარმოადგენდა საკმაოდ ლამაზ, ერთსართულიან ხის შენობას. 1994 წლამდე აქ ჩვეულებრივი საავადმყოფო იყო, მაგრამ უკანასკნელ ხანს დაბა კოსია, სადაც წინათ, ძირითადად, ოქროს მომპოვებლები ცხოვრობდნენ, უცებ „დაბერდა". ოქროს მოპოვება შეწყდა, ახალგაზრდობა წავიდ-წამოვიდა, ხოლო დარჩენილ 700 კოსიელთაგან უმრავლესობას მოხუცები შეადგენდნენ. სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა, გადაეკეთებინათ კლინიკა მოხუცებულთა სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრად. აქ მოჰყავდათ მარტოხელა, სნეული მოხუცები მთელი ოლქიდან. პენსიონერებს ბანდნენ, ანაყრებდნენ, მკურნალობდნენ, მერე კი, მათი სურვილისამებრ უშვებდნენ. ბევრმა მაწანწალობას და სადგურებში მათხოვრობას კოსიაში დარჩენა ამჯობინა. ხანძრის დროს საავადმყოფოში 36 კაცი იყო: 34 პაციენტი და 2 მორიგე მედდა. სწორედ ამ ორმა მედდამ გამოიყვანა ცეცხლმოკიდებული შენობიდან 18 კაცი! დანარჩენების გადარჩენა ვერ შეძლეს: ისინი კვამლით გაიგუდნენ და დაიწვნენ. რაიონში გლოვა გამოცხადდა, თუმცა, მოხუცებს ყველა როდი გლოვობს. ზოგიერთ განსვენებულს მოულოდნელად გამოუტყვრნენ ნათესავები. წლები გადიოდა, და უპატრონოდ მიტოვებული დედაბრებისა და ბერიკაცების ბედი არავის აინტერესებდა. მათი საშინელი სიკვდილის შემდეგ კი ნათესავები ხელისუფალთ სთხოვენ სხვადასხვა „კანონიერ შეღავათს, როგორც კატაკლიზმის დროს დაღუპულთა ოჯახის წევრები".

ორი თანამგზავრი მარტო სატურნს კი არა აქვს!

მთვარე არ არის დედამიწის ერთადერთი თანამგზავრი. აპა სააგენტოს ინფორმაციით, ასეთი დასკვნა გამოიტანა ონტარიოს უნივერსიტეტის პროფესორმა კანადელმა პოლ ვიგერტმა. სააგენტო იუწყება, რომ ასტრონომის მიერ მიღებული მონაცემების თანახმად, დედამიწის ირგვლივ საკმაოდ რთულ ტრაექტორიაზე ბრუნავს ასტეროიდი, რომლის რიგითი ნომერია 3753. სააგენტო აგრეთვე აღნიშნავს, რომ ახლად აღმოჩენილი დედამიწის თანამგზავრი არ ჩანს შეუიარაღებელი თვალით, ვინაიდან მისი დიამეტრი ხუთ კილომეტრს არ აღემატება. მეცნიერები, აგრეთვე აცხადებენ, რომ ახლა, ახალი თანამგზავრის აღმოჩენის შემდეგ, შეიძლება ვილაპარაკოთ ჩვენი პლანეტისა და სატურნის მსგავსებაზე, რომელსაც ასევე აქვს ორი თანამგზავრი, მის ირგვლივ იგივე სისტემით რომ ბრუნავენ.

მდიდარს ართმევს... მდიდარს აძლევს?

უნდა მისცეს „დიდმა შვიდეულმა" ბორის ელცინს კიდევ უფრო მეტი კრედიტი? აყენებს კითხვას დენვერის „როკი მაუნტინ ნიუსი". ყოველთვიურად რუსეთიდან არალეგალურად გადის მილიარდი დოლარი. 1992 წლიდან მოყოლებული, ქვეყნიდან საზღვარგარეთ გადავიდა 37 მილიარდ დოლარზე მეტი. კიდევ 25 მილიარდი ხელზე აქვთ იმ რუსებს, რომლებიც რუსეთის ბანკებს არ ენდობიან. ეს ორი თანხა აღემატება რუსეთისათვის გაწეული უცხოეთის მთელი დახმარების კრებსით მოცულობას. ამრიგად, რუსეთიდან დოლარები ქრება არა ნაკლები სიჩქარით, ვიდრე შემოდის კრედიტების სახით. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ბანკის სპეციალისტები ოპტიმიზმით უყურებენ რუსეთის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებს. მათი შეფასებით, ეკონომიკური ზრდა რუსეთში გაისად შეადგენს 4 პროცენტს და ყოველ მომდევნო წელიწადს 6-6 პროცენტს. თვით რუსეთში პესიმისტური პროგნოზების მიუხედავად, „დიდი შვიდეულის" ლიდერები, როგორც ჩანს, მომავალს ისეთივე ოპტიმიზმით უყურებენ, როგორც მსოფლიო ბანკი. ამიტომ, რუსეთის პრეზიდენტი ნაღდად წაიღებს დენვერიდან კრედიტების მორიგ პაკეტს კიდევ 1,6 მილიარდი დოლარის ოდენობით. ბორის ელცინი, რომელიც უკანასკნელი ხუთი წელიწადია ესწრება „დიდი შვიდეულის" შეხვედრებს, მხოლოდ ერთხელ, 1995 წელს ჩეჩნეთში ომის დაწყების შემდეგ, დაბრუნდა მოსკოვში ხელცარიელი, შეახსენებს მკითხველს „როკი მაუნტინ ნიუსი".

როგორ უვნებელყონ პრივატიზებული ურანი

„ნიუ-იორკ ტაიმსის" აზრით, დღეს არ არსებობს იმაზე უფრო აქტუალური საერთაშორისო პრობლემა, ვიდრე დემონტირებული რუსული რაკეტების ქობინებიდან ამოღებული ურანის განადგურების უვნებელყოფაა. მის გადაწყვეტას საფრთხე შეექმნა პრივატიზაციის წინდაუხედავი გეგმის გამო, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს ერთ-ერთი ცენტრალური მექანიზმი, გარანტიულად რომ უზრუნველყოფს რუსეთის უხვგამდიდრებული ურანის უსაფრთხოებას.

● მარცხიანად დასრულდა ხართან ბრძოლა ესპანელი ტორეადორის ხუან კარლოს გარსიასათვის. გაშმაგებულმა ხარმა ტორერო რქაზე წამოიცვა.

„ბოინგი" მოძველდა?

ამერიკის კომპანია „ნორტვესტ ერლაინზს" განზრახული აქვს „ა-319" 50 თვითმფრინავის შეკვეთა განალაგოს „ერბას ინდუსტრის" ევროპული კონსორციუმის საწარმოებში, იუწყება გაზეთი „უოლ-სტრიტ ჯორნელი". შეკვეთის ღირებულება 2 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. ექსპერტები აცხადებენ, რომ „ნორტვესტ ერლაინზის" ნაბიჯი „ერბას ინდუსტრის" დიდი გამარჯვებაა მის მთავარ კონკურენტზე კომპანია „ბოინგზე", სწორედ იმ მომენტში, როდესაც ეს უკანასკნელი გახდა თვითმფრინავების ექსკლუზიური მიმწოდებელი ავიაკომპანიებისათვის „ამერიკან ერლაინზ", „დელტა" და „კონტინენტალ ერლაინზი". „ნორტვესტი" ახალ თვითმფრინავებს იყენებს მოძველებული „ბოინგ-727" და „დი-სი-9"-ის შესაცვლელად, რომლებსაც კომპანია „მაკდონელ-დუგლასი" აწარმოებს. გაზეთი, აგრეთვე იუწყება, რომ შეკვეთის მოცულობა შეიძლება გაფართოვდეს 100 თვითმფრინავით. ამ შემთხვევაში მისი თანხა შეადგენს 6 მილიარდ დოლარს. „ნორტვესტ ერლაინზი" დღესდღეობით შეერთებულ შტატებში მეოთხეა ავიაკომპანიებს შორის მგზავრთა გადაყვანის მოცულობით.

რელიგიურ ნიადაგზე დევნა უნდა აღიკვეთოს!

ამერიკის სენატში გაიმართა მოსმენა, რომელზეც წარმოადგინეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში რელიგიურ ნიადაგზე ადამიანთა დევნის ამსახველი დოკუმენტური საბუთები. მოსმენაზე გამოვიდნენ სენატორი ჯოზეფ ლიბერმანი, რელიგიური ლიდერები და სამართალდამცველები, აგრეთვე დევნის მსხვერპლნი. სხდომას უძღვებოდა სენატის საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტში შემავალი ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთი აზიის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკელი სენატორი სემ ბრაუნბეკი.

დღეს აქ მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც დევნას განიცდიან, განაცხადა სენატორმა ბრაუნბეკმა. იმათ გარდა, ვინც თავისი სიცოცხლე მიუძღვნა ქრისტიანთა უკეთესი ხვედრისათვის ბრძოლას, აქ გვესწრება რამდენიმე კაცი, რომლებიც გვიამბობენ, თუ რა დევნას განიცდიან თავიანთი სარწმუნოების გამო. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ ადამიანთა ვაჟკაცობას, რომლებმაც გაბედეს მოსულიყვნენ აქ და ეთქვათ ყველაფერი. ისინი ხიფათში იგდებენ თავს, ვინაიდან მათი აქ ყოფნის ამბავი შეიძლება შეიტყონ იმ ქვეყნებში, სადაც ცხოვრობენ მათი ოჯახები; მიუხედავად ამისა, ისინი მზად არიან ყველაფრისათვის ამ ბოროტებასთან საბრძოლველად. სარწმუნოების გამო დევნის თემა დიდხანს რჩებოდა შეუმჩნეველი ან განზრახ იყო უგულებელყოფილი. არადა, ეს დუმილი მხოლოდ აქეზებდა მდევნელთ.

წინა მოსმენის შემდეგ აქ შემოვიდა კრიტიკული შენიშვნები, რომელთა არსი ის იყო, რომ ჩვენ მხოლოდ ქრისტიანთა ბედი გვაწუხებს. მომავალში ჩვენ ყურადღებას მივაპყრობთ არა მარტო ქრისტიანების, არამედ, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის სხვა რელიგიური უმცირესობების დევნას. ჩვენ, ამერიკელებს განსაკუთრებული უფლება გვაქვს იმისა, რომ დავგმოთ დევნა რელიგიურ ნიადაგზე.

ახლანდელი მოსმენა უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ ურთულესი პრობლემის განხილვაში, განაცხადა სენატორმა ლიბერმანმა. მე მადლობელი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა გიამბოთ ადამიანებზე, რომლებიც თავს სწირავენ თავიანთი სარწმუნოებისათვის. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ყოვლად უდანაშაულო მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს დევნიან, აწამებენ, საპყრობილეებში ყრიან და ხოცავენ მხოლოდ მათი რელიგიური მრწამსის გამო. ასეთი ადამიანების რიცხვი ათასებს აღწევს. დევნა, რომელსაც ისინი განიცდიან, ძალზე ნაცნობ და დამღუპველ ხასიათს ატარებს. ეს დევნა არ შეწყვეტილა ნაციზმის დამარცხების თუ ბოსნიაში საბრძოლო მოქმედების შეწყვეტის შემდეგ. იგი დღესაც გრძელდება და ძირითადად მიმართულია ქრისტიანების წინააღმდეგ; უმთავრესად, იმ თითო-ოროლა ქვეყანაში, სადაც კიდევ დარჩა კომუნისტური რეჟიმი, აგრეთვე ისლამურ სახელმწიფოებში, რომლებიც ფანატიკურ იდეოლოგიას მისდევენ. და როგორც ჩანს, ეს ტენდენცია სულ უფრო ძლიერდება ახალი ათასწლეულების მოახლოების კვალობაზე.

უაღრესად სასტიკ დევნას განიცდიან კოპტები ეგვიპტეში, ბაჰაისტები ირანში, ქრისტიანები სუდანსა და საუდის არაბეთში — ანუ იმ რეგიონში, რომელიც ჩვენი ქვეკომიტეტის თვალთახედვის არეშია. „ემნისტი ინტერნეშნლის" მეთვალყურეებისა და გაეროს სპეციალური წარმომადგენლების, აგრეთვე „ფრიდომ ჰაუსის" ორგანიზაციის წევრის ნინო შიასა და სხვა მრავალი ადამიანის დოკუმენტური ნაამბობის თანახმად, ამ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო ძლიერდება იმ ქრისტიანთა დევნა, რომლებიც უარს ამბობენ მისდიონ ისლამის ფანატიკურ სექტებს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ცნობების უმრავლესობა დოკუმენტურად არ არის დადასტურებული — აღნიშნული ქვეყნების მთავრობებს არ სურთ დააფიქსირონ ეს სამარცხვინო ინფორმაცია და გააცნონ სხვებს, — ისინი დიდ შეშფოთებას იწვევს. კერძოდ, 1990 წლიდან საუდის არაბეთში 1000-ზე მეტი ქრისტიანი უცხოელი დააპატიმრეს და აწამეს მხოლოდ იმის გამო, რომ არაფორმალურ რელიგიურ ცერემონიაში მონაწილეობდნენ. იქ, სადაც არის ასეთი დევნის კონკრეტული დამადასტურებელი საბუთები, — იქნება ეს ქრისტიანი ბავშვების დევნა სუდანში, კოპტების სახლებიდან გამოყრა ეგვიპტეში, ევანგელისტი პასტორებისა და ბაჰაისტების დამცირება, ცემა და მკვლელობანი ირანში, — ჩვენ ალვიქვამთ, როგორც სამოქმედო მოწოდებას.

ჩვენ აქ მოვედით, რათა გთხოვოთ, დაგვეხმაროთ, ბოლო მოეღოს ამ ტრაგედიას. მორწმუნეთა დევნა უნდა შეწყდეს და ამერიკა — თავისი ბუნებითა და მრწამსით — სათავეში უნდა ჩაუდგეს ამ ძალისხმევას. ჩვენ უნდა გავაჩაღოთ საპროტესტო კამპანია სხვა ქვეყნებში მცხოვრები ჩვენი ძმებისა და დების დევნის წინააღმდეგ. ჩვენ უკვე საკმაოდ ბევრი რამ ვიცით საიმისოდ, რომ აღვივსოთ გულისწყრომითა და შურისგების გრძნობით. ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ რელიგიური მოტივით დევნას და ყველაფერი ვიღონოთ, რათა შევაჩეროთ უდანაშაულო ადამიანთა სისხლის ღვარი. თუ საჭირო გახდა, უნდა შევქმნათ საკანონმდებლო ბაზა ასეთი ამოცანის განსახორციელებლად.

ელჩმა პოლ ვულფოვიცმა განაცხადა, რომ თვალსაწიერ მომავალში პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს ის, რომ XXI საუკუნე არ გახდეს XX ასწლეულის გამეორება. უკანასკნელი ასი წელიწადი ყველაზე სისხლიანი იყო კაცობრიობის ისტორიაში — სწორედ ამ პერიოდში მოხდა ორი მსოფლიო ომი, ცივი ომი, გენოციდი და უამრავი კონფლიქტი. ყოველივე ამის შედეგად დაიღუპა უამრავი ადამიანი, მაგრამ ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ ძალზე ბევრნი დაიღუპნენ თავიანთი სარწმუნოების გამო. XX საუკუნეში სარწმუნოებას ეწამა გაცილებით მეტი ქრისტიანი, ვიდრე ქრისტეს დაბადებიდან განვლილი მთელი 19 საუკუნის მანძილზე. მსოფლიო ძალიან დიდხანს არ აქცევდა ყურადღებას ამ ადამიანთა ტანჯვა-ვაებას. დადგა დრო, ყურად ვიღოთ უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლის ღაღადი, დადგა დრო, დავუბრუნდეთ ფუძემდელ ღირებულებებს და ბოლო მოვუღოთ უბრალო ადამიანთა ტანჯვას, ნათქვამია დასასრულ ცნობაში, რომელიც აშშ თბილისის საელჩოს საინფორმაციო სამსახურმა მოგვაწოდა.

დიდი მომღერალი ექსპერიმენტს აყენებს პოპ-მუსიკის მეფეზე

განთქმულ ტენორს ლუჩანო პავაროტის განზრახული აქვს უახლოეს ხანს ჩაწეროს ახალი ალბომი პოპ-მუსიკის მეფესთან მაიკლ ჯექსონთან ერთად. აპა სააგენტოს ინფორმაციით, ამჟამად მთავრდება მოლაპარაკება ამ ალბომის შექმნის თაობაზე, როგორც თვით შემსრულებლებს, ისე მოწვეულ მუსიკოსებს შორის. სააგენტო, აგრეთვე იუწყება, რომ მაიკლ ჯექსონთან ერთად მუშაობა არ არის პირველი ასეთი ექსპერიმენტი ლუჩანო პავაროტისათვის. აპა-ს მონაცემებით, უკვე ჩაწერილია და სულ მალე გამოვა საოპერო მომღერლისა და ირლანდიის „ი-თუ"-ს ჯგუფის ერთობლივი ალბომი.

შუასაუკუნეობრივ გადმონაშთებს ვერავითარი ტექნიკური პროგრესი ვერ უშველის

„ნოიბრანდერბურგერ ტაგესბლატი" წერს იაპონიის კანონმდებლობაში მომხდარი უკანასკნელი ცვლილებების შესახებ. გაზეთი იუწყება, რომ განვითარების მაღალი დონისა და საყოველთაოდ აღიარებული ცივილიზებულობის მიუხედავად, იაპონელებს ჯერ კიდევ არ დაუძლევიათ შუასაუკუნეობრივი გადმონაშთები და ცხოვრების ზოგიერთი ასპექტის მხრივ მათ კიდევ ბევრი უკლიათ ევროპულ სახელმწიფოებამდე. გაზეთს მაგალითად მოჰყავს იაპონიის პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული კანონი, რომელმაც მედიკოსებს ადამიანის ორგანოების იმპლანტაციის ნება დართო. ამ ბოლო დრომდე იაპონელ მეცნიერებს აკრძალული ჰქონდათ ადამიანის ორგანოების გადანერგვა, ვინაიდან აღმოსავლური ფსიქოლოგიის ზოგიერთი ნიუანსის გამო, კანონმდებლებს ვერ გამოეტანათ ერთსულოვანი დასკვნა იმის შესახებ, თუ როდის დგება ადამიანის სიკვდილი და, მაშასადამე, როდის შეიძლება მას ამოაცალო გადასანერგი ორგანო. ამიტომ იაპონიის მოქალაქენი ორგანოების გადანერგვის თაობაზე მიმართავდნენ უცხოეთის სახელმწიფოებს. გაზეთი, აგრეთვე აღნიშნავს, რომ მიღებული კანონის მიუხედავად, ორგანოების გადანერგვის ნებართვის აღების პროცედურა კვლავ უაღრესად რთულია და მის განხორციელებაში რაიმე შეცდომისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული.

ადოლფ ჰიტლერი - ქალების ნებიერა!

გაზეთი „შვერინერ აბენდბლატი" აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსის იურგენ კუჩინსკის კვლევის შედეგებს. როგორც გაზეთი წერს, ისტორიული დოკუმენტებისა და ფაქტების მრავალი წლის შესწავლის შემდეგ, იურგენ კუჩინსკიმ გამოიტანა დასკვნა, რომ ადოლფ ჰიტლერი გახელისუფლდა და ესოდენ დიდხანს იყო სახელმწიფოს სათავეში მხოლოდ და მხოლოდ იმის წყალობით, რომ მის კურსს მხარს უჭერდა გერმანიის მოსახლეობის ქალთა ნაწილი. მეცნიერის მონაცემებით, გერმანელი ქალები არათუ შეადგენდნენ ჰიტლერის მომხრეთა უმრავლესობას 1933 წელს მისი გახელისუფლების დროს, არამედ შემდეგაც ქმნიდნენ მისი პარტიის ძირითად ბირთვს და ჰიტლერის აქტიური მომხრენი იყვნენ მაშინაც კი, როდესაც ნაცისტური არმიის დამარცხება გარდაუვალი გახდა. გაზეთი, აგრეთვე აღნიშნავს, რომ იურგენ კუჩინსკის მიერ განხორციელებული კვლევა მხოლოდ ნაწილობრივ განმარტავს იმ ამბებს, გერმანიაში რომ მოხდა მისთვის საბედისწერო პერიოდში. რაც შეეხება ჰიტლერის საქმიანობისა და გერმანელთა ფსიქოლოგიაზე მისი გავლენის გლობალურ კვლევას, იგი ქვეყანაში ჯერ არ მოწყობილა.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას" და „პლანეტა-პორტეს" მასალების მიხედვით.

გვერდს უძღვება

არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№141. პარასკევი, 20 ივნისი, 1997 წელი

ტრაგიკული ფურცლები

სისხლიანი 1937

3. ეშმაკის ღოლაბი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 138, 139.

ჩვენს რესპუბლიკაში „ტროცკისტების“ დაპატიმრებას არ დაუგვიანია. იგი დაიწყო 1936 წლის გაზაფხულზე და უკვე შემოდგომისათვის გაფართოვდა, ე. ი. ჩვენშიც დაიწყო სერებრიაკოვ-პიატაკოვის და სხვა „ტროცკისტი ჯაშუშების“ დაპატიმრების დროიდან. დაპატიმრებებმა საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო 1937 წლის იანვარში მოსკოვში ბუდუ მდივნისა და პიატაკოვ-სერებრიაკოვის დაპირისპირების და მათ მიერ მიცემული ჩვენებების „დადასტურების“ შემდეგ. ე. ი. საქართველოს კომპარტიის და ჩეკას ხელმძღვანელობა დაუყოვნებლივ შეუდგა სათანადო სამუშაოს.

ამაში, როგორც 1954 წელს დაკითხულთა ჩვენებებიდან ჩანს, აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი ლ. ბერია და მისი უახლესი გარემოცვა. ძიების საქმეს უშუალოდ უძღვებოდნენ საქართველოს უშიშროების ორგანოების ცნობილი მუშაკები გოგლიძე, რაფავა, ქობულოვი, სავიცკი, კრიმიანი და სხვები, რომელთა უმრავლესობას ბერიას განადგურების შემდეგ სათანადო ჩვენებები ჩამოერთვა. მათში აშკარად შეიმჩნევა თავის მართლებისა და ბრალდებათა ურთიერთგადაბრალების მისწრაფება. ჩანს, რომ ძიება დაინტერესებულია დაამძიმოს „ხალხის მტრის“ და „იმპერიალიზმის აგენტის“, ბერიას დანაშაულობანი. ამ მხრივ გამოირჩევიან ჩეკისტები, რომლებიც გადაურჩნენ პასუხისმგებლობას. მაგრამ ჩვენებებიდან ირკვევა შემდეგი:

1. ლ. ბერია ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილედ და სამძებრო-ოპერატიული განყოფილების უფროსად მუშაობის დროიდან „იკრებდა სისხლის სამართლის დამნაშავეებს“, ყოფილ ანტიბოლშევიკურ პარტიათა წევრებს და თეთრგვარდიელებს. ამის გამო ორგანოებში კონფლიქტური სიტუაციაც კი აღმოცენებულა, რომელიც მოსკოვის კომისიას ბერიას სასარგებლოდ მოუგვარებია.

2. 1937 წელს ლ. ბერია უშუალოდ ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობას.

ერთ-ერთმა ყოფილმა ოპერატიულმა მუშაკმა უჩვენა: „1937 წლის დასაწყისში საქ. კპ (ბ) ცკ-ის ბიუროს გადაწყვეტილებით, რაიკომის მდივნობიდან მობილიზებული და გაგზავნილი ვიქენი შინსახკომის აპარატში, ვასრულებდი აპარატის ხელმძღვანელი მუშაკების ცალკეულ დავალებებს... იმ პერიოდში იყო პრაქტიკა, რომ ბერია ყოველდღიურად, 23 საათისათვის, მოდიოდა გოგლიძესთან ან ქობულოვთან, გამოიძახებდა ხელმძღვანელ მუშაკებს და აკეთებდა ინფორმაციას საქართველოს ფარული კონტრრევოლუციური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. ამ თათბირებზე ოქმები დგებოდა. მდივანი იყო ხოლმე ქობულოვის მდივანი მილოვა. შინსახკომის მთელ მუშაობას ბერია აძლევდა მიმართულებას. იგი ინფორმაციას იძლეოდა, რომ საქართველოს კპ (ბ) ცკ-მა განიხილა საქართველოს სახელმწიფო თუ სამეურნეო მართვის ამა თუ იმ მუშაკზე შემოსული მასალები. ასახელებდა გვარებს. ამბობდა, რომ ისინი ცკ-ის ბიუროს გადაწყვეტილებით გაირიცხნენ პარტიიდან, რომ მათზე მასალები გადმოგვეცა შინსახკომში. აქვე იძლეოდნენ მითითებებს ვინ როდის დაეპატიმრებინათ, ინიშნებოდნენ შემსრულებლები. ასეთი მითითებებით დაპატიმრებები ხდებოდა დადგენილების, პროკურორის სანქციისა და ორდერის გარეშე, ხოლო ტექნიკური მხარე მოგვიანებით ფორმდებოდა. არსებობდა ე. წ. „დამუშავების“ პრაქტიკა. პატიმრები უსაფუძვლოდ, დაუსაბუთებლად მიჰყავდათ შინსახკომში და დაკითხვის გარეშე სცემდნენ. „დამუშავების“ შემდეგ ფორმდებოდა დაპატიმრების დადგენილება, ორდერი და დოკუმენტაცია. ასეთ წინასწარ დამუშავებას გამოუკლებლივ ყველა პატიმარი გადიოდა“...

3. სასამართლოზე ბ. ქობულოვმა უჩვენა: „ბერია თვითონ მოდიოდა დაკითხვაზე, დაჰკითხავდა, ბრძანებას იძლეოდა გვეცემა დასაკითხავი. მიბრძანებდა მეცემა და მეც ვცემდი“. გოგლიძემ განმარტა: „...მათიკაშვილს პირველი დარტყმები მიაყენა ბერიამ, შემდეგ მისი ცემა განაგრძო ქობულოვმა...“ ქობულოვმა გოგლიძის ეს ნათქვამი დაადასტურა. საქართველოს შინსახკომის იმდროინდელმა საგანგებო რწმუნებულმა შ. ს-მა დაკითხვის დროს უჩვენა: „დამუშავებისას შ. მათიკაშვილს ხელი ჰკრა ბერიამ, შემდეგ ფეხი ჰკრა ბ-ძემ, ხოლო პროცედურას მხარი დაუჭირა ფ-იამ... იგი მანამდეც ისე იყო დამუშავებული, რომ გამყოლებმა ქობულოვის კაბინეტში კი არ შემოიყვანეს, არამედ შემოიტანეს“...

ჩეკას ერთ-ერთი ყოფილი ოპერატიული მუშაკის ჩვენებით, საქართველოს შინსახკომის „ერთ ინფორმაციულ“ შეკრებაზე ბერიამ გვაცნობა, რომ შ. კ. ლეჟავა კონტრრევოლუციურ კავშირშია სსრკ ცაკის მდივან ენუქიძესთან და, რომ თითქოს ისინი ბრძოლას აწარმოებდნენ ბელადის წინააღმდეგ. შემოგვთავაზა მისი დაპატიმრება... ლეჟავა დავაპატიმრეთ დაახლოებით ღამის 3 საათზე... ორდერის, დადგენილების და პროკურორის სანქციის გარეშე... „დამუშავების“ შემდეგ ლეჟავა მივიყვანეთ ქობულოვის კაბინეტში... აქ გველოდნენ ბერია, გოგლიძე, ქობულოვი, რაფავა და თვალჭრელიძე. როცა მივიყვანეთ, ბერია დაელაპარაკა და გააფრთხილა, თუ გინდა სიცოცხლის შენარჩუნება, პატიოსნად მოყევი აბელ ენუქიძესთან შენი კავშირის და ბელადის წინააღმდეგ თქვენი ბრძოლის შესახებო. ლეჟავამ განაცხადა, რომ მ. ენუქიძეს იცნობს, მაგრამ მასთან არავითარი კონტრრევოლუციური კავშირი არ ჰქონია. მაშინ გოგლიძის ბრძანებით შ. ლეჟავას მიმართ გამოიყენეს რეჟიმი. ბერიას თანდასწრებით სასტიკად სცემეს და უგონო მდგომარეობაში გაიტანეს კაბინეტიდან. შემდეგ გაგზავნეს საკანში. ამ შემთხვევაში ლეჟავას ცემა გრძელდებოდა საათნახევარი... მე თვითმხილველი ვიყავი იმისა, თუ როგორ იღებდა პიროვნულად მონაწილეობას ბერია მალვა ელიავას ცემაში“.

სცემდნენ ყველას, სქესის და ასაკის მიუხედავად. ყოფილმა პატიმარმა ა. ნ-მ უჩვენა, რომ „სცემდნენ მოხუცს, გვარად აბაშიძეს, რომელიც 70 წლამდე იქნებოდა“. სხვა ყოფილმა პატიმარმა უჩვენა, რომ „ცივ საკანში“ მოათავსეს ქართველი ქალი, რომელიც სრულიად შიშველი, კივილით მიჰყავდათ. საპატიმროში ჰყავდათ ბავშვები და დედები ძუძუთა ბავშვებით.

4. ერთ-ერთმა ყოფილმა ჩეკისტმა ს. დ-ძემ უჩვენა: „მე მიხდებოდა პატიმრების ოქმების წაკითხვა, რომლებსაც ჰქონდა ბერიას რეზოლუციები გოგლიძის და ქობულოვის მიმართ: „დააპატიმრეთ“, „დალეწეთ“, „დახვრიტეთ“. გოგლიძე და ქობულოვი ბერიას წაბაძვით ასეთივე რეზოლუციებს უწერდნენ თავიანთ ხელქვეითებს“.

სუკის არქივში მოვიპოვე ქსეროასლი ბერიას ერთ-ერთი რეზოლუციისა, რომელიც ადევს ბეგლარ ბერიას ხელმოწერილ ნაბეჭდ განცხადებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. მასში მოთხრობილია მისი პარტიიდან უსამართლო გარიცხვა თბილისის სტალინის რაიკომის მიერ. ადრესატი ითხოვს ავტორიტეტული კომისიის გამოყოფას საკითხის შესასწავლად. განცხადებას კი ცეკას მდივნის ხელით რუსულად აწერია: „შინსახკომს ამხ. გოგლიძეს, იგი უნდა აიყვანოთ. ლ. ბ. 10/XI-37“. აიყვანეს, „დაამუშავეს“ და სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯეს.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკთა მიერ პატიმრების ტანჯვა-წამების მეთოდების შესახებ ბევრი დაიწერა. ისიც ცნობილია, რომ თავდაპირველი წინააღმდეგობის მიუხედავად, თითქმის ყველა იძლეოდა ნამართავ ჩვენებებს. ასახელებდნენ „თანამონაწილეებს“, ზოგჯერ კი ყველას, ვისი გვარიც კი ახსენდებოდათ. ასეთი სტილისა და მეთოდების დანერგვა-გავრცელებაში ლ. ბერიას საკუთარი, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა.

ამ გზით „დადგენილი იქნა“, რომ ბუდუ მდივნის მეთაურობით შექმნილ „ტროცკისტ ბუხარინელთა პარალელური ცენტრის“, ანუ „ქართული ნაციონალური ცენტრის“ ხელმძღვანელობაში შედიოდნენ იგნატი ჭიჭინაძე, ჯიქია, მათიკაშვილი, ქლენტი, ტორომელიძე. ანტისაბჭოთა ქართული ორგანიზაციის მონაწილენი ამზადებდნენ ტერაქტებს გოგლიძის, არუთინოვის, ბაქრაძის, ტაიტუევის და საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის და შინსახკომის სხვა მუშაკების მიმართ. ლ. სერებრიაკოვის ჩვენებებში კი ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

პიატაკოვის ჩვენებაშიც არ იყო მითითებული იმის შესახებ, რასაც ლ. სერებრიაკოვი ადასტურებდა. მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მთავარი იყო, რომ ეჟოვის ხელმძღვანელობით და ბერიას ქმედითი მონაწილეობით დაიწყო დიდი ტერორის ჯაჭვური რეაქციის პროცესი.

ბერია სიამაყით იმკიდა საქართველოს კომპარტიის მდივნის პოსტზე სტალინის ხაზის გატარებით მოპოვებულს. საქართველოს კომპარტიის X ყრილობის (1937 წ. 15 მაისი) ტრიბუნიდან საქვეყნოდ აცხადებდა: „ჩვენთან იყვნენ ადამიანები (!-გ. ც), რომლებიც დაობდნენ თითქოს აუტანელი რეჟიმის შესახებ ამიერკავკასიასა და საქართველოს პარტორგანიზაციებში, ამიერკავკასიის კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის მხრივ ადამიანებისადმი არაობიექტური დამოკიდებულების, რაღაც ჩეკისტური მეთოდების გამოყენების, იმის შესახებ, რომ თითქოს ხალხის მდგომარეობა საქართველოში უარესდება და დაღუპვისაკენ მიდის, იმის შესახებ, რომ თითქმის ყოველდღიურად ცხოვრებაში ხდება ინკვიზაციის მეთოდების რესტავრირება...

ბერია ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის V პლენუმზე (1936 წ.) მიზნობრივად მიუთითებდა საქართველოში ანტისაბჭოთა ელემენტებისა და, კერძოდ, ტროცკისტების განსაკუთრებული სიჭარბის შესახებ. მათი საერთო რიცხვი — 100 ათასიც კი დაასახელა. ეს იყო დიდი სისხლისღვრის წინ დიდი სარდლის საპროგრამო მითითება.

რეპრესიების დაჩქარებისა და სისასტიკის შემდგომი გაძლიერებისათვის დამატებითი ბიძგიც მოსკოვიდან მიიღეს.

1937 წლის 22 მაისს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა თბილისელი საკუთარი კორესპონდენტის მეზენინის მცირე მოცულობის, მაგრამ უაღრესად დამაინტრიგებელი სტატია „საქართველოს ბოლშევიკთა ყრილობაზე“. პუბლიკაციაში საქართველოს კომპარტიის X ყრილობის მუშაობა მკაცრად იყო გაკრიტიკებული იმის გამო, რომ ყრილობის წინ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საგადარჩევნო სხდომებზე მთავარი სულისკვეთება იყო ის, რომ „მასები ამჟღავნებდნენ განსაკუთრებულ აქტიურობას პარტიის თვალთმაქცი და ფარული მტრების გამოვლინებისათვის“, ე. ი. რეპრესიების მთელი სიმკაცრით და ფართო მასშტაბით განხორციელების მოთხოვნით, ყრილობაზე კი „მრავლად გაისმოდა ალილუია. აქ დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, თითქმის ყველა ორატორი თავის მოვალეობად თვლიდა საკუთარი სიტყვა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის სადღეგრძელოთი დაემთავრებინა. დარბაზიც, ტრადიციისამებრ, რა თქმა უნდა, ხანგრძლივად აპლოდირებდა“. ე. ი. ამით ხაზი ჰქონდათ გადასმული ბერიას პიროვნულ დამსახურებას „სტალინის ხაზის“ გატარებაში. პუბლიკაციაში ეჭვქვეშ იყო დაყენებული მისი კურსი საერთოდ და, კონკრეტულად, 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის იმ დირექტივებთან დაკავშირებით, რომლებიც მოითხოვდა სოციალიზმის გამარჯვების კვალობაზე ახალ, კლასობრივი ბრძოლის უკიდურესი გამწვავების ვითარებაში“ (ი. სტალინი) მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ფართოდ ორგანიზებას.

„პრავდის“ სტატია მრავალმნიშვნელოვნად აცხადებდა: „ისმება კანონიერი კითხვა — საქართველოს ყველა პარტიულ ორგანიზაციაში (ე. ი. ცენტრალურ კომიტეტსა და ხელმძღვანელობაში — გ. ც.) თუ იქნა გაგებული სკპ (ბ) ცკ-ის (თებერვალ-მარტის პლენუმის — გ. ც.) გადაწყვეტილებები?..“ ისე გამოდიოდა, რომ საქართველოში „სტალინის ხაზის“ გატარება ეჭვსქვეშ იყო დაყენებული.

ბრალდება მეტად მძიმეა და დაუნდობელი (იქნებ იგი აირეკლავს წინააღმდეგობას ეჟოვსა და ბერიას შორის?). მაგრამ სინამდვილეში საქართველოში 1937 წლის დასაწყისიდანვე დიდი უბედურება სუფევდა ლ. ბერიას მიერ ი. სტალინისადმი გაგზავნილი 30-31 ოქტომბრის სპეციალურ დეპეშაში (№2984/C) ნათქვამია: „უკანასკნელი წლის განმავლობაში (! — გ. ც.) საქართველოს შინსახკომის ორგანოების მიერ დაპატიმრებულია 12 000 მეტი კაცი. დღემდე დაპატიმრებულთაგან გასამართლებულია: სამეულების მიერ — 5236 კაცი, სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ — 910, სსრკ შინსახკომის საგანგებო სათათბიროს მიერ — 591, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სპეცკოლეგიის მიერ — 468, სამხედრო ტრიბუნალების მიერ — 99, სახალხო სასამართლოების მიერ 70 (0,01 პროცენტი — გ. ც.), სულ დაპატიმრებულთა საერთო რიცხვიდან გასამართლდა 7 374 კაცი... “ (საქართველოს პოლიტიკური პარტიების არქივი, ფ. 14, აღწ. 2, ს. 152, ფურც. 171-173). ბერია წერს საქართველოს ციხეების უკიდურესი გადატვირთულობის შესახებ და ი. სტალინის წინაშე აყენებს საკითხს: „ფერხდება სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესიის მიერ საქმეების ნორმალური ყოველდღიური განხილვა“. და ითხოვს საქმის დასაჩქარებლად „ნება დართონ სკპ (ბ) ცკ-ის დირექტივების შესაბამისად შექმნილ სპეციალურ სამეულებს გადაცეს საქართველოს შინსახკომის მიერ გახსნილი ტროცკისტულ-ტერორისტულ-დივერსიულ ჯაშუშური და მემარჯვენეთა ტერორისტულ-დივერსიულ ჯაშუშურ ორგანიზაციების მონაწილეთა საქმეები“ (იხ. იქვე).

ბერიას თხოვნა უყურადღებოდ არ დარჩენილა. მაგრამ ამჯერად მთავარია ის, რომ პოლიტიკური რეპრესიები ბერიას, საქართველოს ჩეკისტებს არ დაუყოვნებიათ. ამასთანავე, როგორც ვხედავთ, ბერია საგანგებოდ არის დაკავებული არა მხოლოდ სამეურნეო აღმშენებლობის საკითხებით, როგორც მკითხველს წარმოუჩენს სერგო ბერია, არამედ სისხლის კალოს გაფართოებითაც, მაგრამ, როგორც ჩანს, ზემოთ არ მოსწონდათ საქართველოში მიმდინარე რეპრესიების ტემპები.

ბერიამ გაარკვია, რომ „პრავდის“ თბილისელი კორესპონდენტის წერილი მოსკოვში მის საწინააღმდეგოდ გადაკეთდა. მან ამის შესახებ სტალინს სპეციალური წერილით აცნობა და შეეცადა ამის გამო „პრავდის“ რედაქციას პასუხისმგებლობა ეკისრა. ამასთან, ბერიამ და მისმა თანამოსაქმეებმა არ გაიმეორეს დემეტრე თავდადებულის გმირობა. საკუთარი ხალხი ბოლომდე გაწირეს და ამით ყველას დაუმტკიცეს „სტალინის ხაზისადმი“ ურყევი ერთგულება. მაისის შემდგომ გაასკეცებული ენერგიით შეუდგნენ „მტრების“ გამოვლენასა და განადგურება-მოსპობას, რის დროსაც აძლიერებდნენ არა მარტო ადამიანთა წამებას და საქმეების ფალსიფიცირებას, არამედ მიმართავენ სასამართლო ფარსებსა და მკვლელობას.

ადრე გამოვაქვეყნე („კაბადონი“, 1991 წ. 4 ივლ.) სპეციალური პუბლიკაცია, რომელშიც აღვწერე „ქართული ნაციონალური ცენტრის“ სასამართლო სპექტაკლის და ხელოვნურად შეთითხნილი „ცენტრის“ ლიდერების (ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, მ. ტორომელიძე, ნ. ქარცივაძე, ს. ჩიხლაძე, გ. კუროლოვი, გ. ელიავა) ფაქტობრივი მკვლელობის „კურიოზული“ მაგალითი. ბერიას ზემოქმედებით საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან ხელოვნურად შეკოწიწდა სპეციალური კოლეგია საეჭვო პირთა შემადგენლობით. პროკურორად მიიწვიეს 1924 წელს აჯანყებულთა ჯალათი ი. ტალახაძე. საბრალდებულო დასკვნის (ხელს აწერენ ხაზანი და ქობულოვი) მიხედვით, „ცენტრის საქმე“ განსახილველად ექვემდებარებოდა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისათვის გადასაცემად“. თვით დასკვნაც შემოწმების დროს (1955 წ.) აღმოჩნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და არა საქმეში. 50-იან წლებში დაკითხვის დროს სასამართლოს წევრებმა უჩვენეს, 1937 წელს, ამ საქმის გამო საქმეში იდო „საბრალდებო დასკვნა უმაღლეს სასამართლოში გატანით“. პირდაპირი მითითება არ მოუციათ, მაგრამ მიგვახვედრეს, რომ უნდა გამოგვეტანა „სასჯელის უმაღლესი ზომაო“. წინასწარ შედგენილ დახვრეტის აქტს გოგლიძე ხელს აწერდა ჯერ კიდევ სასამართლო პროცესის დამთავრებამდე. შემდეგ არარსებულ „ცენტრს“ ჩეკისტური ჯაჭვური რეაქციით ათასები დაუკავშირეს.

50-იან წლებში, „სარეაბილიტაციო“ ფარსის ორგანიზების დროს, დაკითხულ მოწმეთაგან მრავალმა უჩვენა, რომ 1937 წელს ჩატარებული დაკითხვებისა და წამების დროს იყო ბრალდებულთა თვითმკვლელობის, შემოკვდომისა და მოკვლის შემთხვევები.

დაბოლოს, საქართველოს კომპარტიის XI ყრილობის (1938 წ.) გამოქვეყნებული სტენოგრაფიული ანგარიში ხომ აშკარად და თითქმის ყოველ გვერდზე აღნიშნავს, რომ საქართველოში განხორციელებული სისხლისღვრების ორგანიზატორი იყო ლ. ბერია. საკმარისი იქნება თუნდაც იმის მითითება, რომ თავის სიტყვაში ფ. მახარაძე ფაქტობრივად ადასტურებს, რომ საქართველოში განხორციელებული რეპრესიები იყო ბერიას საკადრო პოლიტიკის პირდაპირი შედეგი.

არც ის დასტურდება, რომ ფიზიკური მოსპობისაგან ბერიამ იხსნა ივანე ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. ბერიძე, კ. გამსახურდია, გ. ვ. წერეთელი და ქართული „ბურჟუაზიული ინტელიგენციის“ სხვა წარმომადგენლები. პირიქით, ბერიას საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნად მუშაობის დროს (1938 წ.) შეკოწიწდა დამატებითი სიები საქართველოში ვითომ მოქმედი ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური, ტერორისტული და ფაშისტურ-ჯაშუშური ორგანიზაციების „ამოსაღები“ — ჯერ დაუპატიმრებელი წევრების შესახებ. ეს იყო საქართველოს „მემარჯვენე ფედერალისტების“, „მემარჯვენე ესერების“, „ეროვნული დემოკრატების“ და ყველაზე მრავალრიცხოვანი — ვითომ უნივერსიტეტთან დაჯგუფებული“ ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური“, „ქართველ უკიდურეს ნაციონალისტთა“ ფაშისტურ-ჯაშუშური ორგანიზაცია“ (121 კაცი), რომლის „იდეოლოგად და ერთპიროვნულ ხელმძღვანელად“ გამოცხადებული იყო ივანე ჯავახიშვილი, ხოლო ხელმძღვანელ მონაწილეებად და მონაწილეებად დაუპატიმრებელთაგან — კ. გამსახურდია, გ. ვ. წერეთელი და სხვები.

საერთო ჯამში ამ ვითომ „კონტრრევოლუციურ“ ორგანიზაციებში ასობით ჯერ კიდევ დაუპატიმრებელი ქართველი ინტელიგენტი იყო ჩამოთვლილი. ისინი არ დაუპატიმრებიათ, თორემ რეპრესიების ჯაჭვური რეაქციით, შეიძლებოდა ახალი ასეულების გაუბედურება. ამ შემთხვევაში საქართველო დარჩებოდა მხოლოდ ისედაც მომრავლებული ობივატელებისა და „კოსმოპოლიტების“ ანაბარა.

გიორგი ციციშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

(დასასრული იქნება)

იუბილე

გზა აღმავალი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს დავით ჯოხაძეს 70 წელი შეუსრულდა

ცნობილ მეცნიერს ბიოლოგიის დარგში დავით ივანეს ძე ჯოხაძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. ბატონი დავითი დაიბადა გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში 1927 წლის 9 ივნისს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იქვე გაიარა ასპირანტურის კურსი გენეტიკის განხრით. 1953 წელს დაიცვა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. დავით ჯოხაძე 1952-62 წლებში მოღვაწეობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც კითხულობდა ლექციებს ზოგად ბიოლოგიაში, გენეტიკაში და ევოლუციურ თეორიაში. 1962-1968 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, ბიოფიზიკის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1968-69 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში ბიოპოლიმერების ფიზიკის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1969 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სერგო დურმიშიძის სახელობის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორიის გამგედ. დავით ჯოხაძის მიერ შექმნილ ლაბორატორიაში ძირითადად მისივე აღზრდილები მუშაობენ, რომელთა უმეტესობას სამეცნიერო ხარისხი აქვს. ამასთან, დავით ჯოხაძე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გენეტიკის კათედრის პროფესორია, ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს უკითხავს მოლეკულური გენეტიკის, გენეტიკური ინჟინერიისა და ევოლუციური თეორიის კურსებს.

1974 წელს დავით ჯოხაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1979 წელს თვალსაჩინო მეცნიერული დამსახურებისათვის აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იგი ამავე დროს არის საქართველოს ბიოსამედიცინო აკადემიის, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიისა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მას გამოქვეყნებული აქვს 140-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. მისი სახელმძღვანელო „მოლეკულური გენეტიკის შესავალი“ პირველია ქართულ ენაზე ამ დარგში, და ამ წიგნით სარგებლობს საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის, მათ შორის მშობლიური უნივერსიტეტის სტუდენტობა. მიმდინარე წელს დავით ჯოხაძე გაწეული მუშაობისათვის დაჯილდოვდა ჯ. სოროსის პრემიით. მისი უშუალო მონაწილეობით საქართველოში განვითარდა ბიოლოგიის ისეთი ახალი და მნიშვნელოვანი დარგი, როგორიცაა მოლეკულური გენეტიკა. მეცნიერის შრომები შეეხება გენეტიკური ინფორმაციის დეკოდირების, მცენარეული და ცხოველური გენომის ფუნქციონირების მოლეკულური მექანიზმების კვლევას. ამ ნაშრომებს ჯეროვანი რეზონანსი აქვთ როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. დავით ჯოხაძის ხელმძღვანელობით შესრულებულია ათამდე საკანდიდატო დისერტაცია, კონსულტაციებს უწევდა და უწევს დოქტორანტებს. იგი მრავალი რესპუბლიკური, ყოფილი საკავშირო და საერთაშორისო მეცნიერული ფორუმების მონაწილეა. მიმდინარე წლის იანვარში იგი წარმატებით წარსდგა საერთაშორისო სიმპოზიუმზე ქ. დუბნაში, რომელიც იუნესკოს ეგიდით ჩატარდა.

პროფესორი დავით ჯოხაძე აქტიურად მონაწილეობდა ქართული ენციკლოპედიის შედგენაში, კერძოდ, მის მიერაა დაწერილი თითქმის ყველა დიდი ბიოლოგიური სტატია. ამასთანავე ხშირად აქვეყნებს წერილებს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე.

ექსპერიმენტული ბიოლოგიის გარდა, დავით ჯოხაძე მუშაობს საქართველოში ბიოლოგიის ისტორიის საკითხებზეც, ამ დარგში ბევრი საინტერესო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. იგი უაღრესად დიდად არის დაინტერესებული საქართველოს ისტორიით, ფოლკლორით, საერთოდ, ლიტერატურით, ამ სფეროში მისი ცოდნა პროფესიონალთა დონეს უტოლდება. მის პირად ბიბლიოთეკაში გამოირჩევა „ვეფხისტყაოსნის“ კოლექცია მსოფლიოს მრავალ ენაზე დასტამბული, რომელთაგან ზოგიერთი გამოცემა უნიკალურია.

დავით ჯოხაძის, როგორც პიროვნების, მთავარი საფიქრალი იყო და არის თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს შენებასა და განმტკიცებაში. ვუსურვებთ ბატონ დავითს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ახალგაზრდულ სულსა და შემართებას, ჩანაფიქრის ხორცშესხმას მის მომავალ სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გიორგი კვესიტაძე,
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის სერგი დურმიშიძის
სახელობის მცენარეთა
ბიოქიმიის ინსტიტუტის
დირექტორი, აკადემიკოსი,

ნოდარ ნუცუბიძე,
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

წინ, ნათლისაკენ!

მართლმადიდებლობა და ხუროთმოძღვრება

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას
ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას
გაიგებს...“
გალაკტიონი.

ახლახან მოეწყო კონფერენცია თემაზე „თანამედროვე მართლმადიდებლური ხუროთმოძღვრება, რეალიები და პრობლემები“. შეკრების ორგანიზატორი იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებიც.

ამ ორიგინალური შეკრების მიზანი იყო ხუროთმოძღვრებასა და მართლმადიდებლობას შორის გამწყდარი ძაფის აღდგენა, რომელსაც თანამედროვე არქიტექტორები წარსულის ხუროთმოძღვრულ მრწამსთან უნდა დაეკავშირებინა. ცოდნა, რომელიც წარსული საუკუნეების ხუროთმოძღვრებს ჰქონდათ, დაიკარგა, ან, რაც შემორჩა, მოკლებულია სულიერების საფუძვლებს და ერთგვარ ფორმალურ შემოქმედებად გვევლინება. დაგროვდა მრავალი პრობლემა, რომელიც ოპერატიულ გადაწყვეტას მოითხოვს. სათანადო პასუხის მოძებნა მონოლოგიით ვერ მოხერხდება, ჭეშმარიტებას მხოლოდ გულახდილი დიალოგით, აზრთა გაზიარებით თუ შევძლებთ.

ამ კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა სწორედ საქმიან დიალოგებს, რომლებიც მომავალში კეთილმოსურნეობისა და ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე გაიმართება და მართლმადიდებლური აზროვნება და ტრადიციები ჩვენი თანამედროვე არქიტექტურული სამყაროსათვის ახლობელი და მისაღები გახდება.

კონფერენციის მონაწილეებს ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა მეუფე დანიელმა გააცნო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიმართვის ტექსტი.

— ასეთი საქმიანი, შემოქმედებითი შეხვედრები ტრადიციად იქცევა, — გვითხრა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ, ბატონმა ვახტანგ დავითაიამ.

სოფიკო ოხანაშვილი.

ზურამ ბერსამიას ფოტო.

იყიდება

იყიდება არასტანდარტული ოთხოთახიანი სუფთა ბინა — საერთო ფართი 110 კვ.მ. ლოჯია 23 კვ.მ. სამზარეულო 12 კვ.მ. ჰოლი 9 კვ.მ. ორი ტუალეტით, სარდაფით, ტელეფონით, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, მეტრო „უნივერსიტეტთან“, ცხრასართულიანის მერვე სართულზე. საწყისი ფასი 30.000 დოლარი. ტელეფონი 30-46-52, ნინო, მამია.

იყიდება ქობულეთში, ზღვის სანაპიროდან 200 მ ორსართულიანი სახლი — 11X12. I სართულზეა 4 ოთახი, ავტოფარეხი; II სართულზე 5 ოთახი, ორი შემინული აივნით, სანტექნიკით, ავტომატური გათბობით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, ხეხილიანი ბაღით, ვენახით. ფასი 32.000 დოლარი, ტელ. 99-94-48, გოგი; 34-30-32, რეზო.

იყიდება — 4-ოთახიანი პრივატიზებული სახლი, სუფთა, საშუალო რემონტით. ბინას აქვს სამზარეულო, სააბაზანო, ტელეფონი. ოთახების ფართია 20-23-18-10 კვ. მ. აქვს დიდი ლოჯია. არის დაშენების პერსპექტივა. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ნაძალადევის რაიონი, კიკნაძის ქუჩა № 9 (ნაძალადევის მეტროსთან ასახვევში). ტელ: 66-70-81 ან 93-10-19.

იყიდება ოროთახიანი, ტელეფონიანი, გარემონტებული კუთხის ბინა ორი აივნით, რკინის კარებით, ავტოფარეხით. ბინა არის რვასართულიანი სახლის მე-6 სართულზე. ფასი 8500 დოლარი. მისამართი: თემქის დასახლება, XI-მ/რ. II კვ. 27 კორპ. ტელ. 93-26-80, დღისით, 60-75-84, საღამოს, 7 საათიდან.

იყიდება ჩეხური პროექტის სამოთახიანი ბინა ლოჯით, ბინა გაურემონტებელია. მისამართი — ვარკეთილი-3, მე-2 მიკრორაიონი, კორპუსი 24, მე-2 სართული, ბინა 94. ფასი შეთანხმებით. საღამოს 5-დან 8 საათამდე. იკითხეთ ლუდა. ტელ: 66-88-90.

სასწრაფოდ იყიდება აგარაკი სოფელ ცხვარიჭამიაში, სახლი კაპიტალურია, აქვს 1200 კვ.მ. ეზო ხეხილის ბაღით და წყლით. საწყისი ფასი 6500 დოლარი, ტელ. 99-85-14.

ქირავდება

ქირავდება ოფისისათვის ერთოთახიანი ბინა რუსთაველის ძეგლთან, 30 კვ. მ. ფართით, ტელეფონით, სველი წერტილებით. დარეკეთ: 37-62-91, დილა-საღამოს; 95-31-90, 98-71-31, დღისით, იკითხეთ გოგი.

სხვადასხვა

კვალიფიციურად შევაკეთებ ყველანაირი ავტომანქანის ელექტრომოწყობილობას. მისამართი: თბილისი, გაგარინის 29. იკითხეთ ისმაილი.

ავტომანქანები

იყიდება ვაზ-21 მარკის ავტომანქანა 1970 წ. საექსპორტო გამოშვება, სპილოსძვლისფერი. კარგ მდგომარეობაში. ფასი 1600 დოლარი. ტელ. 61-26-07.

„საქართველოს რესპუბლიკა“
მხოლოდ თავისი მკითხველების
განცხადებებს აქვეყნებს უფასოდ

№ 141 „სრ“

უფასო განცხადებების ბლანკი

შევსებული ბლანკი ამოჭერით და ჩააბარეთ რედაქციის განცხადებების განყოფილებას. მისამართი: მ. კოსტავას ქ. №14. პირველი სართული. ყოველ დღე, კვირის გარდა, 11-დან 17 საათამდე.

ყურადღება!

ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ მიმდინარე წლის 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის“ მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის“ სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური გვერდი

ჩოგბურთი

ევროპის ჩემპიონატის საგზურებს დაეუფლნენ

წლევანდელ სპორტულ სეზონში შვეიცარიაში, ინგლისსა და იტალიაში ჩატარდება ევროპის ჩემპიონატები ჩოგბურთში 14, 16 და 18 წლის ასაკამდე ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შორის. ამ ასპარეზობათა სამზადისს მიეძღვნა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ზემოაღნიშნული ასაკის ჩოგნის მომავალ ოსტატთა შორის.

გვიამბობს მწვრთნელი ნიკო ელერდაშვილი:

—საქართველოს ჩემპიონატის კალენდარული მატჩები ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიისა და სპორტსაზოგადოება „დინამოს" კორტებზე ჩატარდა. 14 წლის გოგონათა შორის ჩემპიონის წოდება ნინო ესებუამ მოიპოვა, რომელიც ევროპის პირველობაზე იტალიაში იასპარეზებს. ობიექტური მიზეზების გამო, არ გამართულა ამავე ასაკის ჭაბუკ ჩოგბურთელთა ფინალური მატჩი, სადაც ერთმანეთს ანდრო თოლორაია და კოკა ბურჭულაძე უნდა შეხვდნენ. ფედერაციის გადაწყვეტილებით, იტალიაში ორივე სპორტსმენი გაემგზავრება იმის მიუხედავად, თუ როგორ დასრულდება გადადებული მატჩი.

16 წლის ასაკის ქალიშვილების ტურნირის ფინალში ნატო კაჭკაჭიშვილმა 2:1 დაამარცხა ეკა ქვანია. აქ მესამე ადგილზე გავიდა ნინო ჭიჭინაძე. რაც შეეხება ჭაბუკებს შორის პაექრობას, აქ უძლიერესი გახდა ირაკლი უმანგიშვილი, რომელმაც 7:5, 6:3 მოუგო ლადო ჩიხლაძეს. მესამე ადგილზე გავიდა დათო აბულაძე. ინგლისში მიმავალ ქართველ ჩოგბურთელებს უმანგიშვილსა და კაჭკაჭიშვილს შეუერთდებიან ევროპის ჩემპიონი ირაკლი ლაბაძე და საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი მაკა ჩახნაშვილი.

დასასრულს, მინდა, გაგაცნოთ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის გამარჯვებულები და პრიზიორები 18 წლის ასაკის ჩოგბურთელთა შორის. ფინალურ მატჩში ნუკრი ცერცვაძემ (2:0) მოუგო გივი მიქელაძეს და პირველობა მოიპოვა. აქ ბრინჯაოს პრიზიორია ირაკლი კიკნაძე. ჩემპიონატის გამარჯვებული ნუკრი ცერცვაძე და გივი სამხარაძე ზაფხულში შვეიცარიაში გაემგზავრებიან და ამავე ასაკის ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებენ.

კალათბურთი

სტუდენტური სპორტი — საერთო საზრუნავი

ამ დღეებში დამთავრდა სტუდენტთა საკალათბურთო ლიგის მეორე ჩემპიონატი. აღნიშნული ლიგა ჩამოყალიბდა საქართველოს სტუდენტური კალათბურთის ასოციაციის და მისი ახალგაზრდული ჯგუფის — კახა ლაბუჩიძის, ნუგზარ ვანიაშვილის და მათე ოქროპირიძის თაოსნობით. ამ ორგანიზაციამ წარმოაჩინა საქართველოს სტუდენტური კალათბურთის პოტენციალის დიდი პერსპექტივა და შეავსო საქართველოს კალათბურთის სტრუქტურაში არსებული ვაკუუმი — ის აუცილებელი საჭირო საფეხური, რომელმაც უნდა დააკავშიროს ჭაბუკთა და „დიდების" კალათბურთი. არცთუ დიდი ხნის წინათ ახალგაზრდა კალათბურთელების დიდი ნაწილი იძულებული იყო მიეტოვებინა საყვარელი სპორტულის სახეობა, ვინაიდან შემდგომი სპორტული დაოსტატების ხაფეხური საერთოდ არ არსებობდა. მოზარდთა კატეგორიიდან მხოლოდ ზოგიერთი კალათბურთელი ხვდებოდა პირდაპირ უმაღლეს (პროფესიონალურ) ლიგაში, დანარჩენები „თამაშგარედ" რჩებოდნენ.

... აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 18-მა გუნდმა, მათ შორის წარსულში დიდი ტრადიციების მქონე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს ფიზკულტურის აკადემიის, საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიისა და ახლად ჩამოყალიბებული უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებმა.

შეჯიბრების პროცესმა საგრძნობლად გაზარდა კალათბურთელთა ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური მომზადების დონე. გამოჩნდნენ ახალი საინტერესო გუნდები. ლიდერთა შორის მყარად დაიკავეს ადგილი თბილისის სამედიცინო აკადემიის (რექტორი პროფ. პ. მოთაძე) კალათბურთელებმა ორი წლის წინათ აკადემიას საერთოდ არ ჰყავდა გუნდი, ამჯერად კი ამ კოლექტივმა საკმაო რთული ბრძოლებით გაიარა მძიმე სატურნირო გზა. გამოცდილი სპეციალისტის დამსახურებული მწვრთნელის გივი ჩახავას და ალეკო ნოზაძის ხელმძღვანელობით წარმატებას მიაღწია — მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ძლიერ გუნდთან და ვერცხლის მედლები მოიპოვა.

სტუდენტურ კალათბურთს გაეხსნა მწვანე გზა, მომავალიც იმედის მომცემია, მაგრამ ჯერ კიდევ დასაძლევია შეჯიბრების საორგანიზაციო ხარვეზები — არასტაბილური კალენდარი, მოასპარეზეთა იურიდიული სტატუსი, წლიურ ციკლში გუნდის თამაშის რაოდენობის არასაკმარისობა (თამაშობენ 20 მატჩს, უნდა იყოს 40, 45) და სხვა ხარვეზები.

სტუდენტთა კალათბურთის საერთო განვითარება ბევრად არის დამოკიდებული უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა თანადგომაზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, საქართველოს სტუდენტური სპორტის ასოციაციის პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის დახმარებით თსუ-ს ბაზაზე სავარჯიშო დრო გამოეყო თბილისის სამედიცინო აკადემიის გუნდს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა რამაზ ხუროძემ სხვა უმაღლეს სასწავლებლებს შესთავაზა თავისი სასწავლებლის სპორტული ბაზები.

სასიხარულოა, რომ სტუდენტური სპორტის აღორძინება საერთო ზრუნვის საგანი ხდება.

ეკა სულაბერიძე,
ნათია ელიზბარაშვილი.

ფეხბურთი

„ინტერტოტო-97" იწყება!

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში დამთავრდა საფეხბურთო ეროვნული ჩემპიონატები, თასების გათამაშებანი და გაირკვა „ინტერტოტოს" წლევანდელი თასის გათამაშების ყველა მონაწილე. ტურნირი 21-22 ივნისს აიღებს სტარტს, მასში მონაწილეობს 12 ჯგუფად დაყოფილი 60 კლუბი.

ჩვენი ქვეყნიდან ტურნირში (XII ჯგუფში) მონაწილეობს თბილისის „მერანი". მასთან ერთად იასპარეზებენ: „ტორპედო"-„ლუჟნიკი" (რუსეთი), „რიდი" (ავსტრია), „ირაკლისი" (საბერძნეთი), „ფლორიანა" (მალტა).

„მერანი" 22 ივნისს ხვდება მოსკოვის „ტორპედო-ლუჟნიკს". ჯგუფური ტურნირები 19 ივლისს დამთავრდება. 26-27 და 30 ივლისს ერთმანეთს შეხვდებიან ჯგუფებში გამარჯვებულები: 4 და 10; 7 და 9; 5 და 1; 3 და 12; 11 და 8; 2 და 6. შემდეგ ეტაპზე (12 და 26 აგვისტო) გაიმართება პირველ და მეორე, მესამე და მეოთხე, მეხუთე და მეექვსე წყვილებში გამარჯვებულთა ორთაბრძოლა.

გაიმეორებს „მერანი" „დინამოს" წარმატებას?

კვირას, 22 ივნისს, მიმდინარე საფეხბურთო სეზონის ნამდვილი აღმოჩენა — თბილისის „მერანი" „ინტერტოტოს" თასის გათამაშებაში ჩვენთვის კარგად ნაცნობ მოსკოვის „ტორპედო-ლუჟნიკს" უმასპინძლებს. ეს იქნება „მერანის" დებიუტი საერთაშორისო სარბიელზე.

უდიდესი პასუხისმგებლობა კარგად აქვს შეგნებული „მერანის" მთავარ მწვრთნელს, გამოცდილ და ნიჭიერ სპეციალისტს თემურ მახარაძეს, რომელმაც დაწვრილებით გვიამბო, თუ როგორი მდგომარეობაა გუნდში ევროპული სტარტის წინ:

— ეროვნული ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ფაქტობრივად, ერთი კვირა დავისვენეთ და 7 ივნისს განვაახლეთ ვარჯიში. 15-დან კი საწვრთნელ შეკრებაზე ვართ, რაც საშუალებას გვაძლევს უფრო საფუძვლიანად მოვემზადოთ შეხვედრისათვის.

„მერანში" დიდი სასელექციო მუშაობა მიმდინარეობს, თავი მოვუყარეთ ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებს. მათ შორის მძაფრი, ჯანსაღი კონკურენციაა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად. ამის მიუხედავად, „ინტერტოტოს" თასზე წარმატებით გამოსვლისათვის გუნდის გასაძლიერებლად რამდენიმე ფეხბურთელი მოვიწვიეთ. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო თსუ-ს „შევარდენის", გორის „დილასა" და ქუთაისის „ტორპედოს" გუნდების ხელმძღვანელობა, რომლებმაც მოთამაშეები დროებით დაგვითმეს ევროპული ტურნირისათვის. ესენი არიან: კოტე მელქაძე (თსუ „შევარდენი"), გიორგი რევაზიშვილი („დილა") და შალვა რუხაძე („ტორპედო"), „მერანს" დაეხმარებიან, აგრეთვე, გამოცდილი მეკარე ზესტაფონის „მარგვეთიდან" ვეფხია გვენცაძე, თბილისის „მრეტებიდან" მცველი კახა სიდამონიძე და პერსპექტიული თავდამსხმელი ლანჩხუთის „გურიიდან" ალეკო გელაძე. ისინი, ალბათ, მომავალ სეზონშიც ჩვენთან იასპარეზებენ.

— თქვენ ახალწვეულებზე ისაუბრეთ, მაგრამ არაფერი გითქვამთ ძველებზე, რომლებმაც საკუთარი მხრებით ატარეს მთელი სეზონის სიმძიმე. ვინმე ხომ არ გყავთ დაშავებული?

— დასანანია, რომ ეროვნული ჩემპიონატის ფინიშზე დაშავდა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გელა გაბისონია, ძველმა ტრავმებმა შეახსენეს თავი გია ქველაძეს, რომელიც, ალბათ, პირველ მატჩში ვერ ითამაშებს. სათუოა, აგრეთვე, ძირითადი მეკარის — გუბაზ დოლიძის გამოსვლა, რადგან მას ხელის მიკროტრავმა აქვს. თუ ამას დავუმატებთ ვლადიმერ ჭოლოკავასა და გელა ხორხელის ავადმყოფობას, გასაგებია, როგორი სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ.

— მომავალ მეტოქეებზე რა წარმოდგენა გაქვთ, რა ინფორმაციას ფლობთ მათ შესახებ?

— მოსკოვის „ტორპედო-ლუჟნიკი" ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური გუნდია რუსეთის ჩემპიონატში. სხვა გუნდებზე მეტად მას ვიცნობთ. ამაში დიდად დაგვეხმარა „მერანის" პრეზიდენტი ნუგზარ ნაცაძე, რომელმაც „ტორპედოს" მატჩების ვიდეოჩანაწერები გაგვიხერხა. საბერძნეთის „ირაკლისის" გაცნობაში თემურ ქეცბაია გვეხმარება. საერთოდ, ეს კლუბი ფინანსურად შეძლებულია, ლეგიონერებიც ჰყავს. ბერძნები ძლიერად თამაშობენ შინ, რაშიც ერთგული „ფანატების" მხარდაჭერა ეხმარება. ავსტრიული „რიდის" შესახებ ახლა ვაგროვებთ ინფორმაციებს, მალტის „ფლორიანას" კი მხოლოდ შემადგენლობით ვიცნობ. აქ ნაკრების 6 ფეხბურთელი გამოდის.

— ტურნირის საბოლოო შედეგი ბევრად არის დამოკიდებული სასტარტო მატჩზე. როგორ ფიქრობთ, „მერანს" ძალუძს 22 ივნისს ეროვნულ სტადიონზე მისი გულშემატკივრები გაახაროს?

— მოსკოვის „ტორპედო" თბილისის დინამოელებთან შარშან განცდილი მარცხის გამო რევანშის აღებას შეეცდება. იგი წლეულს უფრო ძლიერად გამოიყურება. მაგრამ არ გვგონია, კვირის მატჩი იოლი გასეირნება გამოუვიდეთ. ძალებს არ დავიშურებთ, რათა ღირსეული მეტოქეობა გავუწიოთ სახელგანთქმულ კლუბს...

თბილისის „მერანის" მთავარ მწვრთნელთან საუბრის შემდეგ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, გულშემატკივრებს მოსკოვის „ტორპედო-ლუჟნიკი" უფრო ახლოს გავაცნოთ:

სეზონის დასაწყისში ვალენტინ ივანოვის ნაცვლად გუნდში მოსულმა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ტარხანოვმა, ფაქტობრივად, სრულიად ახალი კოლექტივი ჩამოაყალიბა, კლუბში 14 ფეხბურთელი მოვიდა. მართალია, „ტორპედო-ლუჟნიკი" ჯერჯერობით არათანაბრად თამაშობს რუსეთის ჩემპიონატში, მაგრამ ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. ვის გამოიყვანს მინდორზე ტარხანოვი?

გუნდის კარს მორიგეობით იცავენ შარშანდელი შემადგენლობიდან შემორჩენილი ვლადიმერ პჩელნიკოვი (1970) და უკრაინელი ლეგიონერი ვალერი ვორობიოვი (1970). ჯერ არ უთამაშია რუსეთის ნაკრების ცნობილი მეკარის უმცროს ძმას, 21 წლის მიხაილ ხარინს.

„ტორპედო-ლუჟნიკის" მცველებზე საუბრისას პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნიგერიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ავგუსტინ ეგუავონი (1965), რომელსაც რუსული პრესა ძალიან აქებს. აგუავონი უწინ აშშ-ს, ესპანეთის, ბელგიის კლებუბში თამაშობდა, მოსკოვში ჩამოვიდა იმ განზრახვით, რომ ცსკაში ეთამაშებლა, სადაც ორი კვირა ივარჯიშა კიდეც; შემდეგ კი ტარახანოვთან ერთად „ტორპედოში" აღმოჩნდა. დაცვაში თამაშობენ, აგრეთვე ბელორუსი ლეგიონერი რადისლავ ორლოვსკი (1970), ევგენი ბუშმანოვი (1971), რომელიც ბოლო წლებში ცსკა-ს დაცვას ადუღაბებდა, შარშანდელი შემადგენლობიდან — ოლეგ კარნაუხოვი (1975) და მარად მახმუტოვი (1975), კიდევ ერთი უკრაინელი ლეგიონერი სერგეი კრაკოვეცი (1973) ამჟამად დაშავებულია.

ნახევარდაცვაში ძირითადად თამაშობენ ყოფილი არმიელები დენის მაშკარინი (1973), დმიტრი ხოხლოვი (1975), ანდრეი გაშკინი (1970), ეპიზოდურად — ხანდაზმული სერგეი აგაშკოვი (1962), ევგენი სმერდინი (1969) და ვლადიმირ ლეონჩენკო (1972). გარდა ამისა, ტარხანოვს ჰყავს ორი ლიტველი ნახევარმცველი — აიდას პრეიკშაიტისი (1970) და ტომას რაჟანაუსკასი (1976). ვის გამოიყვანს მწვრთნელი შუა ხაზზე, წინასწარ ძნელი ამოსაცნობია.

თავდასხმაში უმეტესად ედგარას იანკაუსკასისა (1975) და ვიაჩესლავ კამოლცევის (1971) წყვილი თამაშობს. ლიტვის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი შარშან წარმატებით გამოდიოდა ცსკა-ში, კამოლცევი კი ჩვენ ვიხილეთ თბილისის „დინამოსთან" შეხვედრებში. მათ ხშირად ენაცვლება ბრაზილიელი ლეგიონერი კარლოს ალბერტო და როშა, გუნდის თავდასხმის ადრინდელი ლიდერი არსენ ავაქოვი (1971) კი ძირითადში ნაკლებად ხვდება.

ასეთია მოსკოვის „ტორპედო-ლუჟნიკი", რომელსაც ჩვენ ვიცნობთ და... არც ვიცნობთ...

ასე რომ, ქართველ გულშემატკივარს მეტად საინტერესო შეხვედრა ელის 22 ივნისს თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე.

ზურაბ ცერცვაძე,
გივი გამრეკელი.

სურათზე: „ტორპედო-ლუჟნიკის" ერთ-ერთი იმედი — ბრაზილიელი ლეგიონერი კარლოსი (მარცხნივ).

ჭადრაკი

დიდი ნოვგოროდის სუპერტურნირზე...

მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი დაეწია ლიდერ ვლადიმერ კრამნიკს. მეექვსე ტურში ჩემპიონმა შავებით დიდი ხელოვნებით დაქსაქსა ბორის გელფანდის ძალები, შემდეგ კი გადამწყვეტი იერიში წამოიწყო. ამასობაში კრამნიკს უარესი პოზიცია ჰქონდა თეთრებით მოთამაშე ვესელინ ტოპალოვთან, მაგრამ თანდათანობით შეძლო მდგომარეობის გათანაბრება და 22-ე სვლაზე ყაიმს მიაღწია. ასეთივე შედეგით დასრულდა ევგენი ბარეევისა და ნაიჯელ შორტის შეხვედრა.

ამრიგად, 4 დასკვნითი ტურის წინ კასპაროვსა და კრამნიკს 6 შესაძლებლიდან 4-4 ქულა აქვთ. საინტერესოა, რომ ისინი ხელმეორედ ერთმანეთს უკანასკნელ, მეათე ტურში შეხვდებიან (თეთრებით ითამაშებს კასპაროვი). ჯერჯერობით 3 ქულით მესამეა ტოპალოვი, 2,5 ქულა აქვს ბარეევს, 2 — გელფანდს, 1,5 — შორტს.

იონა ქოსაშვილი კომპიუტერებს დაერია

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ნიჭიერ დიდოსტატ იონა ქოსაშვილის შესახებ. იგი ბავშვი იყო, როცა მისი ოჯახი ისრაელში გადასახლდა. იონა (შინაურები ზურაბს ეძახიან) ექიმია, კარგად ლაპარაკობს ქართულად, უნგრელი დიდოსტატის სოფია პოლგარის მეუღლე და მწვრთნელი გახლავთ.

ამას წინათ მან ჰააგაში იასპარეზა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი დიდოსტატები და კომპიუტერები. თუმცა, ეს კომპიუტერები თავიანთი ძალით გაცილებით ჩამოუვარდებოდნენ განთქმულ „დიპ ბლიუს".

ჯერ იყო და, ვიშვანათან ანანდი ერთდროული თამაშის სეანსში შეხვდა 6 კომპიუტერს. ინდოელმა დიდოსტატმა „მეტოქეებთან" ბრძოლას სულ 2,5 საათი მოანდომა (სად იყო „დიპ ბლიუ"?), 3 პარტია მოიგო, 2 ყაიმით დაასრულა და 1 წააგო — ბრწყინვალე შედეგია.

უარესად ითამაშა პოლანდიელმა დიდოსტატმა იან ტიმანმა, რომელიც ასევე 6 დაფაზე ეთამაშა კომპიუტერებს. „მე უკეთესი შედეგი უნდა მქონოდა, მაგრამ ძალიან ბევრჯერ შევცდი". ამის გამო იყო, რომ მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილმა პრეტენდენტმა მოიგო მხოლოდ ერთი პარტია, ორი ყაიმით დაამთავრა და სამში დამარცხდა (!), ორივე მოჭადრაკე სამ პარტიას თეთრებით თამაშობდა, სამს კი — შავებით. ტიმანმა შავი ფიგურებით სამივე პარტია წააგო.

შემდეგ გაიმართა თავისებური საერთაშორისო ტურნირი ცნობილი დიდოსტატების მონაწილეობით, რომლებიც მხოლოდ კომპიუტერებს ეთამაშებოდნენ ერთი-ერთზე.

ყველაზე უკეთ იონა ქოსაშვილმა ითამაშა, რომელმაც ექვსივე კომპიუტერი დაამარცხა. II-III ადგილები დაიკავეს აშშ-ს მრავალგზის ჩემპიონმა იასერ სეირავანმა და ჰოლანდიელმა საერთაშორისო ოსტატმა ვან მილმა — 5,5 ქულა თითოეულს ექვსიდან. 4,5-4,5 ქულით მომდევნო ადგილებზე გავიდნენ კომპიუტერი „კალისტო", კომპიუტერი „რებელი", დიდოსტატი რონგუანი (ჩინეთი), დიდოსტატი ჯონ ვან დერ ვილი (ჰოლანდია), დიდოსტატი დე ბოური (ჰოლანდია), დიდოსტატი ლემბიტ ოლი (ესტონეთი), კომპიუტერი „ჩესმასტერ 5000".

აი, რას ამბობს კიბერნეტიკის პროფესორი და მოჭადრაკე იოპ ვან დენ ჰერიკი (ჰოლანდია), რომელმაც გახსნა ეს შეჯიბრება ჰააგაში: „დარწმუნებული ვარ, რომ 1998 წელს კომპიუტერები შავ დღეს დააყრიან, პირდაპირ მიფანტ-მოფანტავენ ოსტატებს, დიდოსტატებსა და მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებსაც".

შეიძლება ძალიანაც არ გვინდა, რომ ასე მოხდეს, მაგრამ პატივცემული პროფესორი საკმაოდ ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან. მართალია, „დიპ ბლიუ" ჯერჯერობით ერთადერთია, მაგრამ ახლო მომავალში, ეტყობა, კიდევ შექმნიან მის მსგავს „ურჩხულებს" (მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის გამოთქმაა).

გივი გამრეკელი.

სადაურსა სად წაიყვან...

მონრეალში მღერის... ქართველი

ჩემს შორეულ სიჭაბუკეში „საქართველებო" უცხოეთად თურქეთი, ირანი, საფრანგეთი და გერმანია წარმომიდგებოდა. ახლა დიაპაზონი უჩვეულოდ გავზარდეთ, ფართო ვაქანებისანი გავხდით, მივდიერთ, მივემგზავრებით, სულ ახალ-ახალ „ყამირ" ქვეყნებს ვითვისებთ.

რუსულ პრესაში რუბრიკით „ქართული კოლონია მონრეალში"... ახლახან დაიბეჭდა წერილში ერთ „კანადელ" ქართველზე...

ატლანტაში შარშან რომ ოლიმპიადა დამთავრდა, მოჭიდავე გივი სისაურის სახელი მთელმა კანადამ შეიტყო — ამ შესანიშნავმა მოჭიდავემ ვერცხლის მედალი მოუპოვა ოლიმპიური მედლებით არცთუ მაინცდამაინც განებივრებულ ქვეყანას, გივის ქუჩებში აჩერებდნენ, მისი სახლის სადარბაზოსთან თაყვანისმცემელთა ჯგუფები იკრიბებოდა. ერთხელ ასეთი შემთხვევაც მომხდარა: საკუთარ ავტომობილში მჯდომმა ვერცხლის პრიზიორმა შუქნიშანთან დაამუხრუჭა; მეზობელი ავტომანქანიდან მომღიმარი მამაკაცი გამოხტა თურმე და მთელი ქუჩის გასაგონად აყვირდა: „ეი, ახალგაზრდავ, გიცანი! შენ მარჯვედ ჭიდაობდი ატლანტაში, ტელევიზორით განახე"...

თავიდან მაბუნებდა გარშემო მყოფთა ასეთი საქციელი, — ამბობს გივი. — კანადაში პირველი წელი კი არ არის, რაც ვცხოვრობ. 1995-ში მსოფლიო ჩემპიონატზე „ვერცხლი" მოვიგე, მაგრამ არავითარი აჟიოტაჟი არ ატეხილა...

„პირველი წელი არ არის"... თავიდან ხშირად ესიზმრებოდა ღრუბლებით დაჯანღული მთები. სიზმარშივე ფართო მკერდით ისუნთქავდა მთის ჰაერს და მთელი ხმით აგუგუნებდა ქართულ სიმღერებს. დილით კი, თავის მონრეალის ბინაში გაღვიძებული, ფიქრობდა: რას ვაკეთებ აქ?..

რუსი ჟურნალისტი ესაუბრება გივი სისაურს:

— რომელმა ქარმა გადმოგაგდო თბილისიდან მონრეალში?

— 1991-ში, შელლი რომ ჩამოვარდა, ჩემი მწვრთნელი ვლადიკავკაზში გადაბარგდა. მე კანადაში გადავწყვიტე გამგზავრება. მანამდე აქ სამჯერ ვიყავი და ვიცოდი, რომ მოჭიდავეთა მომზადებისათვის კარგი პირობებია. მაშინ არ მქონია განზრახვა საზღვარგარეთ სამუდამოდ დავრჩენილიყავი. ის-ის იყო, 19 შემისრულდა და ვერც წარმომედგინა უცხო ქვეყანაში ცხოვრება. ეგეც არ იყოს, არაჩვეულებრივად მენატრებოდა დედა. ხანდახან სურვილი მიჩნდებოდა, ყველაფერი მიმეგდო და შინ დავბრუნებულიყავი. ამასობაში საქართველოში ომიც დაიწყო და ახლობლებმა გადაწყვიტეს, რომ აჯობებდა თუ კანადაში დავრჩებოდი. მთელი წელიწადი, მიუხედავად მწვრთნელის ვიქტორ ზილბერმანისა და ფედერაციის ხელმძღვანელობის დაჟინებული თხოვნისა, ვყოყმანობდი და ერთსა და იმავეს ვიმეორებდი — შინ დაბრუნება მინდა-მეთქი. დრომ თავისი ქნა. და მაინც, თუმცა ამჟამად კანადის მოქალაქე ვარ, სულით ყოველთვის ქართველი დავრჩები.

— ვიცი, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები მრავალი სახელგანთქმული მოჭიდავე იძულებულია იმუშაოს. შენი საქმეები როგორღაა?

— ჯერჯერობით მხოლოდ სპორტს მივსდევ. დღეში ორჯერ ვვარჯიშობ, ინგლისური ენის კურსებზე ვსწავლობ. კანადაში თუ სამუშაო გინდა მიიღო, აუცილებელია ინგლისურად სწორად ლაპარაკობდე და წერდე. ჩემმა კლუბმა „მონრეალელი მოჭიდავენი" აღმითქვა, დრო რომ დამიდგება, მწვრთნელის ადგილს მოგიძებნითო.

— უკვე ნამდვილად საბოლოოდ გადაწყვიტე, შენი მომავალი ნეკერჩხლის ფოთლის ქვეყანას დაუკავშირო?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი, ჯერჯერობით კი არ შემიძლია სამშობლოში დაბრუნება, ვერ გავბედავ იმიტომ, რომ ფული უნდა ვიშოვო და დედას და უმცროს დას დავეხმარო.

— შენ ჰყვებოდი, რომ სიზმარში ზოგჯერ ქართულ და რუსულ სიმღერებს მღერიხარ, ცხადში?

— მონრეალში ერთობ ცოტა მაქვს კასეტები ქართული და რუსული სიმღერებით. აქ ჩვენთან 20-კაციანი პატარა ქართული კოლონია გაჩნდა. როცა მეგობრები მოდიან, უთუოდ ჩვენებურ მუსიკას ჩავრთავთ ხოლმე. ჩემი კანადელი მეგობარი გოგონაც უკვე მიეჩვია ამ სიმღერებს, სიტყვებიც ისწავლა და ჩვენთან ერთად მღერის ხოლმე.

მოამზადა
თამაზ ილმელმა.

ყოველი მხრიდან

სპორტია თუ ხელოვნება?

თუ ჰკითხავთ ხალხს, ვისაც ჭიდაობის ამ სახეობისათვის ერთხელ მაინც უყურებია, რა არის სუმოო, ალბათ, უმრავლესობა გიპასუხებთ, სუმო არის მსუქნების სპორტი. მაგრამ თვით სპორტსმენებს სულ სხვა აზრი აქვთ.

ეს-ეს არის მელბურნში დამთავრდა დიდი ტურნირი ჭიდაობა სუმოში. იაპონელებმა, ვინც სპორტის ამ სახეობის ყველაზე დიდი მიმდევრები არიან, რეპორტიორებს განუცხადეს: „გთხოვთ, განსაკუთრებულ ყურადღებას ნუ დაუთმობთ ჩვენს მოცულობასა და ბევრი ჭამის ჩვევას, ამით გამოავლენთ ჩვენდამი პატივისცემას. სუმო მარტო სპორტი კი არა, უძველესი ხელოვნებაცაა".

თუმცა, ბოროტი ენები და ყველგან ცხვირშეყოფილი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ასეთი ათლეტების ერთ-ერთმა დელეგაციამ შეჭამა ზღვის ნობათიდან დამზადებული 2300 დოლარად ღირებული სადილი და ამის შემდეგ „მსუბუქად დანაყრებულებმა" თავიანთ სამგზავრო სამზარეულოსაც მიაკითხეს.

მეორე ჯგუფი, დოღზე რომ ჩამოვიდა, ისე დამშეულად გამოიყურებოდა, რომ გეგონებოდათ, ყველა ცხენის გადასანსვლას აპირებსო.

კი, ბატონო, ნუ მივაქცევთ ყურადღებას მოჭიდავეთა მადას, მაგრამ უყურადღებოდ როგორ დავტოვოთ, მაგალითად, ის, რომ სუმოს ერთ-ერთი ვარსკვლავი — იკებონო „მხოლოდ" 226 კილოგრამს იწონის (?!).

რეკემ ძალიან „გარეკა"

ამბობენ, ნორვეგიელები მოკრძალებული ხალხია, არ უყვართ მაინც და მაინც თავიანთი საქმით ვილაცის გაკვირვება. მაგრამ ზოგჯერ ხდება ისეც, რომ საქმე თავისთავად ალაპარაკდება.

აბა, პრესას რა გააჩერებდა, როცა გამოქონა ცნობამ, რომ მილიარდერმა ანტრეპრენიორმა ჩელ-ინგე რეკემ და მისმა უახლოესმა თანამშემწემ ბერნე იალსენმა საფეხბურთო კლუბ „უიმბლდონის" აქციათა უდიდესი ნაწილი შეიძინეს.

ბიზნეს-პარტნიორებმა აქციათა 80 პროცენტში 42 მილიონი დოლარი გადაიხადეს, ნორვეგიის ახალი ამბების სააგენტოს ცნობით, მათი თანამემამულეები ფიქრობენ კლუბისათვის ახალი სტადიონის აშენებას ლონდონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რეკე, რომელსაც ახლა ერთი ფეხი ლონდონში „უდგას" და მეორე კი — ოსლოში, ალბათ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს კლუბის ხელმძღვანელობაშიც.

130-მილიონიანი კრივი

დიახ, ფიქრობენ, რომ სწორედ 130 მილიონი დოლარი დაგროვდება მაიკ ტაისონის და ევანდეს ჰოლიფილდის მატჩ-რევანშიდან, რომელიც 28 ივნისს უნდა გაიმართოს ლას-ვეგასში. ადრინდელი უმაღლესი ფულადი რეკორდი 100 მილიონს უტოლდებოდა და ისიც სწორედ ამ წყვილის შარშანდელ, 9 ნოემბრის შეხვედრაზე დამყარდა (ალბათ გახსოვთ, მაშინ ჰოლიფილდმა გაიმარჯვა).

მომავალ ორთაბრძოლას, როგორც ფიქრობენ, ტელევიზიით 1 მილიარდამდე კაცი უყურებს. ღმერთმა ქნას, რომ მათ შორის ჩვენც ვიყოთ!

ბლიც-ანკეტა

გია ბუღაძე



—მხატვარი. ანტონ I ბაგრატიონის ოქროს მედლის, კანის სამხატვრო ფესტივალის საფრანგეთის პრეზიდენტის პრიზის ნაციონალური გრანპრის მფლობელი.

1. ზოდიაქოს ნიშანი – სასწორი;
2. საყვარელი მწერალი – ჰერმან ჰესე, ალფრედ დიობლინი, ქორჯ ბერნანოსი...
3. საყვარელი ლიტერატურული ქმნილება – „თამაში ფერადი ქვებით“, დიობლინის „ჰამლეტი ანუ გრძელი ღამე დასასრულს უახლოვდება“;
4. საყვარელი მხატვარი – ძალიან ბევრი – ლეგენდარული ეკსეკედან დაწყებული ანსელმ კიფერით დამთავრებული;
5. საყვარელი რეჟისორი – სატიაჯიტ რეი და ლუის ბუნუელი;
6. საყვარელი ფილმი – „ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი; „ოქროს ციებცხელება“, დიდხანს ვიყავი გატაცებული ფილმით „სიკვდილი ვენეციაში“;
7. საყვარელი მსახიობი (მამაკაცი) – ჟერარ ფილიპი, ფერნანდო რეი;
8. საყვარელი მსახიობი (ქალი) – გრეტა გარბო და სტეფანია სანდრელი. მე მგონი, ამ უკანასკნელის სახელი და გვარი უფრო მომწონს;
9. საყვარელი კომპოზიტორი – რიჰარდ ვაგნერი;
10. საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები – ვაგნერის „პარსიფალი“, მალერის მეორე სიმფონია;
11. საყვარელი ხალხური სიმღერა – ხასანბეგურა;
12. უდიდესი პოლიტიკოსი – იულიუს კეისარი;
13. ყველაზე პატივსაცემი ისტორიული პიროვნება – დავით აღმაშენებელი;
14. საყვარელი ქალაქი – თბილისი;
15. სპორტის საყვარელი სახეობა – ფეხბურთი;
16. ჰობი – არა მაქვს;
17. საკუთარი ღირსება – მოვალეობის შეგრძნება, ალტაცების უნარი;
18. საკუთარი ნაკლი – სიზარმაცე;
19. ყველაზე დიდი წარმატება – მე მგონი მომავალში მექნება;
20. ცხოვრების ყველაზე დიდი კურიოზი – ის, რომ ჩემი ქალიშვილი, ჩემს შვილიშვილად ჩათვალეს;
21. ყველაზე მიმზიდველი ქალი – ანა კლდიაშვილი;
22. ყველაზე სიმპათიური მამაკაცი – ვერ ვერკვევი, ამიტომ მიჭირს რაიმეს თქმა;
23. ოჯახის შემადგენლობა – მეუღლე და ორი შვილი – ლაშა და ნინო;
24. მეგობართა წრე – ბევრი მეგობარი მყავს, მე ვცდილობ ისინი ნაკლებად შევაწუხო და შეძლებისდაგვარად მხარში ამოვუდგე;
25. რას აფასებთ ადამიანში – პასუხისმგებლობის გრძნობას;
26. საყვარელი კულინარული ნაწარმი – მჭადი და ყველი, ასევე – ტორტი;
27. საყვარელი სასმელი – ლაღიძის წყლები, დღეს მათ ის გემო თითქოს აღარ აქვთ.
28. საყვარელი ცხოველი – ბაჭია და სპილო;
29. საუკეთესო მოგონება – დედაჩემის გაოცებული თვალების დანახვა, როდესაც ჩემს დიდ ტილოს უყურებდა, მაშინ მე 18 წლის ვიყავი;
30. სანუკვარი ოცნება – კონკრეტული ოცნებაა – გავთავხედდები, გავბედავ და გავამხელ – ოპერის ფარდის მოხატვა. მესმის საკითხის სირთულე და ჩემი პრეტენზიის მასშტაბი, მაგრამ ოპერაც ძალიან მიყვარს და დიდი ზომის მოცულობებიც.

რუბრიკას უძღვება
ზურაბ ოიკაშვილი.

გიწვევთ სასწავლებლად!

თბილისის მართვის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

იურიდიული ფაკულტეტი. სპეციალობა — სამართლისმცოდნეობა 20-20 ადგილი (დასწრებული და დაუსწრებელი სწავლება).

ეკონომიკის ფაკულტეტი. სპეციალობა — საბაჟო საქმიანობის ეკონომიკა და მართვა — 20 ადგილი (დაუსწრებელი სწავლება).

საბუთები მიიღება 23 ივნისიდან 28 ივლისის ჩათვლით 11-დან 15 საათამდე ყოველდღე (კვირის გარდა).

მისაღები გამოცდები მოეწყობა 29-31 ივლისს.

სტუდენტები სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას გაივლიან საქართველოს პროკურატურასა და საბაჟო დეპარტამენტში.

მისაღები გამოცდები მოეწყობა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) 29 ივლისს (ორივე სპეციალობისათვის). საქართველოს ისტორიაში — 31 ივლისს (იურიდიულ ფაკულტეტზე შემსვლელთათვის). მათემატიკაში (ზეპირი) — 31 ივლისს (ეკონომიკის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის).

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი № 71, 126-ე საშუალო სკოლის შენობა.
ტელ: 38-74-82, 62-62-95, 31-73-50.

რექტორატი.

შეხვედრა

„არ შემიძლია, უტკივილოდ შენ რომ გიყურო“...

„ძვირფასო მკითხველო, თუ რამეს ნიშნავს შენთვის ჩემი სიტყვაშუამდგომლობა, ერთხელ კიდევ დამიჯერე და ამ კრებულს გულგრილად ნუ ჩაუვლი. ბადრი ქუთათელაძის სახელი ქართველი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი. მისი პოეზიის უპირველესი ღირსება გახლავთ სიტყვის სინატიფესთან შენივთული ნერვულ-სევდიანი აღქმა ჩვენი დღეების“... წერს „მერანის“ მიერ დასტაბამული ახალი კრებულის „სარკმელის“ წინათქმაში ბატონი რევაზ მიშველაძე და მართალიც ბრძანდება. ბადრი ქუთათელაძის პირველსავე ლექსში სამშობლოსთვის გულანთებულ კაცს დაინახავთ: „არ შემიძლია, უტკივილოდ შენ რომ გიყურო, შინაურისგან დაპყრობილო და გაყიდულო!“

სამშობლოს დღევანდელობით შეწუხებულმა პოეტმა კარგად იცის, „სიყვარულშია ჩვენი ხსნა და გამოსავალი“. თანამედროვეობასთან სისხლხორცეულად დაკავშირებული შემოქმედი პირდაპირ აცხადებს: „მიმაჩნია სამარცხვინოდ ერთმანეთის მტრობის ნიში“. მას გული სტკივა იმის გამო, რომ „ერთმანეთის მტრობით და ერთმანეთის გინებით... სხვის მიწაზე კვდებიან საქართველოს შვილები“. ბადრი ქუთათელაძეს ძველებურად ლაღი და სტუმართმოყვარე თბილისი, „რუსთაველზე ღიმილით სიარული“ მონატრებია და ერთგვარი მუდარით, სინანულით ამბობს: „ქართველებო, ერთმანეთი დავინდოთ!“

შემოქმედი მტკიცედ გმობს „მედროვეთა ფიცს“. მისთვის სამშობლოს თითოეული გოჯი, თითოეული ციხე-ტაძარი, ყოველი ბუჩქი ძვირფასია: „გუშინ გელათს ვიყავ, ბალახს მოვეფერე!..“ ეთაყვანება მამულის სახელოვან შვილებს და ტერენტი გრანელისეულ სიმარტოვესა და სინათლეს ადიდებს...

გამორჩეული სევდა და სილამაზეა პოეტის ლირიკულ სტრიქონებშიც: „ეს ზამთარიც ჩაილია უთოვლოდ და უშენოდ“, ანდა, „თოვს, არაფერი არ მიხარია, ხომ არ იწყება, ძმაო, სიბერე?“ დიახ, ერთგვარი შიში ახლავს სიბერეს; თუმცაღა იცის, რომ სიცოცხლე მარადიული არ არის და წერს: „ისე ლამაზად უნდა მოკვდე, ისე ლამაზად, რომ შენს სიცოცხლეს პასუხობდეს შენი სიკვდილი“. სიკვდილამდე კი არის სიცოცხლე და მრავალი საკეთებელი: „ჯერ კიდევ მელის დასაპყრობად ჩემი მწვერვალი, ჩემი კაცობის ტკივილი და ჩემი სიმართლე!“..

ასეთი მართალი და გულმიჩამწვდომია ბადრი ქუთათელაძის პოეზია და იქნებ ამიტომაც იყო საზოგადოების სიმრავლე მისი წიგნის პრეზენტაციაზე, რომელიც თბილისის მერიამ და ალორძინების ფონდმა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში გამართეს „თბილისური გაზაფხული – 97“-ის პროგრამით. აქვე უნდა ვთქვათ, რომ კრებულ „სარკმელის“ მეცენატი თბილისის მერი, ბატონი ბადრი შოშიტაიშვილია.

პოეტს თბილი სიტყვით მიმართეს მწერალმა გენო კალანდიამ, თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერმა გივი წერეთელმა, ისტორიკოსმა თეიმურაზ მიბჩუანმა, თეატრმცოდნე ვაჟა ბრეგაძემ, ავტორთან ერთად მისი ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა ელდინო სალარაძემ, ეკა ქუთათელაძემ, თამილა ჩხაიძემ, ზურაბ ქაფიანიძემ და კოტე მეავიამ. ვიოლინოს ჰანგებით კი გეგა ქუთათელაძემ დაგვატკბო. საღამოს თავიანთი ხელოვნებით ამკობდნენ ვაჟა აზარაშვილი, შალვა დავითაშვილი, მერაბ დონაძე, დავით კევლიშვილი, მარინე პაიჭაძე, ანსამბლი „საჩინო“.

ინეზა ლეკვეიშვილი.

ცეკავშირის ინსტიტუტთან არსებული კოლეჯი

აცხადებს მიღებას 1997-1998 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ბუღალტრული აღრიცხვა – ბუღალტერი
მისაღები გამოცდები: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა). 2. მათემატიკა (ზეპირი)
2. სამართალმცოდნეობა – იურისტი
მისაღები გამოცდები: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა). 2. ისტორია (ზეპირი)
3. პურის ცხობის ტექნოლოგია – ტექნოლოგი
მისაღები გამოცდები 1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა). 2. ქიმია (ზეპირი)

კოლეჯი (ყოფილი კოოპერაციული ტექნიკუმი) ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი სასწავლებელია. მისი ტრადიციები, საუკეთესო სასწავლო მატერიალური ბაზა და მასწავლებელთა შემადგენლობა კარგი სპეციალისტის მომზადების მყარი პირობაა.

კოლეჯს ძირითადად აფინანსებს ცეკავშირი, ამიტომ სწავლების გადასახადი საგრძნობლად შეღავათიანია, ხოლო სტუდენტთა გარკვეული ნაწილის სწავლება უფასოა. წარჩინებული სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას.

კოლეჯის კურსდამთავრებული იღებს სახელმწიფოს მიერ ატესტირებულ სპეციალისტის დიპლომს. კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ბუღალტრად, იურისტად, ტექნოლოგად და სწავლა გააგრძელოს ცეკავშირის ინსტიტუტში ან ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

კოლეჯის წარჩინებით კურსდამთავრებული ცეკავშირის ინსტიტუტში ჩაირიცხება უგამოცდოდ.

სწავლის ხანგრძლივობაა 3 წელი.

აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
1. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა;
2. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 086);
3. ხუთი ფოტოსურათი – 3X4.

საბუთების მიღება 10 ივლისამდე, 10.00-დან 18.00-მდე, ყოველდღე (გარდა კვირისა). მისაღები გამოცდები – 11 ივლისიდან.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 44. მეტრო „გოცირიძე“.
ტელეფონები: 39-18-74; 39-68-30; 39-18-03.

ამინდი 20 ივნისს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში – ღამით 14-19, დღისით 21-26, მთაში – ღამით 12-17, დღისით 18-23, მაღალმთაში ღამით 10-15, დღისით 15-20 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან იქნება ხანმოკლე წვიმა ელჭექით, შესაძლებელია სეტყვა, იქროლებს წამში 10-15, ალაგ-ალაგ 15-20 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი. ტემპერატურა ბარში – ღამით 13-18, დღისით 24-29, მთაში – ღამით 11-16, დღისით 21-26, მაღალმთაში – ღამით 9-14, დღისით 15-20 გრადუსი სითბო.

თბილისში ხანმოკლე წვიმაა მოსალოდნელი ელჭექით, იქროლებს წამში 10-15, გარეუბნებში 15-20 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა – ღამით 16-18, დღისით 27-29 გრადუსი სითბო.

დღეს, 20 ივნისს მაგნიტური დღეა, კრიზისული საათები – 13.00 – 14.00.

საქციო საზოგადოება „ჯი და ჯი“
გთავაზობთ ნებისმიერი სიმძლავრის სალიტ სისტემის
კონდიციონერებს
(MITSUBISHI, FUJITSU)



ეს პრესტიჟული სისტემები უზრუნველყოფენ კომფორტს თქვენს ბინაში და ოფისში წელიწადის ნებისმიერ დროს.

ძირითადი მახასიათებლები:
- ✓ სრული დისტანციური მართვა
- ✓ გაციება - გათბობა
- ✓ ტემპერატურის ავტომატური რეგულირება

მიწოდება დაუყოვნებლივ, საწყობიდან თბილისში.
მონტაჟი უმოკლეს ვადაში, გარანტია 2 წელი
ჩვენი მისამართია: ლესელიძის ქ.№4,
☎ 93-38-34. 93-38-04

სპეციალური წინადადება

საქციო საზოგადოება „ჯი და ჯი“
გთავაზობთ:
იაპონური ფირმა RICOH-ს ასლგადამღებ აპარატს

UNIT C522

ფორმატი A3, 22 ასლი/წთ.,
მასშტაბირება 50-200%
რეკომენდირებული მოცულობა 20000 ასლი თვეში

ენერგიის შენახვის რეჟიმი

ტონერი - 17000 ასლზე
კარტრიჯი - 120000 ასლზე
დეველოპერი - 120000 ასლზე

მონტაჟი, მიწოდება დაუყოვნებლივ, საწყობიდან თბილისში.
გარანტია და სერვისი 1 წლის განმავლობაში
ჩვენი მისამართია: ლესელიძის ქ.№4,
☎ 93-38-34. 93-38-04

ON CLINIC LTD
MEDICAL CENTERS
ON CLINIC & UNIMED
თქვენს ოცნებას რეალობად აქცევს!
საუკეთესო ქირურგი-პლასტიკოსები ისრაელიდან გთავაზობენ ყველა სახის პლასტიკურ ოპერაციებს კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით

პირველად საქართველოში

1. სახის და კისრის კანის დაჭიმვა;
2. ტუჩ-ცხვირის ნაოჭების გასწორება;
3. კანქვეშა ცხიმის მოშორება ამოტუმბვით;
4. მკერდის აწევა, გადიდება და დაპატარავება;
5. ტუჩების ფორმის შეცვლა;
6. ღაბაბის მოცილება;
7. შუბლის და წარბების აწევა;
8. მუცლის პლასტიკა;
9. ბარძაყის კანის დაჭიმვა;
10. ქვედა და ზედა ქუთუთოების ფორმის შეცვლა;
11. ცხიმის გადანერგვა (სკულპტურა);
12. ყურის და ცხვირის ფორმის შეცვლა;
13. სასქესო ასოს გადიდება.

თმის გადანერგვის უნიკალური მეთოდი!
თმის ნერგების გადანერგვის შედეგად პაციენტს თმა ჩვეულებრივად ეზრდება და გამელოტების პრობლემა სამუდამოდ მოხსნილია!

კიდევ ერთი სიახლე
ჰემოროიდალური შიდა კვანძების (ბუასილის) უოპერაციო მკურნალობა
თქვენ საშუალება გეძლევათ ქირურგიული ჩარევისა და სტაციონარში დაწოლის გარეშე განიკურნოთ ბუასილისაგან, თავიდან აიცილოთ მტკივნეული ოპერაცია, მისი შემდგომი პერიოდის დისკომფორტი და სამუდამოდ დაივიწყოთ ტკივილი!

ჩვენი მისამართია
ი. აბაშიძის 3 (ყოფილი ბარნოვის 91)
დარეკეთ
22 76 78 25 22 28

ხსოვნა

ხვთისო გოგოჭური

ქართველმა ფილოსოფიურმა საზოგადოებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართველ ფილოსოფოსთა ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი **ხვთისო გოგოჭური.**

დაიბადა 1941 წლის 1 დეკემბერს თელავის რაიონის სოფელ თეთრწყლებში. ბედმა ძნელი ცხოვრება არგუნა.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფილოსოფიის განხრით, ხოლო 1973 წელს – ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა და იქვე დატოვეს სამუშაოდ. 1979-1991 წლებში საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის დოცენტია. 1992 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კვლავ ფილოსოფიის ინსტიტუტშია.

ხვთისო გოგოჭური მუშაობდა ფილოსოფიურ და რელიგიურ მსოფლმხედველობათა პრობლემებზე და ამ თემას შესანიშნავი მონოგრაფია მიუძღვნა, რომელმაც სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. იგი გახლდათ არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და მეთოდური სახელმძღვანელოს ავტორი, გამორჩეული ლექტორი. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულმა სტუდენტებმა მრავალ სამეცნიერო კონფერენციაზე ისახელეს თავი. ბოლო წლებში, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, ინტენსიურად მუშაობდა რელიგიური ფილოსოფიის საკითხებზე.

გასულ წელს ხვთისო გოგოჭურმა გამოაქვეყნა ორიგინალური ნაშრომი „რა არის ფილოსოფია?“, რომელმაც სპეციალისტთა და საერთოდ ფილოსოფიით დაინტერესებულ მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ზრდილობა, სიამაყე, გამტანობა, რაინდული რწმენა ღვთისოს მშვენება იყო. ჩვენს დროში ოდნავ „ფრთამოკვეცილი“, მაგრამ მაინც ვაჟას მინდიად, ზვიადაურად შემართული და სალუხუმედ გამზადებული ჩანდა ხვთისო. მთასავით კაცი იყო იგი, გული კი ბავშვივით ჩვილი ჰქონდა და მოყვარული.

დაუვიწყარი იქნება ხვთისო გოგოჭურის ხსოვნა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი;
საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემია.

მეუღლე ვაჟა, შვილი გიორგი, ძმა ნუკრი, მაზლი ანზორი, დედამთილი ნაზი, მულები ბაბულია, იზო, ელისო, რძლები ლამარა, ნანული ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დოდო გიორგის ასული ზედგინიძე-მელაძე

პანაშვიდი 20-21/VI 6 ს. დიღმის მასივი, V კვარტალი, მე-9 კორპუსი, I სადარბაზო, X სართული. გადასვენება 22/VI 12 ს. კასპის რაიონი, სოფ. რენე. დაკრძალვა 24/VI 2 ს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რედაქციის თანამშრომელი

დოდო გიორგის ასული ზედგინიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს საქმეთა მმართველი

გიორგი ნიკოლოზის ძე დოლიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედა ლამარა ბაქრაძე, მამა ფრიდონ ხავთასი, დეიდა ლუიზა ბაქრაძე, ბიძაშვილები დათო, ვახტანგ, ლევან ხავთასები, დეიდაშვილები თამარ, დათო ხეცურიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (გოგა) ფრიდონის ძე ხავთასი

პანაშვიდი 19, 20 VI 5 ს. გამოსვენება 21 VI 4 ს. ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 49, III კორპუსი, II სადარბაზო (მეტრო „დელისი“).

გივი აზაურაშვილი, ვასო ფოცხვერია, ჯემალ წივწივაძე, რევაზ სოხაძე, სვიმონ გამსახურდია, კუკური კალანდაძე, ნოდარ ქებაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (გოგა) ფრიდონის ძე ხავთასი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორები: არჩილ მანჯგალაძე, ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.